

ISSN 2233-3606

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია  
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

**მოამბე**  
**XXIX**  
**MOAMBE**

SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

თბილისი 2018 TBILISI

„მოამბე“ გამომცემის 1995 წლიდან  
„MOAMBE“ IS PUBLISHED SINCE 1995

სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNusx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში

3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვანოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს: ჟურნალის ერთი გვერდი 6 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება 5 ლარი.

სტატიების გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:  
**mariizoria@mail.ru;**

**ტელეფონები: 231 14 75; 593 239 958**

**ვებ-გვერდი: www.sbma.ge**

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spaces of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.

4. The article may be published in English, Russian, German languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and English languages too.

The price of article's publication is one page of Journal 6 Gel (lari). And author will pay tjis price after getting positive respond. Also, the price of Journal is 5 GEL (lari).

**E-mail: mariizoria@mail.ru;**

**Tel: 231 14 75; 593 239 958**

**www.sbma.ge**

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაათარა 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTIFICATE #1982)

## „მოამბე“

საერთაშორისო რეზერირებადი და რეცენზირებადი  
სამეცნიერო ჟურნალი, №29, 2018 წელი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი- მთავარი რედაქტორი და სარე-  
დაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, საქართველოს ბიზნესის  
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,  
ქ. თბილისის საპატრიო მოქალაქე.

სარედაქციო კოლეგია  
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

აბესაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, ასათიანი როზა, ბაბუნაშვილი  
გიორგი (აშშ), ბაბუნაშვილი ანზორი, ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი  
ევგენი, ბერიძე თეიმურაზი, გვალია ნარგიზი, გომოხია რევაზი, გველე-  
სიანი მერაბი, გეგუაძე გიორგი, დანელია თამაზი, დათაშვილი ვახტანგი,  
ელიაშვილი ლია, იზორია მარინა, კუნჭულია თამაზი, კურთანიძე დავითი (აშშ),  
კუჭუხიძე რომანი, კვალაშვილი ვაჟა, კვაშილავა ალექსანდრე, კობანიძე  
თამაზი, ლაბარტყავა გულთაზი, ლემონჯავა პარმენი, ლოპხანიძე გივი,  
ლეკაშვილი ეკა, მალაშვილი გიორგი, მამუკაშვილი ელგუჯა, ნადირაშ-  
ვილი ბაიონი, ნარმანი დავითი, ნადარაია ნუგზარი, პაიჭაძე ნუგზარი,  
როკატელიშვილი მიხეილი (აშშ), სილაგაძე ავთანდილი (საქ. ეროვნული მეც-  
ნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), უბრეხელიძე მინდია, ქარჩავა ლეონი,  
ქეშელაშვილი ომარი, ყიფიანი გელა, ყუფუნია გურამი, ყორღანაშვილი  
ლარისა, შენგელია თეიმურაზი, შენგელია რევაზი, ჩხლაძე ნიკო, ჭი-  
თანავა ნოდარი, ჭუმბურიძე მამია, ხაღური ნოდარი, ხარაბაძე ელენე,  
ხელაშვილი იოსებო, ჯავახიშვილი რევაზი, მამედოვი ფიზული (აზერბაი-  
ჯანის რესპუბლიკა), მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერძანიანი ნიკი (სომხეთი),  
აღირზაშვილი ალი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორზდოვა ტატიანა (ბელორუ-  
სია), ალუხანოვი ესპერანო (ყაზახეთის რესპუბლიკა), ზალენიანი ინგა (ეს-  
ტონეთი), ვდოვინკო ნატალია (უკრაინა), მისანილ ვარჩოლა (სლოვაკეთი), ბა-  
ლინა კუზმენკო (უკრაინა).

შეიქმნა რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს

№29, 2018 წელი

**„MOAMBE“**  
**QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE,**  
**PRECISED AND REVIEWED №29, 2018**

**TEIMURAZ BABUNASVILI- Editor-in-Chief and Head of Editorial Board,**  
**Doktor of Economic Science, President of**  
**Georgian Academy of Business Science,**  
**Honored citizen of Tbilisi**

**EDEDITORIAL BOARD**  
**Doctors of science, Professors**

**ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, ASATIANI ROZETA, BABUNASHVILI GIORGI (USA), BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, DATASHVILI VAXTANGI, DANELIA TAMAZI, ELIAVA LIA, IZORIA MARINA, KUNCHULIA TAMAZI, KURTANIDZE DAVITI (USA), KUCHUKHIDZE ROMANI, KVALIASHVILI VAJA, KVASHILAVA ALEKSANDRE, KOBALIDZE TAMAZI, LABARTKAVA GULTAZI, LEMONJAVA PARMENI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MALASHKHIA GIORGI, MEQVABISHVILI ELGUJA, NADIRASHVILI GAIKOZI, NARMANIA DAVITI, NADARAIA NUGZARI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI (USA), SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI, KESHELASHVILI OMARI, KIFIANI GELA, KUFUNIA GURAMI, KORGANASHVILI LARISA, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGELIA REVAZI, CHIKHLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, KHADURI NODARI, KHARABADZE ELENE, KHELASHVILI IOSEBI, JAVAKHISHVILI REVAZI, MAMEDOVI FIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINA), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUKHANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA), GALINA KUZMENKO (UKRAINA).**

# შინაარსი

<b>1. ჯემალ გასოკიძე</b> .....	<b>7</b>
სამშვიდოვო ინიციატივების როლი განდგომილი რეგიონების შემო- რიგებისათვის	
<b>2. ვაჟა ჩოჩია</b> .....	<b>13</b>
ევროპაში სამხედრო-პოლიტიკური კავშირების შექმნის დასაწყისი	
<b>3. მანანა მჭედლიშვილი</b> .....	<b>19</b>
ქართული სიცოცხლის დაზღვევის გაზრის განვითარების ტენდენციები	
<b>4. თამაზ დანელია, გიორგი გაბუნაშვილი</b> .....	<b>23</b>
ადამიანური რესურსების მენეჯმენტში მოტივაციის ასპექტები	
<b>5. IURI SUKHITASHVILI, GULNARA IMEDASHVILI</b> .....	<b>28</b>
CONCESSION IN TRANSPORT	
<b>6. ვენერა გობაშვილი</b> .....	<b>33</b>
ფული, თავისუფლება და ორგანიზებული გაზარი	
<b>7. ნინო დარსაველიძე, ლელა ბოჭორიძე, ანა კურტანიძე</b> .....	<b>39</b>
ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტის მნიშვნელობა და ძირითადი მახასიათებლები	
<b>8. მარიამ სიზანიშვილი</b> .....	<b>42</b>
წარმოების პროცესში მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ინ- ფრომაციული უზრუნველყოფა	
<b>9. ეკატერინე მარუაშვილი</b> .....	<b>48</b>
სტილისტური ანალიზის კრიტიკიუმები	
<b>10. ნინო ჯერენაშვილი, ანა კურტანიძე</b> .....	<b>52</b>
ქართული საავიაციო გაზრის მიმზიდველობა	
<b>11. იაკობ კაპანაძე</b> .....	<b>54</b>
ქართული მუხის (QUERCUS IBERICASTEVE) გავრცელების თავისებურებანი ქვემო ქართლის რეგიონში	
<b>12. მაია გელანტი</b> .....	<b>58</b>
საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის მიზანშე- წონილობის შესახებ	
<b>13. მარინა იზორია</b> .....	<b>60</b>
ეთნოგრაფიული კონფლიქტები მესამე სამყაროში: რელიგიის როგორც კონფლიქტის მიზეზის როლი	
<b>14. М. Мчедлидзе, М. Кикнадзе</b> .....	<b>65</b>
ВЛИЯНИЕ КЛИМАТА НА ЗДОРОВЬЕ ЧЕЛОВЕКА	

# CONTENTS

<b>1. JEMAL GAKHOKIDZE</b> .....	<b>7</b>
The role of peace initiative for the breakaway regions	
<b>2. VAZHA CHOCHIA</b> .....	<b>13</b>
The Beginning of the Creation of Military-political Ties in Europe	
<b>3. MANANA MCHEDLISHVILI</b> .....	<b>19</b>
Trends for Development of Georgian Life Insurance Market	
<b>4. TAMAZ DANELIA, GIORGI BABUNASHVILI</b> .....	<b>23</b>
Aspects of Motivation in Human Resources Management	
<b>5. IURI SUKHITASHVILI, GULNARA IMEDASHVILI</b> .....	<b>28</b>
Concession in Transport	
<b>6. VENERA GOGAVA</b> .....	<b>33</b>
Money, Freedom and Organized Market	
<b>7. NINO DARSVELIDZE, LELA BOCHOIDZE, ANNA KURTANIDZE</b> .....	<b>39</b>
The Importance and Basic Characteristics of Human Resources Strategic Management	
<b>8. MARIAM KHIZANISHVILI</b> .....	<b>42</b>
Managing Decision Making in the Manufacturing Process	
<b>9. EKATERINE MARUASHVILI</b> .....	<b>48</b>
Stylistic Analysis Criteria	
<b>10. NINO JERENASHVILI, ANNA KURTANIDZE</b> .....	<b>52</b>
The Attractiveness of the Georgian Aviation Market	
<b>11. IAKOB KAPANADZE</b> .....	<b>54</b>
Peculiarities of the Georgian Oak (QUERCUS IBERICASTEVE) Spread in Kvemo Kartli Region	
<b>12. MAIA GELANTIA</b> .....	<b>58</b>
This report is dedicated to analysis of Subtropical state university of Georgia.	
<b>13. MARINA IZORIA</b> .....	<b>60</b>
Ethnological conflicts in the Third World: Role of religion as a cause of conflict	
<b>14. MEDEA MCHEDLIDZE, MAIA KIKNADZE</b> .....	<b>65</b>
The impact of climate on human health	

# სამშვიდოო ინიციატივის როლი განდგომილი რეგიონების შამორიგებისათვის

## ჯემალ გახოკიძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტიკისა და სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

### კონფლიქტების დარეგულირების საერთაშორისო გამოცდილება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში 2014 წლიდან ფუნქციონირებს პოლიტიკისა და სამართლის ინსტიტუტი. ამ ხნის განმავლობაში ცენტრი მუშაობს პროექტზე, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილზე მუშაობა დასრულდა და იგი შეეხება მსოფლიოში კონფლიქტების გადაწყვეტის რამდენიმე პრეცედენტს, კერძოდ:

როგორ მოახერხა სოციალისტურმა ჩინეთმა 1997 წელს დედასახელმწიფოში დაებრუნებინა „საგადასახადო სამოთხედ“ წოდებული ჰონკონგი, რომელიც აღიარებული იყო როგორც კაპიტალისტური სისტემის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნამყვანი საერთაშორისო ფინანსური ცენტრი. ჰონკონგელების შემორიგებას და ჩინეთში დაბრუნებას წინ უძღვოდა რეალპოლიტიკაზე დაფუძნებული დენ სიაოპინის 15 წლიანი თანამიმდევრული, ბრძნული, დათმობებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები, მათ შორის ერთ სახელმწიფოში ორი ურთიერთ-დაპირისპირებული სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემის არსებობის დაშვება და იმის შესაძლებლობა, რომ ჩინეთმა გამგებლობაში დაიტოვა მხოლოდ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა, ხოლო დანარჩენი გამგებლობაში გადასცა ჰონკონგს. დამდგარი შედეგის მიხედვით ჰონკონგის ჩინეთში დაბრუნება დიპლომატიის უდიდეს გამარჯვებად იქნა მიჩნეული.

ცენტრის მიერ როგორც პრეცედენტი გამოკვლეულ იქნა, თუ როგორ გადაწყვიტა იტალიის სახელმწიფომ სეპარატისტულად განწყობილი ძირითადად გერმანულენოვანი მოსახლეობით დასახლებული სამხრეთ ტიროლის შემორიგება და მასთან ურთიერთობების ნორმალიზაცია. რეალობა ასეთია: იტალიამ თავისი 50-60-იანი წლების მკაცრი და ემოციური პოლიტიკა 70-იანი წლებიდან ჩაანაცვლა პრაგმატული გადაწყვეტილებებით, როგორც დამოუკიდებლად, ისე ავსტრიასთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად. მათ შორის აუცილებლად აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ტიროლს მიენ-

იჭა ფართო ეკონომიკური თავისუფლება და გერმანული გამოცხადდა სახელმწიფო ენად. საბოლოოდ, ერთი შეხედვით, სამხრეთ ტიროლის კონფლიქტამდე მისული პრობლემები მოგვარებადი გახდა. უფრო მეტიც, სამხრეთ ტიროლის მაცხოვრებლები, მათ შორის გერმანულენოვანი მოსახლეობა, იტალიაში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონით გამოირჩევა.

აგრეთვე, ცენტრის მიერ შესწავლილი და გაანალიზებული იქნა დიდ ბრიტანეთში განვითარებული მოვლენები, კერძოდ, 2014 წელს რეფერენდუმის გზით მისგან შოტლანდიის გამოყოფის მცდელობასთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოს ტერიტორიული ერთიანობის შესანარჩუნებას (ჩვენს მიერ შოტლანდიაში 3 თვით, ამ პრობლემის შესწავლის მიზნით, მივლინებულ იქნა ცენტრის ერთ-ერთი ნამყვანი პროფესორი). კვლევის შედეგებმა ცალსახად დაგვიანახა, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობის გონივრული, დათმობაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების წყალობით სახელმწიფოს ერთიანობა შენარჩუნებულ იქნა. ძალიან მოკლედ თუ ვიტყვით შოტლანდიისთვის დათმობები გამოიხატა:

ა) პოლიტიკური და მმართველობითი ხასიათის უფლებების მნიშვნელოვნად გაფართოებაში;

ბ) სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მაღალი სტანდარტების შეთავაზებაში;

გ) საგადასახადო და საფინანსო პოლიტიკის ფართო ავტონომიურობაში.

როგორც ვხედავთ სამივე სახელმწიფომ: ჩინეთმა, იტალიამ და დიდმა ბრიტანეთმა ცივილურ დონეზე, დათმობების ხარჯზე, კომპრომისების საშუალებით, ურთიერთმისაღები და ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებების და მორიგების გზით მოახერხა კონფლიქტების დარეგულირება. უდავოა, გვაქვს პრეცედენტები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ და დასაშვებ ფარგლებში გამოვიყენოთ სხვა მსგავსი კონფლიქტების დასარეგულირებლად, მათ შორის საქართველოშიც.

## ზოგიერთი სამშვიდობო ინიციატივის შესახებ

ერთწლიანი მუშაობის შედეგად, უპირველესად, მივედით იმ დასკვნამდე, რომ მთავარი ჩვენთვის უნდა ვაკეთოთ შეცდომების გარეშე, რისთვისაც აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან, როგორც ყოფილი ურთიერთობისათვის, ისე დიალოგის, მოლაპარაკებების და შერიგების პროცესისათვის წინმსწრებად უნდა მომზადდეს მათთვის პოლიტიკურ, სამართლებრივ, კულტურულ და ეკონომიკურ საკითხებზე, კომპრომისებზე და რეალპოლიტიკაზე დაფუძნებული შეთავაზების სრულიად ახალი პაკეტი. ჩვენი აზრით ახალი პაკეტის განუყოფელ ნაწილს (სხვა ღონისძიებებთან ერთად) უნდა შეადგენდეს:

საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტი, საქართველოს კონსტიტუციის მიერ საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის, არა როგორც ნაწილის, არამედ როგორც განსაკუთრებული სტატუსის მქონე წევრების აღიარების შესახებ მათი გამორჩეულობის გამო;

კონსტიტუციური ხელშეკრულების პროექტი, საქართველოსა და განდგომილ რეგიონებს შორის კომპეტენციათა გამიჯვნისა და პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ საკითხებში მათთვის ფართო უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. კონსტიტუციური ხელშეკრულების გაფორმება უნდა მოხდეს საერთაშორისო ორგანიზაციების და ცალკეული სახელმწიფოების, მათ შორის რუსეთის მონაწილეობით;

მხარეთა და კონფლიქტის დარეგულირების მონაწილეთა შეთანხმების პროექტი (არანაკლებ 3-5 წელზე გათვლილი), იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნების ყოვლისმომცველ ღონისძიებათა შესახებ;

საქართველოსა და განდგომილ რეგიონებს შორის დადებული ერთობლივი ხელშეკრულების პროექტი, იქ მცხოვრებთა და დაბრუნებულთათვის ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად ეკონომიკური განვითარების 10 წლიანი პროგრამის შესახებ, ფინანსური უზრუნველყოფის წყაროების მითითებით და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, ცალკეული სახელმწიფოების თავდაპირველად.

## კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები

ზოგიერთის შესახებ გვინდა მოკლედ გავიზიაროთ ჩვენი მოსაზრებები. რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციაში არსებულ პრობლემებს: საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ პრაქტიკულად ღიად დატოვა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორცაა სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა და მმართველობის ფორმა (ფედერალური თუ დეცენტრალიზებული რეგიონულ დონეზე), ასევე, აფხაზეთის სტატუსი. საერთოდ გვერდი აქვს ავლილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხს. კონსტიტუციამ, თავის დროზე, ეს ყველაფერი დაასაბუთა იმით, რომ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში მიუთითა: „საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის გადაწყვეტა გადადებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე“.

გავიდა 20 წელი. სამწუხაროდ, ამ ხნის განმავლობაში რაიმე მნიშვნელოვანი წინსვლა არ მომხდარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში შემდეგს: საქართველოს კონსტიტუციაში 2000 წლის 20 აპრილს მე-3 მუხლში განხორციელებული დამატების მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრებოდა საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“. 2002 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს კონსტიტუციის, იმავე მე-3 მუხლში კიდევ ერთი ჩანაწერი გაკეთდა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსიც განისაზღვრებოდა, ასევე, კონსტიტუციური კანონით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“. ამის შემდეგ, 2004 წლის 1-ლ ივლისს მართლაც მიღებულ იქნა კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“. რაც შეეხება აფხაზეთის საკითხს ის დღემდე ღიად დატოვებული და კონსტიტუციური კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ არ არის მიღებული. ასეთ ვითარებაში განდგომილ რეგიონებთან რაიმე სახის დიალოგი, მათ შორის შემორიგებასთან, მით უმეტეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, მოკლებულია რეალპოლიტიკას. ერთის მხრივ ეს ყველაფერი ერთი შეხედვით თითქოს გასაგებია, ვინაიდან არ ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია განდგომილ რეგიონებზე, მაგრამ ჩვენი აზრით პრობ-



ლემა უფრო იმაშია, რომ დღეს აფხაზეთის სტატუსზე ლაპარაკი, როგორც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე არარეალური და უპერსპექტივოა, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სამომავლო ბედი ბურუსითაა საერთოდ მოცული და ამოვარდნილია კონსტიტუციური სივრციდან. საქართველოს კონსტიტუციაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით აუცილებლად მიგვაჩნია აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ახალ, რეალპოლიტიკაზე დაფუძნებული პოლიტიკური და კონსტიტუციურ-სამართლებრივი გადანყვეტილებების მიღება, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათთვის განსხვავებული, განსაკუთრებული სტატუსის და, ამავე დროს, მმართველობაში ფართო უფლებების მინიჭებაში.

ვფიქრობთ დადგა დრო, რომ საქართველოს კონსტიტუციამ აღიაროს და დააფიქსიროს აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი აფხაზეთის არა ავტონომიური რესპუბლიკის, არამედ როგორც საქართველოს წევრი აფხაზეთის რესპუბლიკის სახით, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთისათვის სპეციალური რეგიონის სტატუსი მმართველობაში ფართო ავტონომიის მინიჭების მიზნით. რაც თავისთავად მოითხოვს საერთაშორისო გამოცდილების და უკვე არსებული პრეცედენტების გათვალისწინებას, უფლებამოსილების ახლებურად გამიჯვნას და გადანყვეტას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობაში რა უფლებები უნდა დარჩეს, რა უფლებები უნდა გადაეცეს მონაწილე სუბიექტებს და რა უნდა დარჩეს ერთობლივ გამგებლობაში.

დღეისთვის შესაძლებლად მიგვაჩნია საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში 2002 წლის 10 ოქტომბერს შეტანილი ცვლილება გაუქმდეს, რომლითაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრებოდა საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ და მის სანაცვლოდ იმავე მუხლის მე-4 პუნქტში ჩაიწეროს: აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი გარანტირებულია და აღიარებული ამ კონსტიტუციით, აფხაზეთის კონსტიტუციით და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას და აფხაზეთს შორის დადებული კონსტიტუციური ხელშეკრულებით.

სამწუხაროდ საკონსტიტუციო კომისიამ

ამ საკითხებს გვერდი აუარა და მსჯელობაც კი არ იქონია.

### **საერთო ეკონომიკური ინტერესები**

რაც შეეხება საერთო ეკონომიკურ ინტერესებს თქვენი ყურადღება მიიწვი შევაჩერო ერგნეთის ბაზრობაზე. გაყინული კონფლიქტების დროს ერგნეთის ბაზარი, გარკვეულწილად, წარმოადგენდა მშვიდობიანობის ანკლავს. პრაგმატული, რეალ-პოლიტიკაც უთუოდ მოითხოვდა ამ ანკლავის გაფართოებისათვის ხელშეწყობას, ყოველ შემთხვევაში მისი თვითდინების შეუფერხებლობას. შესაძლოა გადაჭარბებაში ჩამეთვალოს, მაგრამ მგონია, რომ ცხინვალსა და საქართველოს შორის არსებული პრობლემის გადაჭრის სხვა მშვიდობიან საშუალებათაგან „ერგნეთი“ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ისე, როგორც დაახლოებით პარალელურად გალსა და ზუგდიდს შორის შექმნილი კომერციული ურთიერთობა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერგნეთის ბაზრობა, მისი ნეგატიური მხარეების მიუხედავად, მაინც ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობების დათბობის ბუნებრივ ზონადაც ჩამოყალიბდა. ამკარად შეიმჩნეოდა, რომ არაფორმალურ სავაჭრო-ეკონომიკურ ზონას სოციალურ-ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ფუნქციის დატვირთვაც ჰქონდა. ჩვენი შეხედულებით, ერგნეთის ბაზრობაზე არსებული ქაოსი საქართველოს ხელისუფლების ინტერესებს დაქვემდებარებულ მართვად პროცესად უნდა გადაქცეულიყო.

თუმცა, ამ ურთიერთობებმა ის შედეგი გამოიღო, რომ შესაძლებელი შეიქმნა ოსეთის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრაციის რეალური გზების ძიება; განსაკუთრებით, ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით.

მართალია, კონფლიქტი ფორმალურად მაინც კონფლიქტად რჩებოდა, მაგრამ უკვე სახემეცვლილი, არა აგრესიული.

### **რატომ არ დადგა შედეგი?**

ის, რომ ვერ მოხერხდა აღნიშნული ფაქტორის გამოყენებით სამხრეთ ოსეთის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრირება, მრავალი საშინაო მიზეზით აიხსნება. მათ შორის ყველაზე მეტად ხელი შეგვიშალა კონტრაბანდამ, რომელმაც 1999-2001 წლებში ნალეკა საქართველოს ეკონომიკა. კორუფცია, ბიუჯეტის დეფიციტი, ქვეყნის შიგნით პოლიტიკური დაძაბულობის ხარისხი სულ

უფრო ზღუდავდა ჩვენს შესაძლებლობას. ერთობლივ ეკონომიკურ პროგრამებს კი მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით არ ჰყოფნიდა.

მაგრამ ძირითადი წინააღმდეგობა მაინც ჩრდილოეთიდან მოდიოდა. რუსეთის პრეზიდენტი ელცინი, პოლიტიკური ისტებლიშმენტის სხვა წარმომადგენლები სიტყვით მიესალმებოდნენ ამ დაახლოების პროცესს, მაგრამ საქმით ყველანაირად ეწინააღმდეგებოდნენ. ეს თვალნათლივ გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველო ომის დროს. საქმე ის არის, რომ დაახლოებით 10 წელიწადია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი და მთავარი სამხედრო დაზვერვის სამსახური უმტკიცებდა რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ ხელისუფლებას, რომ სამხედრო სტრატეგიული დანიშნულების თვალსაზრისით, ოსეთი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე აფხაზეთი.

ხელისუფლებისათვის ამის დამტკიცება მათ შეძლეს კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს.

რა თქმა უნდა, ოსეთთან კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში, ერგენტის ბაზრობა დასახური და გასაუქმებელი იყო. იგი, მართლაც, კრიმინალურ ბურჟუსში იყო გახვეული და კორუფციის ბუდედ ყალიბდებოდა. ზემოთაც აღვნიშნე, რომ იქ არსებული ქაოსი ჩვენს მხრიდან მაქსიმალურად გამოსაყენებელი და მართვადი უნდა ყოფილიყო, წმინდა პროფესიული თვალსაზრისითაც. რა მაქვს მხედველობაში: ბაზრობაზე ყიდვა-გაყიდვის, სხვადასხვა გარიგების მონაწილეების ნაწილი ოსეთის კონფლიქტის უშუალო მონაწილეები იყვნენ ორივე მხრიდან. ვის არ ნახავდით იქ, ქართველს, ოსს, სომეხს, აზერბაიჯანელს, ჩეჩენს, ლეკს, ინგუშს, ქალაქელს, სოფელს, კრიმინალს, ბიზნესმენს, წვრილმოვაჭრეს, პედაგოგს, ექიმს, მოხუცს, ახალგაზრდას, ბავშვებიც კი იყვნენ ამ საქმით დაკავებული. ეს ვითარება რომ არ ყოფილიყო, უნდა ენატრა ქართველ სპეცსამსახურებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებს. ასეთი ხელსაყრელი ბუნებრივი გარემოს შექმნას სპეცსამსახურები „მონაპოვარს“ უწოდებენ.

გაჩნდა რეალური, ბუნებრივი საშუალება გვემუშავა ისეთ გავლენიან ადამიანებთან (კარგი გაგებით), რომლებიც, თავის მხრივ, ოს ხალხს და არა მარტო მათ, დაანახებდა ქართველებისა და ოსების ერთად ცხოვრების, ელემენტარული ფიზიკური

არსებობისათვის საჭირო აუცილებლობას. დაარწმუნებდა მათ შერიგების, ურთიერთპატიების, საქმის ერთად კეთების, გადახვეწილი ადამიანების თავიანთ სახლებში დაბრუნების, დანგრეული და გაპარტახებული სოფლებისა და ქალაქების ერთად აშენების აუცილებლობაში და ასეთი ადამიანები მრავლად „მოიპოვებოდა“ ერგენტის ბაზრობაზე. ასეთი მიზნების განსახორციელებლად ცოცხალ ადამიანს ვერაფერი ვერ შეცვლის, ნამდვილად ვერ გასწევს მათ მაგივრობას თანამედროვე, უნიკალური, მილიონებად ღირებული სპეციალური ტექნიკა. მხოლოდ ადამიანებს, მათ ურთიერთობებს შეუძლიათ გაუწიონ ფასდაუდებელი სამსახური კონფლიქტების მოგვარების საქმეს. როგორ, რა ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით, რა ვითარებაში, როდის და სად? ეს უკვე პროფესიონალების მოსაფიქრებელი და გასაკეთებელი საქმე იყო, რომელსაც უდიდესი ძალისხმევა, შრომა, გამოცდილება, თავდადება, რისკი და პატრიოტიზმი სჭირდებოდა. სამწუხაროდ, ეს შანსი მაშინ ხელიდან გავუშვიტ.

უდავოა, რომ საჭიროა კონფლიქტების მონესრიგების ახალი გზების ძიება, რომლებიც მხოლოდ რეალპოლიტიკას დაემყარება. აქედან გამომდინარე, კონფლიქტების ჩიხიდან გამოსაყვანად განსხვავებული სტრატეგია სჭირდება, როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე საერთაშორისო თანამეგობრობას. კვლევისას იმაშიც დავრწმუნდით, რომ გაყინული კონფლიქტების გაყინული გაურკვეველობა აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებით არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კომერციული ურთიერთობა, თუნდაც ყოფით დონეზე, აუცილებლად ამოქმედდება. სწორედ ამ დროისათვის უნდა ვიყოთ მზად სამოქმედო პროგრამით, რომლის პოლიტიკა და სტრატეგია მეორე მხარესთან (მხარეებთან მიმართებით) არ უნდა იყოს არც შეტევითი და არც დაცვითი, არამედ კონსტრუქციული და კომპრომისული, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზანი უნდა იყოს ურთიერთშორისი ნდობის აღდგენა, შერიგება და თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ სიტუაციის ორივე მხარისათვის მისაღებად და სასარგებლოდ განვითარება, რამაც კონფლიქტის სრულმასშტაბიან მონესრიგებამდე უნდა მიგვიყვანოს.

უკვე დღეს უნდა ვიფიქროთ და შეთავაზებაც უნდა გავაკეთოთ ისეთი მსხვილი

ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, როგორცაა თბილისი-ზუგდიდი-ლესელიძის ავტობანის მშენებლობა, იძულებით გადაადგლებულ პირთა თავის საცხოვრისში დაბრუნების სანაცვლოდ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, რომლითაც რამდენიმე სახელმწიფოა დაინტერესებული.

ცალკე გამოყოფილი ანაკლიის პორტის მშენებლობის მნიშვნელობას, მას უდავოდ მრავალფუნქციური არამარტო ეკონომიკური არამედ პოლიტიკური დანიშნულება ექნება, მათ შორის ვაჭრობის წახალისებისა და სამშვიდობო პროცესების გააქტიურების მიზნით, ეკონომიკური ბერკეტების ასამუშავებლად ქართველებსა და აფხაზებთ შორის. ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზებთან თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა და ანაკლიის პორტის ფაქტორი აუცილებლად გამოიწვევს, ნებით თუ უნებლიედ, აფხაზური მხარის დაინტერესებას.

რაც შეეხება ჩვენს სინამდვილეს, განვლილი ოცდახუთწლიანი ისტორიის გაკვეთილები, მხოლოდ იმაზე მიგვითითებენ, რომ თუნდაც ყოფით დონეზე, ეპიზოდურად კომერციულ და ბიზნესურთიერთობის დაწყებას და მის შემდგომ ეტაპობრივ, სულ უფრო მზარდ განვითარებას რაც პოლიტიკურ ენაზე

დიალოგის დაწყებასაც ნიშნავს ალტერნატივა არ აქვს. განდგომილ რეგიონებთან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული რბილად დამკვიდრების ეკონომიკური პოლიტიკა, მისი ფართო გაგებით, ყველაზე სწორი და გამართლებული გზაა, რომელიც მყისიერად არა, მაგრამ სამომავლოდ აუცილებლად დადებით შედეგს მოიტანს. უკეთესი ცხოვრებისაკენ სწრაფვა იყო, არის და იქნება მცირე და დიდი ერების, შესაბამისად, ქვეყნების მუდმივი საზრუნავი, აქედან გამომდინარე, ეროვნული ინტერესების მთავარი შემადგენელიც. იგი პირდაპირ დაკავშირებულია არა მარტო თვითგადარჩენასთან, არამედ მათი განვითარების მთავარი ფაქტორია. თუ არ არის ასეთი მუდმივი მისწრაფება, მაშინ მცირენიცი და დიდნიცი თვითლიკვიდაციას უცხადებენ საკუთარ თავს.

ერთი სიტყვით ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ როგორც აფხაზებისთვის, ისე ოსებისთვის დიდი, ნათელი ფანჯარა გავხსნათ, რომელიც მათ ეკონომიკური განვითარებისა და დაცულობის მეტი პერსპექტივის განცდას ჩაუსახავს, ვიდრე სხვა ფანჯრები, რომლებითაც ისინი სარგებლობენ

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია სამშვიდობო ინიციატივების როლი განდგომილი რეგიონების შემორიგებისათვის. ავტორითვის, რომსაჭიროა კონფლიქტების მოწესრიგების ახალი გზების ძიება, რომლებიც მხოლოდ რეალპოლიტიკას დაემყარება. აქედან გამომდინარე, კონფლიქტების ჩიხიდან გამოსაყვანად განსხვავებული სტრატეგია სჭირდება, როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე საერთაშორისო თანამეგობრობას.

საჭიროა სამშვიდობო ინიციატივების შემუშავება, მაგალითად აფხაზური და ოსური მხარეებისათვის შეთავაზების სრულიად ახალი პაკეტის შემუშავება, რომლის განუყოფელ ნაწილს უნდა შეადგენდეს:

1. საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტი, საქართველოს კონსტიტუციის მიერ საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის, არა როგორც ნაწილის, არამედ როგორც განსაკუთრებული სტატუსის მქონე წევრების აღიარების შესახებ მათი გამორჩეულობის გამო;

2. კონსტიტუციური ხელშეკრულების პროექტი, საქართველოსა და განდგომილ რეგიონებს შორის კომპეტენციათა გამიჯვნისა და პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ საკითხებში მათთვის ფართო უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. კონსტიტუციური ხელშეკრულების გაფორმება უნდა მოხდეს საერთაშორისო ორგანიზაციების და ცალკეული სახელმწიფოების, მათ შორის რუსეთის მონაწილეობით;

3. მხარეთა და კონფლიქტის დარეგულირების მონაწილეთა შეთანხმების პროექტი (არანაკლებ 3-5 წელზე გათვლილი), იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნების

ყოვლისმომცველ ღონისძიებათა შესახებ;

4. საქართველოსა და განდგომილ რეგიონებს შორის დადებული ერთობლივი ხელშეკრულების პროექტი, იქ მცხოვრებთ და დაბრუნებულთათვის ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად ეკონომიკური განვითარების 10 წლიანი პროგრამის შესახებ, ფინანსური უზრუნველყოფის წყაროების მითითებით და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, ცალკეული სახელმწიფოების თავდებობით.

## SUMMARY

The article discusses the role of peace initiatives for reconciling of the breakaway regions. The author believes that it is necessary to search for new ways of resolving the conflicts which will be based solely on real politics. Therefore, both Georgian government and international community need different strategy for taking conflicts out from the deadlock.

It is necessary to work out peace initiatives such as an entirely new package for the Abkhaz and Ossetian sides whose integral part should be:

1. Draft amendments to Georgian Constitution on the provision of special political, legal and economic rights to Abkhazia;
2. Draft Constitutional Agreement between Georgia and Abkhazia on the division of authorities;
3. Draft Agreement between the conflict sides and conflict settlement process participants on the measures for return of internally displaced persons to their living places;
4. Draft 10-year program for economic development of Abkhazia.

ვაჟა ჩოჩია  
გორის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტის პროფესორი

1878 წლის ბერლინის კონგრესმა წინააღმდეგობანი ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის ვერ შეასუსტა. ყოველ მათგანს კონგრესიდან უკმაყოფილების გრძნობა გამოყვა (9: 465). თუმცა, კანცლერმა ბისმარკმა, როგორც კონგრესის თავმჯდომარემ, მის მონაწილეებთან დამშვიდობებისას განაცხადა: "შესაძლებლობის ფარგლებში, ამ კონგრესმა ევროპას კარგი სამსახური გაუწია მშვიდობის შენარჩუნებისა და მხარდაჭერის საქმეში" (12: 367). იმპერატორი ალექსანდრე II სანინააღმდეგო აზრის იყო. იგი აღნიშნავდა, რომ ბერლინის კონგრესი სხვა არაფერი იყო თუ არა "ევროპული კოალიცია თავადი ბისმარკის ხელმძღვანელობით, რომელიც მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ" (12: 379). ამას ისიც ადასტურებდა, რომ კონგრესმა რუსეთს წაართვა თურქეთთან ომში გამარჯვების შედეგად მიღებული წარმატება, ამიტომ პეტერბურგი შეეცადა პოლიტიკის შეცვლას და საფრანგეთთან დაახლოებას (16: 85).

გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ბერლინი ვენაში ხედავდა მტკიცე დასაყრდენს შემდგომი ექსპანსიისათვის (6: 228). ამასთანავე, რუსეთის როგორც არასაიმედო მოკავშირის დასუსტება გერმანიისთვის ხელსაყრელი იყო (16: 63-64). ვენასთან დაახლოება რუსეთთან მტრობას ან ურთიერთობების განწყვეტას არ ნიშნავდა. ეს სახიფათო იქნებოდა გერმანიისათვის, ვიდრე მას არ მოენახა ისეთი კომბინაცია, რომელიც უზრუნველყოფდა გერმანიის უსაფრთხოებას. მხედველობაში ჰქონდა რა "სამი იმპერატორის კავშირი", ბისმარკი ამბობდა კიდევ, რომ "ვიდრე სამყაროს მართავს ხუთი დიდი სახელმწიფოს მყიფე წონასწორობა, საჭიროა სამეულის შენარჩუნება" (36: 335).

რუსეთ-გერმანიის ურთიერთობების გაუარესებას ხელს უწყობდა სლავიანოფილური პრესის გალაშქრება გერმანიის წინააღმდეგ (9: 471), რომელსაც რუსეთის ინტერესებისადმი ღალატში ადანაშაულებდნენ. ბისმარკი, თავის მხრივ, რუსეთს კიცხავდა შექმნილ ვითარებაში და ამტკიცებდა, რომ ბერლინის კონგრესიდან მან უფრო მეტი გააკეთა რუსეთისათვის, ვიდრე რუსეთის დიპლომატიებმა ერ-

თად აღებულმა (11: 136). ბისმარკი, რა თქმა უნდა, შორს იყო ჭეშმარიტებისაგან. რუსეთ-გერმანიის ურთიერთობების გაუარესებას ხელს უწყობდა აგრეთვე ეკონომიკური ხასიათის წინააღმდეგობანი მათ შორის. გერმანია წარმოადგენდა მნიშვნელოვან ბაზარს რუსეთის ნედლეულისათვის (11: 139) და ნებისმიერ შეზღუდვას ამ სფეროში ძალიან მწვავედ აღიქვამდნენ რუსეთში, რაც ხშირად საგაზეთო კამპანიის მიზეზიც ხდებოდა (12: 380).

რუსეთისა და გერმანიის გაბატონებულ კლასებს შორის ურთიერთობების გაუარესება, ხელს უწყობდა გერმანიის დიპლომატიას განეხორციელებინა ახალი დიპლომატიური კომბინაცია და კავშირი დაედო ავსტრია-უნგრეთთან (5: 300). ამასთან დაკავშირებით, რუსი დიპლომატი საბუროვი პეტერბურგს ურჩევდა არ ებიძგებინათ ბერლინისთვის ვენაში მოენახა მოკავშირე. იგი აცნობებდა პეტერბურგს 1879 წლის ივლისში ბისმარკთან თავისი საუბრის შესახებ: "აგერ უკვე წელიწადია, რაც ჩვენ ვხედავთ მზარდ დაახლოებას ბერლინსა და ვენას შორის. ეს გერმანიასთან ჩვენი დაძაბული ურთიერთობების პირდაპირი შედეგია. ახლა თვითონ ბისმარკი უჭერს მხარს ამ დებულებას, რადგან არ გააჩნია სხვა უკეთესი და ჩვენ შეგვიძლია შეწყვიტოთ ის, როგორც კი მოვისურვებთ ... ეს ადამიანი ყველგან პოულობს სარგებელს, განურჩევლად, სადაც კი შეუძლია. შევნიშნავთ, რომ არ უნდა მივაჩვიოთ ის ვენაში ეძებოს დასაყრდენი, რომელიც არ ყოფნის მას პეტერბურგში" (14: 81). საბუროვი ხედავდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუარესების მიზეზებს, მაგრამ ვერ ამჩნევდა გერმანიის დიპლომატიის მთავარ მიმართულებას, რომელიც გაერთიანების შემდეგ წარმოიშვა. აქედან გამომდინარე, საბუროვი ძველებურად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პეტერბურგის პოზიციას.

საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით, გერმანიის დიპლომატია საიმედო მოკავშირის მონახვას გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა. ამ მხრივ, სუსტი ავსტრია-უნგრეთი უფრო პერსპექტიული ჩანდა. გაზეთი "დროება" მართებულად აღნიშნავდა, რომ გერმანიას სულაც არ ანუხებდა მშვიდობის

დამყარება ევროპაში, ის ეძებდა მოკავშირეს, რომ ამით გაძლიერებულიყო და ებატონა ევროპაში (1).

ბისმარკი ვენასთან დაახლოებას ამართლებდა და თავის მოგონებებში მიუთითებდა, რომ ავსტრია-უნგრეთის მონარქიის, როგორც ძლიერი და დიდი სახელმწიფოს შენარჩუნება აუცილებელი იყო გერმანიისათვის და წონასწორობისათვის ევროპაში (6: 225-226). იმავე დროს, ავსტრია-უნგრეთის მთლიანობის შენარჩუნება ეკონომიკური თვალსაზრისითაც სასარგებლო იყო, რადგან ის წარმოადგენდა ხელსაყრელ ბაზარს გერმანიის მრეწველობისათვის (8: 412). ბისმარკის ჩანაფიქრის განხორციელებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ავსტრია-უნგრეთი და რუსეთი მძაფრად უპირისპირებოდნენ ერთმანეთს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (9: 467). ბუნებრივია, ვენას ესაჭიროებოდა გარკვეული გარანტიები უფრო ძლიერი მეზობლის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ ცდილობდა საგარეო საქმეთა მინისტრი დიულა ანდრაში მტკიცე ურთიერთობების დამყარებას გერმანიასთან.

მიმოხილვაში "ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა", გ. წერეთელი მიუთითებდა ბისმარკის დიპლომატიურ ხრიკებზე და აღნიშნავდა: "კონგრესის შემდეგ ცხადად დამტკიცდა, რომ ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებს პირი შეეკრათ ერთმანეთში; რაც რუსეთმა მოიმკო და შეიძინა აღმოსავლეთის ომში, ის გერმანიას და ინგლისს თავიანთ ბელღებში უნდა ჩაეყარათ" (2). გერმანიის დიპლომატია შენიღბულად მოქმედებდა, მაგრამ მაინც შესამჩნევი იყო, რომ "გერმანია და ავსტრია ერთმანეთში კავშირს კვრენ" (2).

ყველაზე დიდი წინააღმდეგობა, რომელიც ხელს უშლიდა გერმანიის დიპლომატიას, იყო უკვე საკმაოდ მოხუცი იმპერატორის ვილჰელმ I-ს პოზიცია. მას არ სურდა რაიმე კავშირის დადება რუსეთის წინააღმდეგ (26). ბისმარკმა იცოდა ამის შესახებ, ამიტომ ყოველმხრივ ცდილობდა დაემტკიცებინა ვილჰელმ I-თვის, რომ ბერლინის კონგრესის შემდეგ რუსეთმა აშკარად მტრული პოზიცია დაიკავა გერმანიის მიმართ. ბისმარკი ეყრდნობოდა ალექსანდრე II-ის პირად წერილს ვილჰელმ I-დმი. რუსეთის მეფე უკმაყოფილო იყო გერმანიის პოზიციით ბერლინის კონგრესზე და გორჩაკოვისადმი სიძულვილის გამო ბისმარკს რუსეთის მიმართ მტრულ მოქმედებაში ადანაშაულებდა. წერილი შეიცავდა გაფრთხილებას, რომ თუ გაგრძელ-

დებოდა მტრული დამოკიდებულება, ის დამლუპველი იქნებოდა ორივე ქვეყნისათვის (17: 666). ეს წერილი წარმოადგენდა კარგ მიზეზს, რომ ბისმარკს გავლენა მოეხდინა ვილჰელმ I-ზე და დაერწმუნებინა ის ვენასთან კავშირის სარგებლიანობაში (16: 99).

ვენასთან კავშირის გაფორმება დააჩქარა პეტერბურგის პოზიციამ და ანდრაშის განზრახვამ მალე დაეტოვებინა თანამდებობა (20: 56). ანდრაში გერმანიასთან კავშირის თავგამოდებული მომხრე იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც რუსეთმა მხარი დაუჭირა ბალკანეთის სლავებს, რამაც მკაფიოდ იჩინა თავი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს. ბისმარკი არც პროპაგანდისტულ კამპანიას მორიდებია, რათა საზოგადოების თვალში გაემართლებინა ვენასთან დაახლოება (13: 89).

1879 წლის 27-28 აგვისტოს გაშტეინში ბისმარკს შეხვედრები ჰქონდა გრაფ ანდრაშთან. მათ განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო სამოკავშირეო ხელშეკრულებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ბისმარკმა იცოდა ანდრაშის დამოკიდებულება კავშირისადმი, მას მაინც შეახსენა, რომ არსებობდა "რუსული საფრთხე", ამიტომ ვენას არ შეეძლო ნეიტრალური დარჩენილიყო (23: 138). ბისმარკმა კარგად იცოდა, რომ ვენასა და პეტერბურგს შორის კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, გერმანია ვერ შეძლებდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას, რადგან, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მას მხარი უნდა დაეჭირა ვენისთვის (23: 138-139). ბერლინი მზად იყო ამისათვის ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომი დროს, როცა ბისმარკი ყოველმხრივ ცდილობდა დაეპირისპირებინა რუსეთი ინგლისთან და ავსტრიასთან. ბისმარკის აზრით, ამას უნდა გაეადვილებინა გერმანიისათვის საფრანგეთის თავის ფარვატერში ჩათრევა (21: 9).

ბისმარკის შეხვედრას ანდრაშთან, როგორც დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავდნენ, არავინ არ შეუყვანია შეცდომაში, თითქოს ეს შეხვედრები მიზნად ისახავდნენ ევროპული მშვიდობის შენარჩუნებას (19: 322). ამ აზრის გატარებას ბისმარკი თავი მოგონებებშიც ცდილობდა. იმ ადგილას, სადაც გაშტეინის შეხვედრაზე ლაპარაკობს, ის აღნიშნავს, რომ შეთანხმდნენ კავშირს ჰქონოდა წმინდა თავდაცვითი ხასიათი, რომ ანდრაშმა უარყო ბისმარკის წინადადება გაეცრვლებინათ კავშირის პირობები სხვა ქვეყნებზეც (6: 215).

ვილჰელმ I-ის შეხედულების გათვალისწინებით, ბისმარკმა დაუმალა მას გაშტეინის შეხვედრის შესახებ. თავისი პოზიცია რომ გაემყარებინა, ბისმარკმა ანდრაშთან შეხვედრის შესახებ აცნობა ბავარიის მეფეს ლუდვიგს. გაშტეინიდან გაგზავნილ დიდ წერილში ბისმარკი ბავარიის მონარქს აცნობებდა პოლიტიკური სიტუაციის შესახებ, რომლის წინაშე იდგა გერმანია და თავის მოსაზრებას ავითარებდა ხელშეკრულების შესახებ (6: 215-218). ბისმარკმა სწრაფად მიიღო ბავარიის მეფის პასუხი, რომელშიც ის იწონებდა ბისმარკის გეგმას (6: 218-219; 23: 139).

იმპერატორ ვილჰელმ I-ს არ შეუცვლია თავისი აზრი ვენასთან კავშირისადმი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ. იგი ამას აკეთებდა საკმაოდ გონივრული პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით: იგი უფრო ხოდა შესაძლო მტრული კოალიციის შექმნას გერმანიის წინააღმდეგ და მიაჩნდა, რომ ვენასთან კავშირის გაფორმებით უზიძვებდა რუსეთს საფრანგეთის მხარდაჭერა ეძებნა (26). თავის მოსაზრებაში დარწმუნებული რომ ყოფილიყო, ვილჰელმ I-მა ალექსანდრე II-ის კარზე ვარშავაში გააგზავნა თავისი ადიუტანტი, ფელდმარშალი მანტოიფელი (33: 515). ვარშავაში შეხვედრისას, ალექსანდრე II-მ დაამშვიდა მანტოიფელი, რომ რუსეთი არ აპირებდა გერმანიის წინააღმდეგ რაიმე ღონისძიების გატარებას და სურვილი გამოხატა პირადად შეხვედროდა ვილჰელმ I-ს.

ბისმარკმა 31 აგვისტოს გაიგო, რომ მონარქები აპირებდნენ შეხვედრას, რამაც მისი შიში გამოიწვია, რომ არ ჩაშლილიყო ვენასთან დაახლოების კურსი, თუ ალექსანდრე II ვილჰელმ I-ს კავშირის დადებას შესთავაზებდა. ბისმარკის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მონარქების შეხვედრა შედგა 3-4 სექტემბერს რუსეთის ტერიტორიაზე, ალექსანდროვოში, საზღვრის მახლობლად (33: 593-594; 10: 134). ბისმარკისთვის ძალიან უსიამოვნო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ვილჰელმ I ბერლინში კმაყოფილი დაბრუნდა. ეს ნიშნავდა, რომ მას არაფრის მოსმენა არ სურდა ვენასთან კავშირის შესახებ რუსეთის წინააღმდეგოდ (28).

ბისმარკი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ იმედიანად იყო. 21 სექტემბერს ის მიემგზავრება ვენაში ანდრაშთან სამოკავშირეო ხელშეკრულების ტექსტზე შესათანხმებლად (24: 588). ბისმარკი ცდილობდა ისეთი

შეთანხმებისთვის მიეღწია, რომელიც მიმართული იქნებოდა როგორც რუსეთის, ისე საფრანგეთის წინააღმდეგ, მაგრამ ანდრაშმა ამაზე უარი განაცხადა (29). მას საფრანგეთის წინააღმდეგო არაფერი არ გააჩნდა. ბისმარკი იძულებული იყო თანხმობა მიეცა (32: 264-265).

ხელშეკრულება, რომელიც უშუალოდ რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული (35: 49), აშკარად მიუღებელი იყო ვილჰელმ I-თვის. ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას, ზემოქმედების მიზნით, ბისმარკმა ჩვეულ ხერხს მიმართა, დარწმუნებულმა, რომ შეძლებდა იმპერატორის დაყოლიებას. ვენიდან დაბრუნების შემდეგ, 26 სექტემბერს ბისმარკმა შეკრიბა მთავრობა და მისი წევრებიგან მიიღო თანხმობა კოლექტიური გადაგომის შესახებ, თუ კავშირი ვენასთან არ იქნებოდა დადებული. იმავე დროს, არსებობდა ერთი ხელსაყრელი გარემოება, რომელიც ხელს უწყობდა ბისმარკს შექმნილ ვითარებაში. ეს ეხებოდა იმპერატორის შესაძლო გადადგომას პროტესტის ნიშნად. მაგრამ თუ ეს მოხდებოდა, მას შეცვლიდა მემკვიდრე პრინცი, რომელიც ვენასთან კავშირის მომხრე იყო (6: 222; 32: 265).

ვილჰელმ I იძულებული გახდა დაეთმო და 1879 წლის 7 ოქტომბერს ვენაში, გრაფმა ანდრაშმა და გერმანიის ელჩმა თავადმა როისმა, ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ძირითადად ანდრაშის ფორმულირების მიხედვით. ანდრაში უნგრელი იყო და შიშობდა, რომ დაახლოება გერმანიასა და რუსეთს შორის უნგრეთისათვის შეილებოდა საზიანო ყოფილიყო (32: 193).

შეთანხმების პრეამბულაში ნათქვამი იყო, რომ "გულითადი თანამშრომლობა გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის არავისთვის არ ქმნის საშიშროებას, იგი ითვალისწინებს ევროპული მშვიდობის განმტკიცებას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ბერლინის შეთანხმებამ" (23: 140).

ხელშეკრულების პირველ სტატიაში ეწერა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთს თავს დაესხმოდა რუსეთი, მაშინ ორივე მხარე ვალდებული იქნებოდა ერთმანეთს დახმარებოდა მათ განკარგულებაში მყოფი მთელი ძალებით და არ დაედოთ ზავი ერთმანეთთან თანხმობის გარეშე (34: 80; 24: 588). სხვა სახელმწიფოების თავდასხმის შემთხვევაში, ორივე მხარე იღებდა ვალდებულებას დაეცვა კეთილსასურველი ნეიტრალიტეტი, თუ აგრესორს რუსეთი არ შეუერთდებოდა

(20: 56). წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველი სტატია დაუყოვნებლივ ამოქმედდებოდა. ხელშეკრულება საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. ამის ერთ-ერთ მიზეზს ის წარმოადგენდა, რომ ანდრაშს ემინოდა სერიოზული წინააღმდეგობისა ავსტრიის პარლამენტში, უმთავრესად ოპოზიციის მხრიდან და ასევე არაგერმანელი ნაციონალისტების მხრიდანაც (32: 264).

კავშირის დადება და ვალდებულება, შეიარაღებული ძალებით ურთიერთმხარდაჭერის შესახებ, განპირობებული იყო მადიარელი მაგნატების და პროუსიელი იუნკრების სოციალურ ინტერესთა თანხვედრით. თვითონ ბისმარკი და გერმანიის დიპლომატია, 1879 წლის ორთა კავშირის გაფორმებით ვენასთან, დიდი გერმანიის იდეის ხორცშესხმას ხედავდა (22: 124). ეს შეთანხმება საიდუმლოდ არ დარჩენილა, მაგრამ მისი პირობები ცნობილი გახდა მხოლოდ 1888 წლის 6 თებერვალს, როდესაც ბისმარკმა რაიხსტაგში გამოსვლისას ამის შესახებ განაცხადა (15: 88).

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი რობერტ სოლსბერი მიესალმა ცნობას კავშირის დადების შესახებ გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის, როგორც "კეთილ, ძალიან სასიხარულო ცნობას" (18: 288). თუ აქამდე ინგლისი თვითონ უწევდა წინააღმდეგობას რუსეთს ბალკანეთზე, ამიერიდან ამას გააკეთებდა ვენა, დარწმუნებული ბერლინის მხარდაჭერაში. ამიერიდან, გერმანია იმოქმედებდა ინგლისის ინტერესებისთვის და არა მის წინააღმდეგ (18: 288).

1879 წლის 15 ოქტომბერს ვილჰელმ I-მა ვენასთან დადებული თავდაცვითი ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა (31: 295). უკმაყოფილო იმპერატორმა, რომელსაც დათმობა მოუხდა ბისმარკის უდრეკი ნებისყოფისა და ინტრიგების წინაშე, საგარეო საქმეთა სტატსმდივანს ბერნჰარდ ფონ ბიულოვს (რომელიც იმ დროს რამდენადმე კრიტიკულად იყო განწყობილი ბისმარკის პოლიტიკისადმი) მისწერა: "ის ადამიანები, რომლებმაც მაიძულეს გადამედგა ეს ნაბიჯი, ვალდებული იქნებიან პასუხი ზევით აგონ" (32: 265), ე. ი. ღმერთის წინაშე, განკითვის დღესო და ჩიოდა "მთელი ჩემი მორალური ძალები გამტყდარია" (32: 265).

ვილჰელმ I-მა, თავისი ხელმოწერით, ეს შეთანხმება დაამოწმა, მაგრამ ეს იმ პირობით გააკეთა, თუ შეთანხმება რუსეთის მეფისთვის საიდუმლოდ არ დარჩებოდა (34: 80; 19: 322). ბისმარკს ახალი წინააღმდეგო-

ბა უნდა გადაეღებინა. იგი შეუდგა წერილის პროექტის შედგენას, რომელიც ვილჰელმ I-ს უნდა გაეგზავნა ალექსანდრე II-თვის და განემარტა ვენაში ბისმარკის ვიზიტის მიზეზები. ცხადია, ბისმარკი არ დაუშვებდა საიდუმლოს გამჟღავნებას. ამიტომ წერილის შინაარსი იმგვარად შეადგინეს, რომ მას ბისმარკის ვიზიტის ნამდვილი შედეგები შეენიღბა. წერილი აცნობებდა ალექსანდრე II-ს, რომ ბისმარკი ვენას ეწვია ანდრაშის მიწვევით, რომელსაც სურდა განემარტა თავისი გადადგომის მიზეზები; იმავე დროს, მათ დადეს შეთანხმება ურთიერთსოლიდარობის შესახებ, მშვიდობის შენარჩუნების მიზნით. ბუნებრივია, წერილში არაფერი არ იყო ნათქვამი ხელშეკრულების ნამდვილ შინაარსზე, კერძოდ იმ პუნქტზე, რომელშიც საუბარი იყო ურთიერთდახმარების შესახებ რუსეთის წინააღმდეგ (30). ამკარა სიყალბის კარგად შენიღბვის მიზნით, ბისმარკმა გონება მახვილურ ხრიკს მიმართა. წერილი შეიცავდა მიმართვას რუსეთის მეფისადმი, რომ შეერთებოდა ხელშეკრულებას, რომელიც არ არსებობდა. ეს იყო დიპლომატიური ეკვილიბრისტიკის იშვიათი ნიმუში.

მეტი დამაჯერებლობისათვის, ბისმარკმა დაარწმუნა ვილჰელმ I საკუთარი ხელით გადაეწერა მისთვის შეთავაზებული წერილის ტექსტი, რაც გააკეთა კიდეც მონარქმა და თავისი ხელმოწერით გაუგზავნა ალექსანდრე II-ს (17: 696-697). სინდისი რომ დაემშვიდებინა, ვილჰელმ I-მა დაუდასტურა ალექსანდრე II-ს, რომ არც თვითონ და არც მისი მემკვიდრე არასოდეს არ დაინწყებდნენ ომს რუსეთთან (4).

ამ საიდუმლო ხელშეკრულების მეშვეობით, გერმანული მილიტარიზმი იადვილებდა საქმეს, რადგან უზრუნველყოფილი იყო ვენის ნეიტრალიტეტი საფრანგეთთან ახალი ომის შემთხვევაში. თუ ომში რუსეთი ჩაერთვებოდა, გერმანიას გარანტირებული ჰქონდა ავსტრია-უნგრეთის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა მიუხედავად იმისა, რომ ორთა კავშირი, ფორმალურად, თავდაცვითი ხასიათისა იყო. ეს კავშირი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპაში მილიტარისტული ბლოკების შექმნას (5: 301), მიზნად ისახავდა გერმანიის მსხვილი ბურჟუაზიის, იუნკრების და მილიტარისტების აგრესიული გეგმებისათვის ხელის შეწყობას. ბისმარკმა, - წერდა ა. ტეილორი, - ავსტრიელებს უდიდესი კოზირი მისცა და იმის მაგივრად, რომ კმაყოფილი ყოფილიყო გაურკვეველი დაპირებით,



მან დადო ოფიციალური კავშირი, პირველი მუდმივი შეთანხმება მშვიდობიან დროს, ორ დიდ სახელმწიფოს შორის (18: 286). იქვე ა. ტეილორი დასძენდა: "ალბათ თვითონ ბისმარკიც ბოლომდე ვერ აცნობიერებდა მის მიერ გადადგმული ნაბიჯის გადამწყვეტ ხასიათს" (18: 286). უდავოა, ამ კავშირმა ურუნველყო მშვიდობა ევროპაში რამდენიმე ათეული წლით, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჩაითრია გერმანია და მთელი ევროპა პირველ მსოფლიო ომში (18: 287; 5: 301). საინტერე-

სოა, რომ ამ კავშირმა 1918 წლამდე იარსება. "ის ნამდვილად გახდა კავშირების ომამდელი სისტემის საძირკველი, რომელმაც მიგვიყვანა ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის დაპირისპირებამდე" (7: 157). გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის კავშირმა საფუძველი ჩაუყარა სამხედრო-პოლიტიკური კოალიციების ჩამოყალიბებას. მის ინიციატორად გამოვიდნენ გერმანიის იმპერიის მმართველი წრეები და გერმანიის დიპლომატია კანცლერ ბისმარკის მეთაურობით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზ. "დროება", 1878 № 78.
2. გაზ. "დროება", 1879, № 45.
3. გაზ. "დროება", 1879, № 45
4. გაზ. "დროება", 1879, № 236.
5. მენტეშაშვილი ალბ. საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია, წიგნი II. 1799-1918. თბ., 2002.
6. Бисмарк О. Мысли и воспоминания, т. II, пер. с нем., М., 1941.
7. Бриггс Э., Клэвин П. Европа нового и новейшего времени с 1789 года и до наших дней. Пер. с англ., М., 2006.
8. Германская история в новое и новейшее время, т. I. М., 1970.
9. Дебидур А. Дипломатическая история Европы. 1814-1878, т. II. Ростов-на-Дону, 1995.
10. Дживилегов А. К. История современной Германии, ч. II. СПб., 1910.
11. История дипломатии, т. II. М., 1963.
12. Палмер А. Бисмарк. Пер. с англ., Смоленск, 1998.
13. Ротштейн Ф. А. Международные отношения конца XIX века. М.-Л., 1960.
14. Русско-германские отношения 1873-1914 гг. М., 1922.
15. Сементковский Р. И. Князь Бисмарк. Его Жизнь и государственная деятельность. СПб., 1895.
16. Сказкин С. Д. Конец австро-русско-германского союза. М., 1974.
17. Татищев С. С. Император Александр II. Его жизнь и царствование, т. II. СПб., 1903.
18. Тейлор А. Дж. П. Борьба за господство в Европе. 1848-1918. Пер. с англ., М., 1958.
19. Утин Е. В. Вильгельм I и Бисмарк. СПб., 1892.
20. Фей С. Происхождение мировой войны, т. I. Пер. с англ., М.-Л., 1934.
21. Brandenburg E. Von Bismarck zum Weltkrieg. Berlin, 1925.
22. Buchheim K. Das Deutsche Kaiserreich. 1871-1918. München, 1969.
23. Dawson W. The German Empire. 1867-1914, vol. 2. Hamden, connecticut, 1966.
24. Deutsche Geschichte, Bd. II. Berlin, 1967.
25. Die Grosse Politik der Europäischen Kabinette. Sammlung der Diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes. Bd. 1-40. Berlin, 1922-1927. – Bd. III, № 466.
26. Ibidem.
27. Ibidem, № 453.
28. Ibidem, № 466.
29. Ibidem, № 455.
30. Ibidem, № 509.
31. Engelberg E. Bismarck. Das Reich in der mitte Europas. Berlin, 1990.
32. Eyck E. Bismarck and the German Empire. New York, 1958.

33. Gall L. Bismarck der Weise Revolutionär. Frankfurt a. M., 1980.
34. Mommsen W. Bismarck. Ein politisches Lebensbild. München, 1959.
35. Waller A. Bismarck. New York, 1985.
36. Wolter H. Bismarcks Außenpolitik. 1871-1881. Berlin, 1983.

## რეზიუმე

ევროპაში სამხედრო-პოლიტიკური კავშირების შექმნის დასაწყისი

ბერლინის კონგრესის შემდეგ ბერლინისა და პეტერბურგის ურთიერთობა გართულდა. სიტუაცია უბიძგებდა გერმანიის დიპლომატიას და მის ხელმძღვანელს კანცლერ ბისმარკს, რომ გაეტარებინა ახალი დიპლომატიური კომბინაცია, რომელიც დაიგეგმა დიდი ხნის წინ. ბერლინს ჭირდებოდა საიმედო მოკავშირე, როგორც საფრანგეთის წინააღმდეგ, ისე გერმანიის ეხსპანსიონისტური პოლიტიკის გატარებისათვის.

გერმანული დიპლომატია ცდილობდა დაეპირისპირებინა დიდი ქვეყნები და ამით საკუთარი მიზნები განეხორციელებინა. ბისმარკი ესწრაფვოდა კავშირს ვენასთან, მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორი ვილჰელმ I წინააღმდეგი იყო. ამ დაბრკოლების მიუხედავად, ბისმარკმა თავისი დიდი ნებისყოფისა და საგანგებო დიპლომატიური მანევრის დახმარებით, შეძლო ვენასთან სამხედრო და პოლიტიკური შეთანხმების დადება. ეს პასუხობდა ვენის სურვილსაც, რომ ჰყოლოდა ძლიერი მოკავშირე რუსეთის წინააღმდეგ ბალკანეთზე გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის კავშირის შექმნამ საფუძველი ჩაუყარა სამხედრო-პოლიტიკური კოალიციების ჩამოყალიბებას, რომელიც წარმოადგენდა დიდ საფრთხეს მშვიდობისათვის ევროპაში. კავშირის დადებისინიციატორი იყო გერმანიის იმპერია და მისი დიპლომატია ბისმარკის მეთაურობით.

## RESUME

**Vazha Chochia**

### **The beginning of the creation of military-political ties in Europa**

The relations between Berlin and Petersburg became complicated after Berlin congress. The situation urged on German diplomacy and its head chancellor Bismarck to carry on the new diplomatic combination that had been planed long ago. Berlin needed trustworthy ally against France and for carrying out the expansionistic policy of Germany as well.

The German diplomacy tried to profit from the opposition between big countries to carry out his own aims. It was noteasy to ally with Vienna as the emperor Wilhelm I himself wasagainst it. Besides the obstacle Bismarck with the help of his great will and extraordinary diplomatic manoeuvre could manage to enter into a military and politikal agreement with Vienna. The agreement was promoted by Vienna's desire to find strong and trustworthy ally against Russia in the straggle for power and influence on Balkans.

The establishment of Germany and the Austro-Hungarian Union has laid the foundation of forming military-political coalitions that threatened the danger the peace in Europe. Initiators of the coalition of tow were the ruling circles of German Empire and its diplomacy with the head of Bismarck.

# ქართული სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების ტენდენციები

## მანანა მჭედლიშვილი ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ეკონომიკის დოქტორი

**შესავალი.** დღესდღეობით, განვითარებულ ბაზრებზე სიცოცხლის დაზღვევის სექტორის მიერ მოწოდებული დანაზოგები წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების ძირითად წყაროს. სიცოცხლის დაზღვევის პოლისების გრძელვადიანი ხასიათიდან გამომდინარე, მათში ჩადებული დანაზოგები საწარმოებისა და მთავრობების მიერ გამოიყენება კაპიტალური ხარჯების ზრდისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის. ინფრასტრუქტურის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ეკონომიკებისათვის, არა მხოლოდ ადგილობრივი კერძო სექტორის ზრდის მხარდასაჭერად, არამედ უცხოური კონპანიების ადგილობრივ ბაზარზე შემოსვლის წასახალისებლადაც. კერძო სექტორისა და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს კაპიტალური ხარჯების გაზრდასთან დაკავშირებით, მიყვავართ დასაქმებისა და ზოგადად ცხოვრების დონის ზრდასთან. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალიც იზრდება, ეს საშუალებას აძლევს ქვეყანას აწარმოოს მეტი საქონელი, მათ შორის ისეთიც რომელიც ამჟამად იმპორტირებულია უცხოეთიდან. შედეგად უმჯობესდება საგადასახდელი ბალანსიც და ქვეყნის ეროვნული ვალუტაც უფრო მყარდება. 2013 წლის მონაცემებით, ქვეყანაში მთლიანი დანაზოგი მშპ-ის დაახლოებით 10-15 % იყო. რომელშიც სიცოცხლის დაზღვევის პრემიების წილი 0,04 %-ია. 2016 წელს კი 0,1 %.

**შედეგების ინტერპრეტაცია და დისკუსია.** სიცოცხლის დაზღვევა 6,25 % -იანი წილით, ბაზარზე 5 ადგილს იკავებს -სამედიცინო (46,42 %), ქონების (16,68 %), სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა (14,5) და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის (6,63 %) შემდეგ. სსიპ დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით, 2016 წლის მესამე კვარტლისთვის ქართულ სადაზღვევო ბაზარზე წარმოდგენილი იყო 14 კომპანია. აქედან, 12 კომპანიის მიერ მოხდა სიცოცხლის დაზღვევის სფეროში ხელშეკრულების გაფორმება. რომელთა ჯამურმა მოზიდულმა პრემიამ 19 773 391 ლარი, ანაზღაურებული

ბრუტო ზარალმა 4 917 367 ლარი შეადგინა. სიცოცხლის დაზღვევის ბაზარზე შეიძლება გამოვყოთ შემდეგი კატეგორიები:

1. **სიცოცხლის ვადიანი დაზღვევა** - სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი 2 წელია სთავაზობს ბაზარს 5 წლიან სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტს მაღალი ლიმიტებით, ინდივიდუალური რისკის შეფასების საფუძველზე და ეს პროდუქტი არ არის კავშირში ჯანმრთელობის დაზღვევასთან. (მაქსიმალური დასაზღვევო თანხა არის პერსონის 10 წლის შემოსავალი). თანხა, რომელზეც შეგიძლიათ დააზღვიოთ საკუთარი სიცოცხლე გამოითვლება ინდივიდუალურად და დამოკიდებულია დაზღვეულის ასაკზე, სქესზე, შემოსავალსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ზემოთ ჩამოთვლილი ამ 4 მახასიათებლის ნებისმიერი ცვლილება გავლენას ახდენს დაზღვევის ღირებულებაზე და სადაზღვევო თანხის რაოდენობის განსაზღვრაზე. იმისთვის რომ მიახლოებული წარმოდგენა შეგვექმნას იმაზე, თუ რა თანხაზე შეიძლება დავაზღვიოთ სიცოცხლე, ჯიპიაი ჰოლდინგის ვებ-გვერდზე მოყვანილია მაგალითი: ვთქვათ, 30 წლის ადამიანს სურს დააზღვიოს საკუთარი სიცოცხლე. ჩავთვალოთ რომ ამ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მისი ყოველთვიური შემოსავალი კი შეადგენს 1 000 ლარს. აღნიშნული მონაცემების პიროვნებას კომპანიამ შესაძლოა შესთავაზოს სიცოცხლის დაზღვევა მაქსიმუმ 120 000 ლარზე. რაც ნიშნავს, რომ თუ ეს ადამიანი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გარდაიცვლება, მისი სამართალმემკვიდრე მიიღებს 120 000 ლარს. ხოლო პრემიამ (დაზღვევის ღირებულებამ) შესაძლოა შეადგინოს 220-250 ლარი წელიწადში.

2. **სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევა** - საქართველოში სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევა სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებს შორის ლიდერია. მეტიც, სიცოცხლის დაზღვევა ჩვენს ქვეყანაში ძირითადად სწორედ დაზღვევის ამ ტიპის საშუალებით მუშაობს. სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის დაახლოებით 90 % სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევაზე მოდის. რომლის

საკრედიტო პერიოდი განსაზღვრულია მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 40-50 წლით. სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის და თიბისი ბანკის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებულ სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევის პირობების თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურებას ექვემდებარება დაზღვეულის ნებისმიერი მიზეზით, მათ შორის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება ან უბედური შემთხვევით გამოწვეული ქმედითუუნარობა. ხოლო, მაქსიმალური სადაზღვევო თანხას შეადგენს 500 000 აშშ დოლარი.

**3. საპენსიო რეფორმა** (სავალდებულო დაზღვევები)- სახელმწიფოს რომ სიცოცხლის დაზღვევის სექტორის განვითარებისთვის ხელშეწყობა საპენსიო რეფორმის საშუალებითაც შეუძლია (აქ მნიშვნელოვანია სადაზღვევო კომპანიების ჩართულობის საკითხიც), ამის ერთ ერთი მაგალითია ჩილე, რომლის საპენსიო რეფორმის მოდელიც შემდგომში ბევრმა ქვეყანამ გამოიყენა და ამ ქვეყნებში პენსიასთან დაკავშირებული დაზღვევის პროდუქტები წამოადგენს სიცოცხლის დაზღვევის ბიზნესის ძირითად ნაწილს.

პროექტი- „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2010“ ვკითხულობთ: „იმის გათვალისწინებით, რომ პენსიონერთა რაოდენობა მზარდია და გაეროს მონაცემებით, ასაკით პენსიონერები 2050 წლისათვის შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის 25 %-ს, ადგილი ექნება სოციალური დანახარჯების მუდმივ ზრდას. გამომდინარე აქედან, აუცილებელია ეტაპობრივად დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბაზისო პენსიის არამდგრადი ზრდისგან გამოწვეული წნეხის შემსუბუქებას. ასევე, მნიშვნელოვანია საბაზისო პენსიის ინფლაციასთან მიბმის პრინციპის შემოღება და პენსიის ზრდის ყველაზე ღარიბ პენსიონერებზე ორიენტირება, რაც დაიცავს პენსიის მსყიდველობითუნარიანობას და მოლოდინებს მისაღებ დონეზე შეინარჩუნებს“ განვითარების სტრატეგიის ფარგლებში გათვალისწინებულია სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს დანაზოგების მოცულობის ზრდას ქვეყანაში. აღნიშნული რეფორმა სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პარალელურად, შექმნის დამატებით წყაროს ინვესტირებისათვის.

ქართული სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პორტფელის 67 % საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტებია.

ევროპაში საშუალოდ 1223 ევროს ხარჯავს ადამიანი თავისი დანაზოგებიდან დაზღვევაზე, საქართველოში ანალოგიური მაჩვენებელი 2016 წლის მონაცემებით 106 ლარია. რაზე მიუთითებს ეს განსხვავება? იმაზე რომ ქვეყანაში დანაზოგების დონე და კონკრეტულად დაზღვევაზე განეული ხარჯი ძალიან მცირეა. ასევე სადაზღვევო კომპანიების მიერ საკუთარი საინვესტიციო პორტფელის ძირითადად საკრედიტო დაწესებულებების დეპოზიტებით დაკომპლექტება იმის მიმანიშნებელია, რომ ქვეყანაში არ გვაქვს განვითარებული კაპიტალის ბაზარი.

2010-2016 წლების განმავლობაში სიცოცხლის დაზღვევის პრემია ერთ სულზე გაიზარდა 2,26 დან 6,82 ლარამდე. მშპ-ს რაც შეეხება, იმავე პერიოდში ის დაახლოებით გაორმაგებულია 4676-დან 9118 ლარამდე 2016 წელს. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სადაზღვევო ბაზარსა და მშპ-ს შორის არსებულ დამოკიდებულებას. რაც უფრო უმჯობესდება ქვეყანაში არსებული ცხოვრების დონე, მით უფრო იზრდება დაზღვევაზე მოთხოვნა. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია ინფლაციის ფაქტორიც. მისი მაღალი დონე ძალიან ძლიერი ბარიერია ყველა სახის დანაზოგის მობილიზებისათვის. რაც არ უნდა მრავალფეროვანი იყოს სიცოცხლის დაზღვევის სქემები ოჯახი, ბიზნესი არ იქნება დაინტერესებული ჩადოს საკუთარი დანაზოგი გრძელვადიან ფასიან ქალაქში (პოლისში), იხადოს გარკვეული პერიოდულობით სადაზღვევო შენატანები და ჯამში მისმა მოსარგებლემ მიიღოს ისეთი სადაზღვევო ანაზღაურება, რომლის მსყიდველუნარიანობა სადაზღვევო ვადის ამოწურვისას იქნება ფრიად უმნიშვნელო. განვითარებად აზიასა და ლათინურ ამერიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარებაში ინფლაციის გაკონტროლებამ და მისი დაბალ დონეზე შენარჩუნებისაკენ მიმართულმა ღონისძიებებმა ითამაშა.

ქვეყანაში სავალდებულო დაზღვევის სისტემის შემოღების მოლოდინი სულ უფრო იზრდება და ამას უცხოური მზღვეველების: ყაზახური „ენ ეს კა“-ს ქართული სადაზღვევო სექტორით დაიტერესება და ბაზარზე 2017 წლიდან საერთაშორისო სადაზღვევო ჯგუფისა და „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფთან“ ერთად დაფუძნებული „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ გამოჩენაც ადასტურებს. სიცოცხლის დაზღვევის ბაზარი უფრო სწრაფად განიცდის ზრდას იმ შემთხ-

ვევაში, როდესაც ის გახსნილია უცხოური კონკურენციისათვის. ამას შემოაქვს ახალი სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტები, ახალი მარკეტინგული, მენეჯმენტისა და ორგანიზაციების ახალი მეთოდები.

კვლევის შედეგებზე დაყდნობით, შეგვიძლია შემდეგნაირად შევაფასოთ ქართული სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების ტენდენციები: საქართველოში არსებული ცხოვრების დონისა და ინფლაციური რყევების გათვალისწინებით, სიცოცხლის დაზღვევის განვითარებისათვის მოკლევადიან პერსპექტივაში არაა შექმნილი ხელსაყრელი პირობები. ეროვნული ბანკის პროგნოზის მიხედვით, წლიური ინფლაციის დონე თანდათან დაიკლებს და 2018 წლიდან ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3 %-ი იქნება, თუმცა ინფლაციის დონის დროებითი დაწევა ვერ იქნება სიცოცხლის დაზღვევის განვითარების გარანტი. მაღალი და მერყევი ინფლაციის პირობებში მოსახლეობას უჭირს სწორად დაგეგმოს ინვესტიციიდან მომავალში მისაღები შემოსავლები და შესაბამისად, მისი მიმდინარე ღირებულება, რაც ამცირებს ინვესტიციების მოცულობას. შესაბამისად, საზოგადოება ნაკლებადაა დაინტერესებული დანაზოგები განათავსოს სიცოცხლის დაზღვევის გრძელვადიან სქემებში. სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პორტფელი და კაპიტალის ბაზარზე არსებული მდგომარეობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, საინვესტიციო პორტფელის საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტებით დაკომპლექტება, კაპიტალის ბაზარზე ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიანი ქაღალდების სიმწირის მაჩვენებელია. პოზიტიურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს სტაბილურად მზარდი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი და 2014-2015 წლებში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ლარით დენომინირებული ობლიგაციების გამოშვება, რამაც ერთგვარი ბიძგი მისცა ობლიგაციების გამოშვების გააქტიურებას და მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის კორპორატიული ობლიგაციების ბაზრის განვითარებისათვის. თუმცა, ამ ეტაპზე ობლიგაციების ბაზარი მაინც ძალიან პასიურია და არ ქმნის უახლოეს მომავალში სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების კუთხით დადებითი მოლოდინების საფუძველს.

**დასკვნა.** არასტაბილური ეკონომიკური გარემო მაღალი ინფლაციით, განუვითარებელი კაპიტალის ბაზარი ქართული სადაზ-

ღვევო ბაზრის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია. სიცოცხლის დაზღვევის განვითარების კუთხით, მისი გრძელვადიანი ბუნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა ქვეყანაში. ამავდროს, სავალდებულო დაზღვევის შემოღება და ამ მხრივ სადაზღვევო სექტორის გააქტიურება, უფრო საინტერესოს გახდის ბაზარს უცხოური მზღვეველებისათვის, რაც თავის მხრივ გაზრდის კონკურენციას ბაზარზე და უზრუნველყოფს სადაზღვევო სქემების გამრავალფეროვნებასა და ხელმისაწვდომობას. აქვე აღნიშვნის ღირსია რისკ-მენეჯმენტის დაბალი დონე საქართველოში, საზოგადოება სათანადოდ ვერ აფასებს შესაძლო რისკებს, მათი მოხდენის შედეგად დამდგარ ზარალსა და ამ ზარალის აცილების მიზნით დაზღვევის აუვილებლობას. სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების ხელშეწყობისათვის სახელმწიფოს მხრიდან გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი თავისებურებები: 1. სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს ჯანსაღი ეკონომიკური გარემოს უზრუნველყოფა, რომლის შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ინფლაციის დაბალი დონის მიღწევა, და ამ დონეზე მისი შენარჩუნება. 2. სიცოცხლის დაზღვევის ბაზარი უფრო სწრაფად განიცდის ზრდას იმ შემთხვევაში, როდესაც ის გახსნილია უცხოური კონკურენციისათვის. განვითარებადი ბაზრის შემთხვევაში მოკლევადიან პერიოდში მთავრობები ადგენენ ადგილობრივ და უცხოურ მფლობელებს შორის ბალანსს, ხოლო გრძელვადიან პერიოდში კი- საბაზრო ძალები. 3. სადაზღვევო კანონმდებლობა სიცოცხლის დაზღვევისა და საპენსიო სქემების მიმართ არ უნდა იყოს ძალიან მკაცრი. სადაზღვევო კომპანიის საინვესტიციო ფონდების მიმართ განხორციელებულმა მკაცრმა რეგულაციებმა შესაძლოა შეამციროს სიცოცხლის დაზღვევის სქემებიდან მიღებული უკუგება ალტერნატიულ გრძელვადიან ინვესტიციებთან შედარებით. 4. ინდივიდებს ხშირად სჭირდებათ სტიმული გრძელვადიანი დანაზოგების გასაკეთებლად. საგადასახადო შეღავათები შესაძლოა შეეხოს როგორც კონკრეტულად სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებში გადახდილი პრემიებიდან მიღებულ შემოსავალს, ისე მთლიანად მზღვეველებს, რომელებიც მოსახლეობას აწვდიან სიცოცხლისა და საპენსიო დაზღვევის პროცედურებს. სადაზღვევო კომპანიებისათვის მიცემული საგადასახადო

შელავათები სახელმწიფოების მხრიდან განიხილება როგორც გრძელვადიანი ინვესტიცია, რომელიც მომავალში მეტ საგადასახადო შემოსავალს იძლევა, ვიდრე ნაკლები მხარდაჭერის შემთხვევაში აწყობში. 5. ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას საჭიროებს სადაზღვევო შუამავლობის თემა, აგენტები,

ბროკერები და ყველა ის სადაზღვევო შუამავალი, რომელიც აწვდის საზოგადოებას სადაზღვევო პროდუქტებს უნდა აკმაყოფილებდეს კომპეტენციის გარკვეულ მინიმალურ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს. მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი პროფესიული განათლება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური და ფინანსური მაჩვენებლები. <http://insurance.gov.ge>
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
3. საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020. ნოემბერი 2013.
4. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
5. [www.gpih.ge](http://www.gpih.ge)
6. <http://comersant.ge>
7. <http://bnp.ge>

### **რეზიუმე**

სადაზღვევო კომპანიების მიერ აკუმულირებული გრძელვადიანი დანაზოგები უზრუნველყოფს არა მხოლოდ ცალკეული სქემების მოსარგებლეთა ფინანსურ სტაბილურობას, არამედ უდიდესი წილი შეაქვს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტების მიერ მოზილიზებული თანხები წამოადგენს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში განხორციელებული გრძელვადიანი ინვესტიციების ძირითად წყაროს. შესაბამისად კვლევის მიზანია ქართული სიცოცხლის დაზღვევის ბაზარზე არსებული მდგომარეობის ანალიზი და სამომავლო ტენდენციების განსაზღვრა. განხორციელდა ქართული სიცოცხლის დაზღვევის სექტორის სტატისტიკური და ფინანსური ანალიზი, რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: არასტაბილური ეკონომიკური გარემო, განუვითარებელი კაპიტალის ბაზარი, სავალდებულო დაზღვევის არ არსებობა. შესაბამისად შემუშავდა ისეთი რეკომენდაციები როგორცაა: ინფლაციის დაბალი დონის მიღწევა, სავალდებულო დაზღვევის უმოკლეს დროში შემოღების აუცილებლობა, საგადასახადო შეღავათების დაწესება სიცოცხლის დაზღვევის სქემებიდან მიღებულ შემოსავლებზე და სადაზღვევო შუამავლების პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან მოსალოდნელია სიცოცხლის დაზღვევის სექტორის მნიშვნელოვანი პროგრესი.

### **SUMMARY**

Long-term savings accumulated by insurance companies not only provide financial stability to the beneficiaries of certain schemes, but also play a major role in the development of the economy of a country as a whole. Funds mobilized by life insurance products are shown to be the main source for the long-term investments in private as well as state sectors. Flowing from its importance for the country's economy, the research aims to analyze the current situation of the life insurance market in Georgia in order to determine the perspectives of its future development. Considering the aforementioned, within the research, studies were carried out on developing regions on one hand, and on the other the trends characteristic for the European life insurance market. On this background, a multilayered analysis of statistical and financial data of the Georgian life insurance sector was realized, consequently showing the main problems in the form of the unstable economic environment, undeveloped capital market, absence of compulsory insurance, and public distrust toward insurers. Considering the present situation, the subsequent recommendations were developed, such as: accomplishing efforts geared toward achieving and retaining a low level of inflation; necessity of establishing compulsory insurance in the shortest time possible and creating incentives for foreign insurers to enter the local market; setting tax reliefs for the revenues received from life insurance schemes; striving to have a better informed public and to gain their trust toward financial institutions, and ensuring the professionalism of insurance intermediaries. Bearing all of the aforementioned in mind, a significant progress is expected in the life insurance sector.

## ადამიანური რესურსების მენეჯმენტში მოტივაციის ასაქმები

თამაზ დანელია  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
გიორგი ბაბუნაშვილი  
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

„კადრების მართვის“ კონცეფციამ ყველაზე უფრო მეტად გავრცელება დასავლეთში მოიპოვა XX საუკუნის 20-40-იან წლებში. ეს კონცეფცია მუშაკს განიხილავდა, როგორც შრომითი ფუნქციის მატარებელს, როგორც „მანქანის ცოცხალ დანართს“.

„პერსონალის მართვის“ კონცეფციამ თავისი ეფექტიანობა აღმოაჩინა მე-20 საუკუნის 50-70-იან წლებში. მუშაკი უკვე განიხილებოდა როგორც შრომითი ურთიერთობების სუბიექტი, პიროვნება.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ და შრომის ინტელექტუალიზაციამ XX საუკუნის 80-90-იან წლებში ხელი შეუწყო „ადამიანური რესურსების მართვის“ კონ-ცეფციის დამტკიცებას, რომლის მიერაც ადამიანი უკვე განიხილება როგორც ორგანიზაციის მთავარი სტრატეგიული რესურსი.

საზოგადოებრივმა განვითარებამ იცის სამი პროფესიონალური რევილუცია.

მესამე პროფესიონალური რევილუცია, რომელიც დაიწყო გასული საუკუნის 70-იან წლებიდან და დღემდე გრძელდება, თავის შინაარსში გულისხმობს ადამიანების გავლენის სულუფრომეტადნარმოჩენას, რომლებიც მზად არიან თავისუფლად, თავიანთი აზროვნებისა და თავიანთი მოღვაწეობის (საქმიანობის) ორგანიზაციის წესების საფუძველზე, იმუშაონ სხვადასხვა განსხვავებულ პროფესიონალურ სფეროებში. ასეთ ადამიანებს ზოგჯერ ტრანსპროფესიონალებსაც უწოდებენ. ტრანსპროფესიონალური მუშაობის სპე-ციფიკაა კონკრეტული პრობლემური სიტუაციის მიმართ აზროვნებისა და მოღვაწეობის მეთოდების, საშუალებების წესების კომპლექსურობა.

მესამე პროფესიონალური რევილუციის პირობებში ანუ თანამედროვე ეპოქაში მენეჯმენტის მისიას წარმოადგენს ტრანსპროფესიონალების მოძიება, გამოზ-რდა, მათგან სხვადასხვა განსხვავებულ პროფილიანი გუნდების ფორმირება და მათ მიერ კომპლექსური პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის უზრუნველყოფა.

ადამიანურ რესურსებზე საუბრისას და

მათი მართვის ასპექტების განხილვამდე აუცილებელია, უპირველეს ყოველისა, გავარკვიოთ „ადამიანური კაპიტალი“-სა და „ადამიანური რესურსები“-ს არსი და გაგება. ადამიანური კაპიტალი – ესაა კაპიტალი, რომელიც ადამიანებში განსახიერებულია, ხორცშესხმულია, მათი განათლების, კვალიფიკაციის, ცოდნის, გამოცდილების ფორმაში.

ცნობილია ნობელის პრემიის ლაურეატის ჰარი ბეკკერის განმარტება ადამიანური კაპიტალის თაობაზე, რომელიც მიიჩნევს, რომ აღნიშნული ე.ი. ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს შექმნილი და დაბადებული მახასიათებლების კომპლექსს, ისეთების, როგორცაა: განათლება, ცოდნა-მიღებული სამუშაო ადგილზე, ჯანმრთელობა და სხვანი, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იქნენ გარკვეული დროის განმავლობაში საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის.

თანამედროვე წარმოებაში ადამი-ანის როლზე ახალი შეხედულების პრეზენტაციისათვის მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლების შუაპერიოდთან „გამოიყენება ტერმინი „ადამიანური რესურსები“.

ადამიანური რესურსები – ესაა პროფესიონალური ცოდნები, უნარები, მუშების შესაძლებლობები, ეფექტური ფორმირება, რომელთა გამოყენება და განვითარება უზრუნველყოფს ორგა-ნიზაციის ეკონომიკურ წარმატებებსა და კონკურენტულ უპირატესობებს.

რაც შეეხება ეკონომიკურ რესურსებს, მათ საერთო და სპეციფიკურ თავისებურებებს – ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება წარმოადგენს რესურსების გარდაქმნის პროცესს საზოგადოებისა და ინდივიდების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ეკონომიკური სისტემის ყველა რესურსები ფლობენ როგორც საერთო, ასევე, სპეციფიკურ მახასიათებლებს.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსებს, ისინი სხვა რესურსებისაგან განსხვავდებიან

ისეთი სპეციფიური თავისებურებებით, რომელთაგან ძირითადს წარმოადგენს ამ რესურსის პერსონიფიცირებული სპეციფიკის თავისებურება. მანქანებისა და ნედლეულისაგან განსხვავებით, ადამიანები აღჭურვილნი არიან ინტელექტით, და შესაბამისად — მათი მონაწილეობა სანარმოო პროცესებში არ წარმოადგენს მექანიკურ მოქმედებას, არამედ ემოციონალურ-შეგნებულ, გააზრებული მოქმედებაა.

ადამიანური რესურსების მეორე სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს ადამიანის შრომის ნაყოფიერების დანახული საზღვრები, რამდენადაც ის ფლობს უნიკალურ შემოქმედებით და სამენარმეო მახასიათებლებს.

მესამე სპეციფიკური თავისებურებაა ის, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ადამიანური რესურსები განსაკუთრებით საგრძნობლად, მნიშვნელოვნად ექვემდებარებიან „მორა-ლურ ცვეთას“, მაგრამ პირადი მოტივაციის შედეგად ადამიანები მუდმივად და შეგნებულად ცდილობენ, რომ თვითსრულყოფილდებოდნენ და იმაღლებენ თავიანთ კვალიფიკაციას.

მეოთხე თავისებურება კი ისაა, რომ კვალიფიკაცია და ცოდნა ადამიანებს შორის განაწილებულია არათანაბრად, ამიტომაც საჭირო ხდება მუდმივად მათი სწავლება და გადამზადება. მეხუთე თავისებურებაა ისაა, რომ მუშაკი, როგორც პიროვნება მოქმედებს არამხოლოდ მისი შინაგანი მიდრეკილებებითა და გადანყვეტილებებით, არამედ აგრეთვე გარეგანი ზემოქმედებათა მოქმედებით. ამრიგად, შრომითი შეთანხმების გაფორმების მოტივები შემუშავებულია, ამიტომაც მუშაკების მოტივაციების მართვა, უკვე წარმოადგენს მენეჯმენტის ამოცანას. ადამიანური რესურსის მეექვსე სპეციფიკური თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ თანამედროვე ადამიანის შრომითი ცხოვრება გრძელდება 30-50 წელი; და ამასთან დაკავშირებით ადამიანური რესურსების აღდგენას შეიძლება ხანგრძლივი ხასიათი ქონდეს; და ბოლოს მეშვიდე სპეციფიკური თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ სწორედ ადამიანური რესურსები ახდენენ ეკონომიკური სისტემის ყველა სხვა დანარჩენი რესურსების ურთიერთქმედების ორგანიზებას.

მოტივაციას საერთო აღიარებით ერთ-ერთი ძირითადი ადგილი, როლი და

პრიორიტეტი უკავია ადამიანური რესურსების მართვაში. მეცნიერებისა და მკვლევარების აზრით მოტივაციის საბაზისო მოდელი ასე გამოიყურება: სტიმული – შესაბამისი ქცევა-მიზანი (სურვილი) — შედეგი. მოტივაციის მოცემულ მოდელში სტიმულად შეიძლება წარმოჩინდეს მოთხოვნა, განზრახვა და სხვა. მაგალითად, საჭმელის მოთხოვნა, რომლის შესატყვისი ქცევა იქნებოდა წასვლა სასადილოში (რესტორანში), ხოლო სასურველი მიზანი, ანუ შედეგი — შიმშილის გრძნობის დაკმაყოფილება.

მეცნიერებმა და მკვლევარებმა მოტივაციის საფუძვლად სამართლიანად მიიჩნიეს სტიმული, ანუ ის ფენომენი, რომელიც რეალურად წარმოადგენს მოტივაციის მიზეზს.

არ უნდა უგულვებელყოთ ის გარემოებაც, რომ შრომის ეფექტიანობა მთლიანად დამოკიდებული არ არის მხოლოდ მოტივაციაზე. რეალურად არსებობენ რიგი ფაქტორებისა, რომლებსაც თავიანთი თუნდაც მოკრძალებული ნვლილი შეაქვთ იმ სერიოზულ შედეგებში, რომლებსაც ადამიანებმა მიაღწიეს, ასეთ ფაქტორებს განეკუთვნებიან მაგალითად, ადამიანის პირადი ცოდნა, ჩვევები, ამოცანების ხასიათი, მართვის სტილი და ორგანიზაციული კლიმატი.

უნდა მივიჩნიოთ, რომ მოტივაციის უმთავრეს სტიმულად მაინც მოთხოვნა წარმოჩინდება. ცნობილმა მეცნიერმა და მკვლევარმა აბრაჰამ მასლოუმ თავის დროზე შემოგვთავაზა მისეულად გააზრებული მოთხოვნათა იერარქია. მას მიაჩნდა, რომ ადამიანები ისწრაფვიან დაიკმაყოფილონ თავიანთი მოძალებული დაბალი დონის მოთხოვნები განლაგებული არიან სხვადასხვა დონეებზე, დაწყებული საბაზო ფიზიოლოგიური მოთხოვნებიდან დამთავრებული უმაღლესი დონის მოთხოვნებით (მაგ.: თვითგანვითარება, თვით-რეალიზაცია და სხვ.). მასლოუს ეს დონეები წარმოდგენილი ქონდა იერარქიის სახით და მას მიაჩნდა, რომ ადამიანის მოთხოვნები, ვიდრე შეუდგნენ იმ მოთხოვნების დაკ-მაყოფილებას, რომლებიც განლაგებული არიან უფრო მაღალ დონეებზე.

აღდერფერმა გააგრძელა მასლოუს იდეა და შემოგვთავაზა მოტივაციის საკუთარი თეორია. მის მიერ შემუშავებულ თეორიას საფუძვლად უდევს იმის ვარაუდი, რომ ადამიანების მოთხოვნები განლაგებული არიან დიდ და მეტ სივრცობრივ-დროულ განზომილებაში, ვიდრე იერარქიები გამოიყურებიან. მთლიანობაში აღდერფერის მოდელი უფრო დინამიურია;



ის გვიხსნის მიღწევის საშუალებას ერთდროულად მოთხოვნილებათა ორი ჯგუფისაკენ, გვიჩვენებს განსხვავებებს მუდმივ ანუ ხანგრძლივადიან მოთხოვნებსა და ეპი-ზოდურ ანუ დროებით მოთხოვნებს შორის.

ცნობილია აგრეთვე მოტივაციის ფ. გერცბერგისეული თეორია. ავტორს მიაჩნდა, რომ ადამიანი ცხოვრობს ორ სამყაროში – ფიზიკურში და ფსიქოლოგიურში. გამოკვლევების დასკვნებში გერცბერგი მიიყვანეს მოტივაციის ორფაქტორიანი თეორიის შექნამდე, ჰიგიენის ფაქტორებამდე. აღნიშნულს შემდეგნაირი ახსნა აქვს — რიგი ფაქტორები მუდმივად ინვევენ მუშაკის დაკმაყოფილებას. ხოლო ზოგიერთი სხვა ფაქტორები ინვევენ ადამიანების მყარ უკმაყოფილებას, კმაყოფილების გამომწვევ ფაქტორებს უწოდეს „მოტივაციის ფაქტორები“, ხოლო ფაქტორებს უკმაყოფილების შედეგით — „ჰიგიენის ფაქტორები“. აღმოჩნდა, რომ მოტივაციის ფაქტორები განუყრელად არიან დაკავშირებული შესრულებულ სამუშაოსთან, ხოლო ჰიგიენის ფაქტორები — გარემომცველ სამუშაო ვითარებასთან. მოტივაციის ფაქტორები ინვევენენ მოტივირებულ ქცევას, ხოლო ჰიგიენის ფაქტორები კი უკმაყოფილებას, ან გულგრილობას.

მოტივაციის ფაქტორებს გერცბერგმა მიაკუთვნა: 1) წარმატების მიღწევა; 2) წარმატების აღიარება; 3) სამუშაოსადმი ინტერესი; 4) პასუხისმგებლობა; 5) სამსახურებრივი წინ წაწევა; 6) პროფესიონალური ზრდის შესაძლებლობა.

გერცბერგის თეორიის კრიტიკოსები მიუთითებდნენ იმაზე, რომ მისი თეორია უფრო მეტად იხილავს სამუშაოდან კმაყოფილების და უკმაყოფილების საკითხს, ვიდრე შრომით ქცევას. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მისმა ნაშრომმა ის გამოიწვია, რომ ამ ნაშრომს შეიძლება ვუნოდოთ „მოძრაობა სამუშაოს მიმზიდველობის გაზრდისათვის“ — სამუშაო ადგილზე მოტივაციური ფაქტორების მოქმედებისაქტივაციისგზითდათანამედროვე გაგება-გაშუქებით კი — „შრომითი ცხოვრების ხარისხისათვის“ მოძრაობისაკენ.

საინტერესო დასკვნები აქვს შემოთავაზებული თავის შრომებში მეცნიერსა და მკვლევარს ვრუმის. მას ეკუთვნის კარგად ცნობილი „მოლოდინის თეორია“. თეორიის არსი იმაში გამოიხატება, რომ მოტივირებული ქცევა – ესაა პროდუქტიორიშემადგენლისაგან:

1. საბოლოო შედეგის ვალენტიანობა ინდივიდისათვის;

2. მოლოდინები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

ვალენტიანობა – ეს არის მოსალოდნელი კმაყოფილება შედეგისაგან;

მოლოდინი – ესაა მოკლევადიანი რწმენა, რაც გარკვეული მოქმედების გამო სრულიად სარწმუნოა და ნავა გარკვეულ შედეგში.

ფორმულა, რომელიც ვრუმიმ გამოიყვანა შესაძლებელია ასეთი სახით წარმოვიდგინოთ:

ძალისხმევა (მოტივაცია) = მოლოდინის ვალენტობას

ე.ი. მოტივაცია = კმაყოფილებას შედეგისაგან.

ვრუმის თეორიას მხარი დაუჭირეს ბევრმა მკვლევარმა, ხოლო ცნობილმა მკვლევარმა გესტმა თავის დასკვნაში მიუთითა, რომ „მოლოდინების თეორია წარმოადგენს ფუნდამენტს შრომითი მოტივაციის გაგებისათვის“-ო.

ვრუმი განიხილავს სამუშაოთი დაკმაყოფილების საკითხს, როგორც მოტივაციის ასპექტებისაგან ერთ-ერთს. თვით „სამუშაოთი დაკმაყოფილების“ გაგება ფასდებოდა როგორც „სამუშაოს ვალენტიანობის კონცეპტუალური ექვივალენტი, ან კიდევ როგორც თანამდებობრივი როლი ადამიანისათვის, რომელიც ასრულებს ამ მოცემულ სამუშაოს“. ვრუმის აზრით ძირითად ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ შრომით დაკმაყოფილებაზე გამოდიან: დაქვემდებარებულნი, ჯგუფური მუშაობა, სამუშაოს შინაარსი, შრომის ანაზღაურება, კარიერული ზრდის შესაძლებლობა, მუშაობის გრაფიკი.

შრომითი დაკმაყოფილების საკითხის მიმართ ვრუმი ასევე აღნიშნავს, რომ ადამიანების განცხადება თავიანთი სამუშაოთი დაკმაყოფილების შესახებ იმყოფება იმისაგან უშუალო დამოკიდებულებაში, თუ რამდენად მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს მოჰქონდა მათთვის კარგი ნაყოფი შრომის ანაზღაურების თვალსაზრისით, მასტიმულირებელი ფაქტორების მრავალსახეობებით, თავისი ხელმძღვანელის პატივისცემით, კარიერული ზრდის მაღალი ალბათობით, მჭიდრო ურთიერთქმედებებით თავიანთ კოლეგებთან, შესაძლებლობაზე გავლენა იქონიონ ვითარების მსვლელობაზე და მართონ თავისი პროფესიონალური განვითარება.

ყველა ამ ზემოაღნიშნული ფაქტო-

რებისაგან მაინც გვინდა გამოვყოთ ერთი – რამდენად ადამიანების მიერ შესრულებულ სამუშაოს მოაქვს მათთვის კარგი ნაყოფი შრომის ანაზღაურების თვალსაზრისით და ზოგადად მასტიმულირებელი ფაქტორების სახეობებით. თუ ვაღიარებთ და რასაკვირველია ვაღიარებთ, რომ „მატერიალური დოვლათის წარმოება ადამიანთა საზოგადოების არსებობის საფუძველია“, ამიტომ დოვლათის მწარმოებელ ადამიანს კიდევაც უნდა ქონდეს ადეკვატური შეფასება – შრომის შესატყვისი ანაზღაურება. ამიტომ პრაქტიკული მოქმედების თვალსაზრისით ხელმძღვანელებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

\* როგორი ნახალისება (დაჯილდოება) უფრო მეტი სავარაუდო სინამდვილით იქნება შეფასებული თანამშრომლის მიერ;

\* დაჯილდოებას რანაირად შეუძლია განაპირობოს ნაყოფიერება (მწარმოებლურობა);

\* როგორ იქნას დაყვანილი თანამშრომლებამდე, რომ ნახალისება შესაძლებელია მიღებული იქნას და სხვა.

მოტივაციის კიდევ სხვა მრავალი თეორიებია ცნობილი. მაგალითად, ლოუკმა შემოგვთავაზა მოტივაციის თეორია, რომელიც დაფუძნებული იყო მიზნის მიღწევაზე, რომ ადამიანის მოტივირებას ახდენს მიზანი, რომლის მიღწევითაც ის კმაყოფილია. ლოუკის თვალსაზრისით სინამდვილეში ადამიანს სტიმულირებას აძლევს (მოტივირებას აძლევს) მისივე მიზნები. მან თავისი კვლევებით დაადასტურა, რომ ნაყოფიერება (მწარმოებლურობა) იყო მაღალი, როდესაც ადამიანების წინაშე აყენებდნენ გარკვეულ მიზნებს და როდესაც ადამიანები იღებდნენ ნახალისებას (ჯილდოს) თავიანთი შრომის შედეგების მიხედვით. ასეთმა მიდგომამ უშუალო გამოყენება ჰპოვა მიზნების მიხედვით მართვის პრაქტიკაში, რომელიც ეფუძნებოდა მიზნების განსაზღვრას ხელმძღვანელებსა და დაქვემდებარებულებს შორის ურთიერთ შეთანხმებისას.

და ბოლოს მაინც აშკარად იკვეთება, რომ მატერიალური ფულადი სტიმულირება – ესაა ყველაზე უფრო თვალნათელი და ტრადიციული წესი, რომელსაც იყენებენ თანამშრომლების შრომისათვის, მათი ნახალისებისათვის.

ადამიანის ხელფასი სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს: კვლავმწარმოებ-ლურს, სტატუსურსა და მასტიმულირებელს.

კვლავმწარმოებლური ფუნქცია მდგომარეობს მუშაკის ღირსეული ცხოვრების დონით

უზრუნველყოფაში, რაც აუცილებელია მისი სამუშაო ძალის გაფართოებული კვლავწარმოებისათვის.

სტატუსური ფუნქციის არსი გულისხმობს, რომ ხელფასის სიდიდე უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის დებულებებს, მუშაკის სტატუსს ორგანიზაციის (დანესებულების, სანარმოს) სტრუქტურაში სხვა მუშაკებთან შედარებით, როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურად.

მასტიმულირებელი-ფუნქცია იმით განისაზღვრება, რომ შრომის ანაზღაურება უნდა უკავშირდებოდეს მუშაკს საქმიანობის შედეგებს; აღნიშნული ფუნ-ქცია ორიენტირებას უნდა უქმნიდეს მუშაკის თავისი შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად, რამაც საბოლოო ჯამში უნდა მიგვიყვანოს ხელფასის გაზრდასთან.

გარდა მატერიალური სტიმულირების თანამედროვე პირობებში სულ უფრო ავითარებენ და იყენებენ კიდევ არამატერიალური სტიმულირების სხვადასხვა სახეობებს, რომლებიც ორიენტირებულია ადამიანის შინაგანი მოტივაციის აქტივიზაციაზე. არამატერიალური სტიმულირების თანამედროვე სახეობებია: მაღალ-მწარმოებლური შრომისათვის კომფორტული პირობების შექმნა; თავისუფალი დროთი სტიმულირება; სამსახურებრივი წინსვლა; შრომაში მიღწევებისა და დამსახურების აღიარება; შრომით კოლექტივში მიკრო-კლიმატის გაუმჯობესება და სხვა.

შრომის მოტივაციის საკითხის განხილვისას გვერდს ვერ ავუქცევთ ისეთ გაგებას, როგორიცაა შრომის ინტენსიფიკაცია და ექსტენსიფიკაცია.

ინტენსიფიკაცია გულისხმობს და დაკავშირებულია მისი დაძაბულობის გაძლიერებასთან და ნაყოფიერების ამაღლებასთან. შრომის ინტენსიფიკაციის ამაღლების მთავარი ხელშემწყობი პირობაა წარმოების ყველა ძირითადი პროცესების ფუნქციონირების სრულყოფა.

ექსტენსიფიკაციას სულ სხვა დატვირთვა და გაგება აქვს – განვითარებაა, გაფართოებაა, პროდუქციის გამოშვების გაზრდაა დამატებითი რესურსების მოზიდვის, გამოყენებული რესურსული წყაროების გაზრდის ხარჯზე, მათი გამოყენების ეფექტურობის ამაღლების გარეშე. განვითარების ექსტენსიურ გზას მიყვავართ არამაღალი შედეგიანობის პირობებში წმინდა მოცულობითი ზრდისაკენ.

ამრიგად, ადამიანური რესურსების

მართვაში სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად რასაც თვალნათლივ კიდეც ერთხელ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორის როლის ადასტურებს აქ ჩვენს მიერ განხილული მისი შემსრულებელია მოტივაციის ფაქტორი, ზოგიერთი ასპექტი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამსტრონგი მ. — „ადამიანური რესურსების მართვა“; თბ. „მაუსი“, 2002;
2. ბელიაცკი ნ. — „ადამიანური რესურსების მართვა“, 2009;
3. გეჩაია ბ., დეეაძე ა. — „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“; თბ. 2016;
4. ლომაია ს. — „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“; თბ. 2009;
5. პაიჭაძე ნ., ფარესიშვილი ნ., ჩოხელი ა. — „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“; თბ. 2011;
6. პაიჭაძე ნ. — „პერსონალის მართვა“; თბ., 2003;
7. გურგენიძე ვ. — „პერსონალის მართვა“; თბ. 2005;
8. შელია მ. — „შრომის პერსონალის ეკონომიკა, თბ. 2009;
9. ბახია მ. — „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“; თბ. 2010;
10. თორია მ. — „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“; თბ., 2014 წ.

## რეზიუმე

ავტორების მიერ მოცემულ სტატიაში განხილულია საკითხები იმის შესახებ, თუ რამდენად დიდი როლი და მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური რესურსების მართვაში მოტივაციის პრობლემას. ამ თვალსაზრისით უპირველესად მითითებული და განხილულია „ადამიანური კაპიტალისა“ და „ადამიანური რესურსების“ არსისა და გაგების საკითხი. მითითებულია, რომ ისინი სხვა რესურსებისაგან განსხვავდებიან სპეციფიური თავისებურებებით, რომელთაგან ძირითადს მაინც წარმოადგენს ამ რესურსის პერსონიფიცირებული სპეციფიკის თავისებურება; ეს კი იმაში გამოიხატება, რომ მანქანებისა და ნედლეულისაგან განსხვავებით ადამიანები აღჭურვილნი არიან ინტელექტით და მათი მონაწილეობა საწარმოო პროცესში წარმოადგენს შეგნებულ, გააზრებულ მოქმედებას. სტატიაში საუბარია აგარეთვე ადამიანური რესურსების დამახასიათებელ სხვა თავისებურებებზეც.

მითითებულია, რომ მოტივაციას ერთ-ერთი ძირითადი ადგილი, როლი და პრიორიტეტი უკავია ადამიანური რესურსების მართვაში.

მითითებულია, რომ მოტივაციის საფუძვლად მიჩნეულია სტიმული, ანუ ის ფენომენი, რომელიც რეალურად წარმოადგენს მოტივაციის მიზეზს; ამასთან აღნიშნულია, რომ მოტივაციის უმთავრეს სტიმულად მაინც მოთხოვნა წარ-მოჩინდება. სტატიაში საუბარია მოტივაციის აბრახამ მასლოუს, ალდერფერის, ფ. გერცბერგის, ვროუმისა და ლოკის მიერ შემუშავებულ მოტივაციის თეორიებზე.

სტატიაში განხილულია მატერიალური და არამატერიალური სტიმულირების როლისა და მნიშვნელობის პრობლემა.

## SUMMARY

The article discusses the importance of the role and role of motivation in human resources management. In this regard, first and foremost is discussed and discussed the essence and understanding of human capital and human resources. It is indicated that they differ from other resources with specific peculiarities, which are essentially the peculiarity of the specificity of the specificity of this resource; This is evident that, unlike cars and raw materials, people are equipped with intelligence and their participation in the process of production is conscious, thoughtful action. The article also speaks of other peculiarities of human resources.

It is indicated that motivation is one of the main places, role and priority in human resources management. The article deals with motivation theories developed by authors: Abraham Maslow, Alderpher, Ph. Gerßberg, Vroom and Locke, as well as the role and importance of material and intangible stimulation.

# CONCESSION IN TRANSPORT

**Iuri Sukhitashvili**  
**Academic Doctor of Business Administration**  
**Gulnara Imedashvili**  
**Academic Doctor of Business Administration**

**Keywords:** Concession, benchmarking, BOT (build-operate-transfer).

## 1. INTRODUCTION

Concession is an agreement concluded between the government and company, where private company is granted the right to provide relevant service under the certain conditions. During recent years, concession started to play an important role in world economic development. If during the 20th century, it was applied for acquiring the natural resources, from the beginning of 90-ies concession had been used for utilization for exploiting various state property under certain conditions. The items of concession agreement are primarily those objects that are of high social importance and shall not be privatized, i.e., aerodromes, railway, public transport systems, infrastructure, education, culture and healthcare objects. The main aim of the concession is the prevention of natural monopolies. At a competitive market, direct competition is also available without any concession. Therefore, before granting the concession, the government shall determine whether direct competition is possible without any concession or not and what can be achieved by reforming the market structure. Often government grants the concessioner with the exclusive rights. In most cases, it is undesirable, because appearance of new player in the market stimulates the direct competition.

## 2. BASIC PART

Distribution of risks between the parties is crucial in the concession contract, principal theory of which is the following: a specific risk shall be taken by that part, who can control, manage and secure it better. One of the difficult aspects of the concession is that it shall balance exiting contract terms and its modification limits. For instance, it shall be possible to negotiate the action points once again according to predetermined rules. Customarily, main focus shall be made to final result rather than ways to reach those targets. This will enable the concessioner to be more flexible and effective when doing business.

When giving an object under concession the pri-

ority shall be given to those mechanisms, which are encouraging the competition in specific market. In some cases, the parties preliminarily agree to use such mechanisms as benchmarking and enable other contractors to take part in project implementation.

Special attention shall be drawn to profound analysis of that economic segment, where concession is used, because in some cases privatization may be more appropriate than concession agreement. In any event, the government maintains the right to define the politics and encourage the integration. The government uses concession instead of privatization for those assets, where technical innovation creates or boosts the development of monopoly. Stemming out of it, if the concession makes it possible for the concessioner to attract the finances, then majority of the markets may function under the concession. Despite this, there are certain services that are not subject to concession. This includes the infrastructure, which cannot be granted to private operator under the exclusive rights, the same is true for objects having strategic and security importance for government (ports, airports etc).

Herewith, quite often, private company may provide the service by means of its own assets of concession. At the same time, the government leaves itself the right to be a regulator that will manage the transport politics and create the transport network accessible for everyone.

Granting the exclusive rights to those objects such as airports, ports, highways and routes etc., depend on the government's ability to create the favorable investment environment and attract potential investors. Performing activities under the concession may be difficult when it comes to receiving the revenues in local market in national currency, especially when there is no mechanism against exchange rate fluctuation. The volatility of exchange rates affects the concessioner when it purchases asset or takes loan internationally, outside the country. That means that the customers bear the exchange rate risk and prices are increased to the detriment of them.

It is different case when government grants the concession right for construction and operation of new object or new service. Here the competi-

tion in the markets of transportation and real estate still maintain their importance. It can be partially achieved by requiring from the participants to include the transport and real estate companies (operators) in their consortium. It will be profitable for the concessioners if the development of real estate business will condition the demand on transportation means. But now we have to take into consideration the threat that may arise when uniting transportation and real estate into one concession:

- If the development of the transportation is connected to expansion of real estate business, the transporting object may get insufficient attention and concessioner may lack the motivation to act efficiently and in a quality manner, especially when he gets the return on development and construction costs.
- It is difficult to determine the precise duration of concession when land (or air) and transportation objects are being under concession simultaneously.
- When concession includes the land or development right then the concessioners may impose the monopoly rental payment on commercial activity such as gas station on the highways.

Also it needs to be taken into account that there are certain obstacles induced by the undue functioning of public sector, i.e. increased headcount, staff lacking the skills, environmental pollution etc, that shall be isolated from other elements of concession. These impediments shall be eliminated either by government or by concessioner.

The success of the concession depends on the ability of the company to attract the funds necessary for project. In order to meet the contract terms the companies may need to borrow the capital for operational rights, such as for changing the equipment. The private operators will invest in this project only in case they suppose that return on investment will be equal to that profit that they might have received from other business activities bearing the same risks. On the other hands, the governments aims at stable concession agreement. Both parts need to know what the associated risks are and what the expected profit margin is.

It is characteristic to the private capital that forecasted profits shall be calculated very accurately. The investors always requires that “internationally renounced independent expert” evaluate and analyze the concession project. The financing also depends on proper defining and distributing the limits and responsibilities of the parties. Other criteria are the following: government guaranties, agreement

duration, safe income, existence of mortgage market, correlation of income to foreign currency, contract completion and terminations terms.

To make the concession project successful, every element shall be inspected carefully, in order to avoid legislative burdens. Every element requires individual approach since that there is no such predetermined common scheme for attaining the successful concession project.

ოპერაციულ მენეჯმენტში გადაწყვეტილების მიღება დაკავშირებულია სხვადასხვა სახის დიდი მოცულობის ინფორმაციის გადამუშავებასა და ანალიზთან. ადამიანის შესაძლებლობა ინფორმაციის მიღებისადმი შეზღუდულია, რაც იწვევს არაოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას. გადაწყვეტილების მიღების სისტემის სრულყოფა შეუძლებელია მეცნიერული მიდგომისა და ინფორმაციული მხარდაჭერის ავტომატიზირებული სისტემის გარეშე. ამასთან, დაკავშირებით, იზრდება გადაწყვეტილების მიღებაში ინფორმაციის როლი<sup>1</sup>, რომელიც განიხილება როგორც კონკრეტული სიტუაციის ანალიზისათვის აუცილებელი, საჭირო, მისაღები და გასაცნობიერებელი შეტყობინების ჯამი, რომელიც თავის მხრივ, საშუალებას იძლევა სიტუაციის წარმოშობისა და განვითარების მიზეზთა კომპლექსური შეფასებისა, რათა მოიძებნოს ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილება, განხორციელდეს მისი შესრულების კონტროლი.

დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის საწყისი ინფორმაცია უნდა პასუხობდეს რიგ მოთხოვნებს: ინფორმაცია უნდა იყოს ოპტიმალური, „გაფილტრული“ და სრული, მაქსიმალურად უტყუარი მონაცემებსაგან შემდგარი;

ინფორმაცია უნდა იყოს დროული, რამდენადაც სწრაფად ცვალებადი გარემოს პირობებში აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაჩქარება, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმო შეიძლება აღმოჩნდეს კრიზისულ მდგომარეობაში შეცვლილი პირობების შენელებული და არადროული რეაგირების გამო.

ინფორმაცია უნდა იყოს ობიექტური, წინააღმდეგ შემთხვევაში მენეჯერის ყველა მცდელობა და საქმიანობა ფუჭი აღმოჩნდება და გადაწყვეტილების მიღება ვერ უზრუნველყოფს წარმოშობილი პრობლემის გადაწყვეტას.

თანამედროვე ეტაპზე წარმატებულია

1. Трахтенгерц Э.А. Компьютерная поддержка принятия решений. М.: Синтег, 1998. 376 с.; Уткин Э.А. Управление фирмой. М.: Аналис, 1996. 516 с.

ის სანარმო, რომელთა მენეჯერებიც ეფექტურად მოიპოვებენ, გადაამუშავებენ და გამოიყენებენ ინფორმაციას სანარმოს საქმიანობის შესაძლებლობების გახსნასა და საფრთხეებზე. შესაბამისად, ინფორმაცია, რომელიც გროვდება და მუშავდება მმართველობითი გადაწყვეტილების მხარდაჭერის სისტემების დახმარებით უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- დროულობა, ანუ ინფორმაცია უნდა მიიღონ მაშინ, როცა მათ ანალიზს ჯერ კიდევ აქვს აზრი;
- უტყუარობა - რათა არ დაიხარჯოს დამატებითი ძალისხმევა ინფორმაციის შემოწმებაზე;
- რელევანტულობა - არსებითობა, ანუ ინფორმაცია უნდა ეხმარებოდეს გადაწყვეტილების მიღებას;
- სარგებლიანობა - ინფორმაციის გამოყენებიდან მიღებულმა ეფექტმა უნდა დაფაროს მისი მოპოვების ხარჯები;
- სისრულე და სიცხადე, ანუ ინფორმაცია უნდა იყოს სრულოფილი და არ საჭიროებდეს მნიშვნელოვან ძალისხმევას დაშიფრისთვის;
- რეგულარულად მიღებული.

სანარმოო სისტემის ორგანიზაციის მართვის სისტემური მიდგომისას მეტად აქტუალურია კიბერნეტიკის „მართვის ძირითადი კანონი“ - აუცილებელი მრავალფეროვნებისა და სწრაფადმოქმედების კანონი [ეშბი უ. რ.]. კანონის არსი მდგომარეობს შემდეგში: გარე და შიდა გარემო სანარმოო სისტემაზე გავლენას ახდენს ყველაზე მრავალფეროვნად, როგორც კანონზომიერად განმეორებით, ისე შემთხვევითი ზემოქმედების სახით. იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას ფუნქციონირების სისრულე და შესაძლებლობა, სანარმოო სისტემა ასეთ გავლენას უნდა პასუხობდეს შესაბამისი უკუქმედებით, თან დროის ყოველ ცალკეულ მომენტში.

მართვის სისტემაში ნარუმატებლობა არასაკმარისი და არაზუსტი ინფორმაციის, სისტემისა და მართვის ორგანოების არასაკმარისად სწრაფად მოქმედი კავშირების, მართვის ორგანოს პროფსიული კომპენტენტურობის ან ინფორმაციული ნაირსახეობის დაბალი დონის შედეგად, ინვესს ამ კანონის დარღვევას და შედეგად არარაციონალური გადაწყვეტილების მიღებას.

მენეჯერის ინტელექტუალური საქმი-

1. Эшби У. Росс. Введение в кибернетику. М.: Иностран. литер., 1959. с. 294

ანობის შესაძლებლობების გაფართოებისა და არგუმენტირებისათვის საჭიროებას წარმოადგენს პერმანენტული კვლევების ჩატარება, რომელიც ითვალისწინებს გადაწყვეტილების პროცესის შემუშავებასა და განხორციელებაში ხელმძღვანელის ანალიტიკურ შესაძლებლობათა გაძლიერებას. ასეთი კვლევის შედეგი იქნება ინტელექტუალური სისტემის შექმნა<sup>2</sup>, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს მმართველობითი ტექნოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვან წინსვლას,<sup>3</sup> გადაწყვეტილების შემუშავებისა და დამკვიდრების მეცნიერული მეთოდების გამოყენებას, მმართველობითი საქმიანობის განხორციელებაში ახალი ხარისხის უზრუნველყოფას და ავტომატიზირებული ინფორმაციული სისტემების შექმნას.

სანარმოო კოლექტივის მიზანმიმართული საქმიანობის შესახებ ინფორმაციული მხარდაჭერა ხორციელდება კორპორაციული ინფორმაციული სისტემა (კის)-ის მიერ, რომელიც წარმოადგენს ინტეგრირებულ ინფორმაციულ სისტემას, რომლის დანიშნულებაა ფირმის მართვის სტრატეგიის გაერთიანება მის სტრუქტურასთან და მონივნავე ინფორმაციული სისტემების ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან. კორპორაციული ინფორმაციული სისტემების გამოყენება და განვითარების ძირითადი მიმართულება არის ფირმის ძირითადი ფუნქციების რეალიზაცია, ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავებისა და სერვერული ტექნოლოგიების საფუძველზე, რომელიც მიიღწევა სერვის-ორიენტირებული (კის) არქიტექტურის გამოყენებით; კის მობილური კომპონენტების რეალიზაციით და OLAP--ტექნოლოგიის გამოყენებით<sup>4</sup>. [2, ო. გაბედავა... ] მისი დახმარებით სანარმოსა და მისი ერთეულების ხელმძღვანელობას შეუძლია გადაწყვიტოს დასახული ამოცანის შესაბამ-

2. Пospelов Г.С. Искусственный интеллект - основа новой информационной технологии. М.: Наука, 1988. 280с.; Ременников В.Б. Разработка управленческого решения: Учеб. пособие для вузов. М.: ЮНТИ-ДАНА, 2000. 140 с.

3. Повышение эффективности АСУП. Иванов Н.И., Гафт Л.Ш., Айзенштейн М.Д. и др., Киев: Наукова думка, 1985.304 с.; Раппопорт Б.М. Оптимизация управленческих решений. М.: ТЕИС, 2001.264 с.; Реинжиниринг бизнес-процессов. Под ред. П.М. Абдикеева и Т.П.Данько. М.: Эксмо, 2005.592 с.; Смилянский Г.И. Какая АСУ эффективна? М.: Экономика, 1988.304 с.

4. ომარ გაბედავა, სიმონ პოჩოვიანი ავტომატიზებულად ინფორმაციის დამუშავებისათვის კორპორაციული ინფორმაციული სისტემის გამოყენება. Transactions. Georgian Technical University. AUTOMATED CONTROL SYSTEMS - No 2(9), 2010

ისად მატერიალური, ტექნიკური, ტექნოლოგიური, ფინანსური და შრომითი რესურსების ეფექტური მართვა. კის-ი მონოდებულია დააკმაყოფილოს საწარმოს ცალკეული მუშაკის პროფესიულ ინფორმაციული მოთხოვნები, მოახდინოს საწარმოს ხელმძღვანელებისათვის გადანყვეტილებათა ალტერნატიული ვარიანტების გენერირება, განახორციელოს საწარმოს საქმიანობის ანალიზის, დიაგნოსტიკის და პროგნოზირების ინფორმაციული და მეთოგოლოგიური მხარდაჭერა. კის-მა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა უტყუარობა და სისრულე საწარმოს შიდა ინფორმაციული გაცვლისას და გარე გარემოსთან (პარტნიორები, მასალებისა და ნედლეულის მომწოდებლები, პორდუქციის მომხმარებლები და სხვ) კავშირისას, გარე გარემოს ცვლილებებისადმი ოპერატიულობა, მობილობა, სიმყარე, სწრაფად ადაპტირება.

საწარმოს ინფორმაციულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს ერთიანი ინფორმაციული სივრცე ოპერატიული და საიმედო ეკონომიკური ინფორმაციის გაცვლისათვის, ნება დართოს განხორციელდეს დისტანციური ურთიერთკავშირი მმართველობით მუშაკებსა და პროცესებს შორის, გამორიცხოს მმართველობით დოკუმენტბრუნვაში ინფორმაციის დუბლირება, უფლება მისცეს მობილური სპეციალისტების ვირტუალური კოლექტივების გამოჩენის საფუძველზე საწარმოს მართვის სტრუქტურის ორგანიზაციული ოპტიმიზაცია, განახორციელოს მომზადების დეცენტრალიზაცია, მონაცემთა კოლექტიური გამოყენება და მართვის მონაცემების ბაზებთან შეთახნებით აუცილებელი გაანგარიშებები.

საწარმოს, ცალკეული ერთეულების და ცალკეული ხელმძღვანელის დონეზე მმართველობითი პრობლემის გადანყვეტაში დამხარე სისტემებს მიეკუთვნება გადანყვეტილების მიღების მხარდაჭერის სისტემები (გმმს)<sup>1</sup>, რომელიც განკუთვნილია გადანყვეტილების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში გადანყვეტილების მიმღები პირების ინფორმაციული მხარდაჭერა. ა.ფრანგიშვილი, ზ.გასიტაშვილი, მ.ხართიშვილი, ს.პროკოპიევი მუნიციპალური წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატორულ იმაჩვენებლების, მუნიციპალური ფინანსების, არასაცხოვრებელი უძრავი ქონების და მინათსარგებლობის ინფორმაციული სისტემა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის <<ინფორმაციული ტექნოლოგიები 2008>> მოხსენებათა კრებული, 2008, №8 0135-0765, გვ.177-182

ისთვის. გმმს-ი შეიძლება განისაზღვროს როგორც ინტერაქტიული, კომპიუტერზე რეალიზებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ალტერნატივების შემუშავებისა და გადანყვეტილების შერჩევისათვის გამოყენებული ინფორმაციის შესამუშავებელ მოდელამდე მარტივად მიღწევას. ჩვენი მოსაზრებით, ასეთი სისტემები უნდა გაფართოვდეს მმართველობითი გადანყვეტილების მხარდაჭერ სისტემამდე, რომელიც უნდა დაეხმაროს არა მარტო გადანყვეტილების შემუშავებასა და მიღებაში, არამედ მისი განხორციელების გეგმის შემუშავების, მისი შესრულების მიმდინარეობის კონტროლირებასა და პრობლემის გადანყვეტის ეფექტიანობის შეფასებაში.

მმართველობით გადანყვეტილებათა მხარდაჭერის ასეთი სისტემებისადმი წაყენებულ მთავარ მოთხოვნას, როგორც აღვნიშნეთ, მიეკუთვნება გადანყვეტილების მიმღებ პირთა (მენეჯერი) უზრუნველყოფა საკმარისი მოცულობის აუცილებელი ინფორმაციით, რაც გადანყვეტილების მიმღებს საშუალებას მისცემს, გამოცდილებისა და კომპეტენტურობის ფარგლებში სწორედ განსაზღვროს პრიორიტეტები და მოახდინოს ალტერნატიული ვარიანტების საფუძვლიანი ანალიზი.

ინფორმაცია საწარმოს მწარმოებლურობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი რესურსია, რამდენადაც სწორედ ის იძლევა საწარმოს მიზნებისა და ამოცანების დადგენისა და შესაძლებლობების გამოყენების, საფუძვლიანი და დროული მმართველობითი გადანყვეტილების მიღების, შემსრულებელთა საქმიანობის კოორდინირებისა და დასრული საერთო მიზნის მიღწევაზე მათი ძალისხმევის მიმართვის საშუალებას.

გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის სისტემები შეიძლება გამოყენებულ იქნას გადანყვეტილების მიღების სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ამოცანებისათვის. მაგ. ბაზრის კონიუქტურის ანალიზისა და დინამიკის პროგნოზირების, ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის შემუშავების, საწარმოს პოტენციალისა და მისი რეკონსტრუქციის პროექტის ან ტექნიკური გადაიარაღების შეფასებისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლების დროს<sup>2</sup>.

გადაწყვეტილების ფორმირება და შერჩევა ზემოაღნიშნულის გარდა, მოიცავს

2. Ременников В.Б. Разработка управленческого решения: Учеб. Пособие для вузов. М.: ЮНТИ-ДАНА, 2000. 140 с.

რესურსების ( მათ შორის ინფორმაციულის) შემავალი ნაკადების რეგულირებას.

სწორედ ინფორმაცია იძლევა რესურსების სხვა სახეების რაციონალურად განკარგვის საშუალებას. რამდენადაც მმართველობითი ზემოქმედება სანარმოო-ეკონომიკურ, ორგანიზაციული სისტემებში ხორციელდება გადაწყვეტილების მიმღები და შემსრულებელი პირების მიერ, მაშინ ინფორმაციული ნაკადების ქვეშ იგულისხმება მმართველობითი გადაწყვეტილების განხორციელების მიზნით განხორციელებული ინფორმაციული რესურსების ერთი ერთეულიდან (ერთი თანამშრომლისაგან) სხვაში ფიზიკური გადაადგილება.

ინფორმაციული ნაკადები სანარმოო იქმნება პერსონალის უფრო კვალიფიციური და შემოქმედებითი ნაწილის ინტელექტუალური სამუშაოს შესრულების შედეგად, თუმცა თანამედროვე ეტაპზე მის შექმნაში ყველა რანგის მუშაკი მონაწილეობს რაც მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს. მიღებული გადაწყვეტილების ხარისხის ამაღლებისათვის აუცილებელია მართვის ინფორმაციული რესურსების ისე ორგანიზება, რომ ის იყოს კომპლექსური, საკმარისი, უტყუარი, აქტუალური, ოპერატიული და საიმედო<sup>1</sup>.

ინფორმაციული ტექნოლოგია მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის მოცულობას, ტიპს და მოპოვებაზე, დამუშავებასა და ანალიზზე დასახარჯ დროს, უზრუნველყოფს შრომატევადობის შემცირებას, მისი უტყუარობისა და ოპერატიულობის ამაღლებას.

წარმოების სისტემის რეალური მართვისათვის, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებისთვის, თანამედროვე პირობებში ასევე აუცილებელია სანარმოო პროცესების მონიტორინგის შემოტანა- სწრაფი წვდომა საარქივო, საპროექტო და ტექნიკურ დოკუმენტებთან, სანარმოო პროცესების ტექნოლოგიურ პროცესებთან (სამუშაო ადგილების დატვირთვის, წარმოების უბნებს შორის მასალების გადაადგილების, სამუშაო დროის დანახარჯების შესახებ). მასალებისა და მზა პროდუქციის არსებული მარაგების, დაუმთავრებელი წარმოების უწყვეტი ინვენტარიზაცია და დანახარჯების ეტალონური კლასიფიკაცია.

**ტრადიციულად** სანარმოები იღებდნენ 1. თ. სტურუა. საინფორმაციოსისტემებისდაპროექტება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2012 <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3935/1/SainformacioSistembisDaproecqteba.pdf>

გადაწყვეტილებას ცენტრალიზებული წესით, როცა ინფორმაციული ნაკადები ადიოდა ზევით მმართველობითი იერარქიის მიხედვით და დირექტივების სახით დაიყვანებოდა ქვევით. ასეთი სისტემა ინვესტიციების მიღების შენელებას და ხშირად ისინი არსებული სიტუაციის არაადეკვატური იყო.

სანარმო-დანესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებამ დასაკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფამ დღემდე ვერ შეცვალა ცენტრალიზაციის პრინციპი, თუმცა საქმიანობის მოცულობის გადიდება და მეურნეობრიობის გაძლიერების ტემპების ზრდა, უსათუოდ გამოიწვევს დეცენტრალიზაციის დღის წესრიგში დაყენებას, თვითმმართველობის მასშტაბების ზრდას.

ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტის გამარტივებისათვის აუცილებელია კოლექტიური მიდგომა, რამდენიმე მენეჯერის შეთანხმებული მუშაობა, რომელთაც აქვთ ერთიანი მიზანი და მოსაზრებების გაცვლის საშუალება. ამასთან, აუცილებელია საკითხის პარალელური მომზადების პროცედურის გამოყენება, დამკვიდრება და გადაწყვეტილების კორექტირება, ასევე ინფორმაციის გაცვლა მოცემულ პროცესში ჩართულ მონაწილეთა შორის. ამისათვის უნდა გამოყენებულ იქნას თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობის ყველა საკომუნიკაციო საშუალება და სისტემა.

მართვის სისტემების ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე რეკონსტრუქციისას უნდა გამოყენებულ იქნეს შეფასების ყველა მისაწვდომი მეთოდები (ფორმალიზებული და არაფორმალიზებული ჯგუფების)<sup>2</sup> და ანალიტიკური მოდელები<sup>3</sup>.

მე-20 საუკუნის 90-ინი წლებიდან ორგა-

2. შეფასების მეთოდები-ფორმალიზებული და არაფორმალიზებული ჯგუფები. პირველი ეფუძნება გაზომვადი კრიტერიუმებით ანალიზს, გამოიყენება მართვის ამოცანების გადაჭრისათვის ოპერატიულ და ნაწილობრივ ტაქტიკურ დონეზე, დაბალი და საშუალო რგოლის მენეჯერების მიერ. მეორე - დაფუძნებულია გამოცდილებაზე, ინტუიციასა და საექსპერტო შეფასებებზე, გამოიყენება ძირითადად სტრატეგიული და ნაწილობრივ ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის, ხშირად ტოპ-მენეჯერების მიერ. (ავტორი)

3. ანალიტიკური მოდელებიდან უფრო გავრცელებულია გადაწყვეტილებათა გათანაბრების რიცხოზობრივი მეთოდები ან მათი სისტემები; თამაშთა თეორია; სარგებლიანობის თეორია (ექსპერტთა შეფასებაზე დაფუძნებული, გადაწყვეტილების ვარიანტების ალბათობის სიმჭიდროვის ფუნქციები); სტატისტიკური გადაწყვეტილებების თეორია (იკვლევს შესასწავლი შემთხვევითი პროცესის სხვადასხვა განაწილებებს).

ნიზაციებში დაინყეს ტექნოლოგიური სისტემის „ინტრანეტ“-ის გამოყენება, რომელიც მენეჯერებს ინფორმაციასთან მუშაობის ისეთ შესაძლებლობებს სთავაზობდა როგორცაა ელექტრონული ფოსტის საშუალებით ინფორმაციის გაცვლა, ჰიპერტექსტური საცნობარო ინფორმაციული სისტემის გამოყენება, ინფორმაციის განთავსება მონაცემთა ბაზაში და მისი ერთობლივი გამოყენება კვლევის ჩატარების მიზნით, პრობლემის განხილვა დისკუსიის ფორმატში, პირდაპირი დიალოგის და კონფერენციის საშუალებით გადანყვეტილების შემუშავება.

თანამედროვე პირობებში, ერთერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიაა ორგანიზაციისათვის დისტანციური ვიზუალური ჯგუფური კავშირის, თათბირების ჩატარება, სწავლება - ვიდეოკონფერენცია, რომელიც ერთროულად სხვადასხვა დანესებულების და მანძილზე მყოფი მრავალი პირის ერთერთობის საშუალებას იძლევა, ქმნის არა მარტო ერთ აუდიტორიაში ყოფნის ეფექტს, არამედ შეიძლება ერთროულად სხვადასხვა სახის ინფორმაციის გადაცემა, სპეციალურ საკითხებზე მსჯელობით აუცილებელი გაან-

გარიშებების წარმოება კომპიუტერის და მონაცემთა სხვადასხვა ბაზებში არსებული ინფორმაციის გამოყენებით, მონაწილეთა შემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურება, რაც უზრუნველყოფს ურთერთობას უწყვეტი დიალოგის რეჟიმში.

დასკვნა. მაშასადამე, ინფორმაციული უზრუნველყოფა საწარმოს მწარმოებლურობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი რესურსია, რამდენადაც სწორედ იგი იძლევა საწარმოს მიზნებისა და ამოცანების დადგენისა და შესაძლებლობების გამოყენების, საფუძვლიანი და დროული მმართველობითი გადანყვეტილების მიღების, შემსრულებელთა საქმიანობის კოორდინირებისა და დასმული საერთო მიზნის მიღწევაზე მათი ძალისხმევის მიმართვის საშუალებას.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების მიერ გენერირებული ინფორმაციული ნაკადები უზრუნველყოფენ საწარმოში უფრო კვალიფიციური და შემოქმედებითი გადანყვეტილების მიღებას, კომპლექსური, საკმარისი, აქტუალური, ოპერატიული და საიმედო ინფორმაციით უზრუნველყოფის ხარჯზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა.ფრანგიშვილი, ზ.გასიტაშვილი, მ.ხართიშვილი, ს.პროკოპიევი მუნიციპალური წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატორული მაჩვენებლების, მუნიციპალური ფინანსების, არასაცხოვრებელი უძრავი ქონების და მინათსარგებლობის ინფორმაციული სისტემა. საერთაშორისო სამეცნიერო კომფერენციის <<ინფორმაციული ტექნოლოგიები 2008>> მოხსენებათა კრებული, 2008, ISSN 0135-0765, გვ. 177-182
2. ომარ გაბედავა, სიმონ პოჩოვიანი ავტომატიზებულად ინფორმაციის დამუშავებისათვის კორპორაციული ინფორმაციული სისტემის გამოყენება. Transactions. Georgian Technical University. AUTOMATED CONTROL SYSTEMS - No 2(9), 2010
3. თ. სტურუა. საინფორმაციო სისტემების დაპროექტება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2012. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3935/1/SainformacioSistemebisDaproteqteba.pdf>
4. Десятирикова Е.Н. Информатизация управления бизнес-процессами развития сложных систем// Экономика и обеспечение устойчивого развития хозяйственных структур: Межвуз. сб. науч. тр. Воронеж: ВГТА, 2001. Ч. 3. С. 30-33;
5. Страссман П.А. Информация в век электроники. (Проблемы управления). Пер. с англ., науч. ред. и авт. предисл. Б.З. Мильнер. М.: Экономика, 1987. 240 с.; Трахтенгерц Э.А. Компьютерная поддержка принятия решений. М.: Синтег, 1998. 376 с.;
6. Уткин Э.А. Управление фирмой. М.: Аналис, 1996. 516 с.
7. Эшби У. Росс. Введение в кибернетику. М.: Иностран. литер., 1959. с. 294
8. Поспелов Г.С. Искусственный интеллект - основа новой информационной технологии. М.: Наука, 1988. 280с.; Ременников В.Б. Разработка управленческого решения: Учеб. Пособие для вузов. М.: ЮНТИ-ДАНА, 2000. 140 с.
9. Повышение эффективности АСУП. Иванов Н.И., Гафт Л.Ш., Айзенштейн М.Д. и др., Киев: Наукова думка, 1985. 304 с.; Раппопорт Б.М. Оптимизация управленческих решений. М.: ТЕИС,

10. 2001.264 ს.; Реинжиниринг бизнес-процессов. Под ред. П.М. Абдикеева и Т.П. Данько. М.: Эксмо, 2005.592 с.; Смилянский ГЛ. Какая АСУ эффективна? М.: Экономика, 1988. 304 с.
11. Ременников В.Б. Разработка управленческого решения: Учеб. Пособие для вузов. М.: ЮН-ТИ-ДАНА, 2000. 140 с.

## რეზიუმე

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე გლობალური კონკურენტული ბრძოლის პირობებში, აქტუალური ხდება წარმოებული საქონლის მრავალფეროვნების უწყვეტად გაფართოება, სანარმოო ციკლის ხანგრძლივობის შემცირება, დამკვეთის მიერ დადგენილ ვადებში დადგენილი ხარისხის პროდუქციის მიწოდების უზრუნველყოფა, ყველა სახის რესურსის ეფექტიანი გამოყენებისთვის პირობების შექმნა.

წარმოების მაღალი ეფექტიანობის მიღწევის მიზნით, წარმოიშობა მნიშვნელოვანი გარდაქმნების, რეინჟინერინგის აუცილებლობა ოპერაციულ მენეჯმენტში, მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზების პროცესების სრულყოფის საფუძველზე სანარმოს მდგრადი და რითმული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

გადაწყვეტილების მიღების სისტემის სრულყოფა შეუძლებელია მეცნიერული მიდგომისა და ინფორმაციული მხარდაჭერის ავტომატიზირებული სისტემის გარეშე.

ინფორმაციული ტექნოლოგიები- მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის მოცულობას და ტიპს, მოპოვებაზე, დამუშავებასა და ანალიზზე დასახარჯ დროს, უზრუნველყოფს მენეჯმენტისთვის გადაწყვეტილების მიღების შრომატევადობის შემცირებას, ამაღლებს აღნიშნული გადაწყვეტილების ოპერატიულობასა და არგუმენტირებულებას.

## SUMMARY

### INFORMATIONAL PROVISION IN THE PROCESS OF ACQUIRING OF MANAGING DECISION

Mariam Khizanishvili  
PhD student of the Program of Business Administration  
Georgian Technical University

It is getting actual to continually spread the diversity of the goods in the conditions of developing economy within the modern global competitive struggle. The reduction of production cycle's duration, ensuring the provision of the given quality of the product within the given terms of the costumer. Creating the terms for effective usage of all kinds of resources.

The necessity of reengineering in operational management and other important transformations, working out of governing decisions are required in order to achieve high effectiveness of production and on the grounds of realization processes to ensure sustainable and rhythmic operation.

It's unimaginable to develop the decision making system without the system of scientific approach and informative support of automated system.

Information Technologies are significant factor which define the capacity of information and ensures the time for acquiring . operating and spending on the analysis. It provides with the reduction of labor on decision making increases argumentativeness promptness of above mention decision.

## სტილისტური ანალიზის კრიტიკიზმი

### ეკატერინე მარუაშვილი ფილოლოგიის დოქტორი

ახალი მეთოდების შუქზე სტილისტური კრიტიკიზმების დადგენა სცადა ამერიკელმა რომანისტმა მ. რიფატერმა. მან თავისი მოსაზრებანი გამოაქვეყნა ორ სტატიაში სადაც ეყრდნობა რა ინფორმაციის თეორიის ზოგიერთ ცნებას, წამოსწევს ენობრივი კომუნიკაციის სპეციფიკურ მხარეებს მხატვრული ლიტერატურის შესწავლის საქმეში.

რიფატერი ხაზს უსვამს ორი სტადიის არსებობას სტილისტურ კვლევაში. პირველია ევრისტიკული, ხოლო მეორე ინტერპრეტაციის სტადია. ძირითადი მიზანი ევრისტიკულ ეტაპზე არის სტილისტურ საშუალებათა დადგენა, რისთვისაც ავტორი იძლევა სხვადასხვა კრიტიკიზმებს. ინტერპრეტაციის სტადიაზე ხდება სტილისტურად რელევანტური ელემენტების ანალიზი, კლასიფიკაცია, მათ შორის მიმართებათა დადგენა და სისტემურ მთლიანობაში მოყვანა.

ავტორმა წინასწარ დაუშვა, რომ მხატვრული ნაწარმოების ტექსტში არსებობს ისეთი სპეციფიკური საშუალებანი, რომელთაც გააჩნიათ ესთეტიკურ-ემოციური თვისებები. ცხადია, ეს შეხედულება ისევე ძველია, როგორც თვით სტილისტიკა. რიფატერის სამუშაოში ახალი ის არის, რომ სტილისტურ საშუალებათა მოძებნისას იგი ემყარება ენობრივი კომუნიკაციის ზოგადი თეორიის გამოყენებას. ავტორი ითვალისწინებს ლიტერატურის სპეციფიკასა და მხატვრული ტექსტის (ენის) ექსპრესიულ ფუნქციასაც, რითაც მისი კვლევა ზოგჯერ შორდება ენათმეცნიერულ სტილისტიკას და შედის პოეტური სტილისტიკის სფეროში მაგრამ ვინაიდან, კონკრეტული მასალის კვლევისას გაძნელება სტილისტიკის საკითხებში ფაქტობრივი გამიჯვნა, ამიტომ რიფატერის შრომას ერთიანად განვიხილავთ.

რიფატერი წერს: ლიტერატურის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ მწერალი კოდირებისას აწარმოებს საკონტროლო დეკოდირებას, რომ მკითხველზე მოახდინოს განზრახული ზემოქმედება. მწერალს ნაწარმოებში შეაქვს ისეთი ელემენტები, რომლებიც ემოციურ გალენას მოახდენენ მკითხველზე. რიფატერის გამოთქმით, ეს რეაქცია არის ლიტერატურული ნაწარმოების ხერხის ზედნაშენი, ხოლო სტილისტური საშუალებანი არის ზედნაშენი ენობრივი საშუალებებისა

როგორც ვხედავთ, ბევრი მხარე ამ თეორიისა არ არის ახალი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, მისი წვლილი სტრუქტურალური პოეტიკისა და სტილისტიკის თვალსაზრისით. ლიტერატურული შემოქმედება აქ განხილულია არა როგორც ტექსტი მხოლოდ, არამედ როგორც ცოცხალი კომუნიკაციური პროცესი, რომლის (შემოქმედების) აზრი და არსი რეალიზებულია ხერხსა თუ სტილისტურ თავისებურებაში.

თუ ლიტერატურულ ნაწარმოებში არსებობს კოდირებული იმპულსები, რომლებიც გარკვეულ რეაქციას ახდენენ მადეკოდირებელზე, მაშინ, ცხადია, რომ ამ იმპულსების იდენტიფიკაცია შეიძლება მკითხველის, ინფორმატორის საშუალებით.

როგორც ცნობილია, ამერიკულ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში დადგენილია ინფორმატორის გამოყენების პრაქტიკა, რაც ბლუმფილდის დროიდან მოყოლებული, ფართოდ დამუშავდა. სტილისტიკაში ინფორმატორის გამოყენების პირველმა ცდებმა გამოამჟღავნა რამდენიმე სპეციფიკური პრობლემა. მათ შორის მნიშვნელოვანია წინააღმდეგობა ლიტერატურული ნაწარმოების სიმყარესა და დეკოდირებისას გამოყენებულ კოდის არასიმყარეს შორის. ლიტერატურულ ნაწარმოებში მოცემული ენობრივი კოდი “გაქვავებულია”, მაშინ როცა, მკითხველ-ინფორმატორი ამ ნაწარმოების დეკოდირებას ახდენს თავისი დროის კოდის საშუალებით.

აშკარაა, რომ ლიტერატურული ნაწარმოების კოდსა და მკითხველის კოდს შორის დისკრეპანცია მით უფრო დიდია, რაც უფრო დაშორებულია ნაწარმოების შექმნის ეპოქა ნაწარმოების განხილვის ეპოქასთან.

ენათმეცნიერება ლიტერატურულ ნაწარმოებს შეისწავლის, როგორც იმ ეპოქის ენის დოკუმენტს, როცა ეს ნაწარმოები შეიქმნა. სტილისტიკამ კი უნდა აღადგინოს ის თავისებურებანი, რომელიც ჰქონდა მხატვრულ ნაწარმოებს თავისი წარმოშობის პერიოდში. სტილისტური თვალსაზრისით, ემყარება რა ინფორმაციის თეორიას, გულისხმობს მუდმივისა და ცვალებადის ერთდროულობას. ე.ი. ეს თვალსაზრისი, ერთი მხრივ, ეყრდნობა ლიტერატურული ტექსტის ობიექტურ მუდმივობას, ხოლო, მეორე მხრივ, ანგარიშს უწევს თანამედროვე მკითხველის სუბიექ-



ტურ რეაქციას. რიფატერის ეს აზრი ერთხელ კიდევ ამტკიცებს სინქრონიისა და დიაქრონიის გამიჯვნის სირთულეს.

ამას გარდა ინფორმატორის გამოყენებას სტილისტიკაში სხვა სპეციფიკური პრობლემაც ახლავს. კერძოდ, სტილისტურ საშუალებათა შეფასების სუბიექტურობა ენობრივ საშუალებათა შეფასებასთან შედარებით. ამას ემატება აგრეთვე სუბიექტური მკითხველის მეტი ენა; აქვე დგება ინფორმატორის შერჩევის საკითხი.

რიფატერის შრომა გულისხმობს სხვადასხვა ტიპის ინფორმატორის გამოყენებას ექსპერიმენტის ჩატარებისას, რომლის ყოველი რეაქცია აღნიშნული იქნება როგორც პოტენციალურ სტილისტურ საშუალებათა სიგნალი.

აღსანიშნავია, სტილისტურ საშუალებათა გაზომვისას რიფატერმა უარი თქვა ადრინდელ სტრუქტურლიზმზე, რომელიც ენობრივი საშუალების სტილობრივობას ხედავდა სამწერლობო ნორმიდან გადახრაში. რიფატერმა უკუაგდო რა სამწერლობო ენა, როგორც სტილისტურ საშუალებათა უკანა პლანი, მის ადგილას წამოსწია კონტექსტი. კონტექსტი არის ნორმა, რომლის უკანაც იქმნება სტილისტური საშუალებანი, როგორც მნიშვნელოვანი გადახრა. ჩვენ შევხებით კონტექსტის საკითხს, რადგან რიფატერის ორივე სტატიიაში იგი საკმაოდ ტრივიალურად არის გადაწყვეტილი.

ინფორმატორის დახმარებით სტილისტურ საშუალებათა შესწავლა დაადგენს დღევანდელი მკითხველის რეაქციას. აქვე აღმოჩნდება, რომ შეიძლება დაშვებულ იქნას ორი სახის შეცდომა: 1. დღევანდელმა მკითხველმა შეიძლება რაღაც „ნაუმატოს“ ან არა და 2. მას შეიძლება რაღაც „გამორჩეს“.

რიფატერმა ნათლად წარმოადგინა თავისი შეხედულებანი, რომელთაგან ერთი თითქოს მიზნობრივად გამხდარა ავტორისათვის. ეს არის ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა, როგორც მუდმივი ცოცხალი პროცესისა. ასეთი აზრი ადრეც ყოფილა გამოთქმული სხვა მეცნიერების შრომებში, მაგრამ შემდგომ იგი არც განუვითარებიათ და არც გამოუყენებიათ.

უდავოა რიფატერის წვლილი იმაშიც, რომ მან, გამოიყენა რა ინფორმაციის თეორიის კატეგორიები და მეთოდები, კარგად წამოსწია წინ ენობრივი კომუნიკაციის სპეციფიკური მხარეები მხატვრული ლიტერატურის შესწავლის საქმეში.

სტილისტურ საშუალებათა დადგენისად-

მი ინფორმაციულ მიდგომას იჩენს ფრანგი მეცნიერი პ. გირო, რომელიც სტილს განსაზღვრავს, როგორც ენის სიჭარბის (ინფორმაციის თეორიაში მიღებული მნიშვნელობით) შედეგს. იგი გულისხმობს სიტყვათა ან კონსტრუქციების თავისებურებათა გამოყენებას, რომელთა რაოდენობრივი განსაზღვრა იმ ინფორმაციით, რომელსაც იგი თვით შეიცავს, ე.ი. ალბათობებით ნიშანთა ყველა ნაკლებალბათური (ანორმალური) კომბინაცია შექმნის ნაკლებად ან მეტად ძლიერ სტილისტურ ეფექტს იმის მიხედვით, თუ როგორია მისი ნაკლებალბათურობის ხარისხი.

### ფუნქციონალური განლაგება

ვინაიდან ენა წარმოადგენს სისტემას, ამიტომ გარკვეული სისტემურობა არსებობს მის ყველა დონეზე, ლექსიკის დონის ჩათვლით. ენის ლექსიკური სისტემა ნაწილობრივ წამოადგენს ისეთი სტილისტური ფენების სისტემას, რომლებიც გარკვეულად ურთიერთქმედებენ, მაგრამ ამავე დროს, ხასიათდებიან ისეთი ნიშნებით, რაც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს.

ენის ლექსიკური შემადგენლობის ლექსიკურ-სტილისტური დიფერენციაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ზოგად თეორიულ პლანში. იგი საფუძველია ე.წ. ფუნქციონალური სტილების წარმოაშობისა.

ფუნქციონალური სტილისტიკის ძირითადი დებულებანი ჩეხ ენათმეცნიერებს ეკუთვნით. პირველ რიგში აღსანიშნავია აკად. ბ. ჰავრანეკი და მისი მიმდევრები. ბ. ჰავრანეკმა ჯერ კიდევ 1932 წელს წამოაყენა „ფუნქციონალური ენების თეორია“. ჩეხი ენათმეცნიერები ფართოდ იყენებენ დღეს ფუნქციონალური სტილის ცნებას. თვით ეს ცნება შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს ენასა და მეტყველებისადმი მისი მიმართების საკითხში.

თანამედროვე ევროპულ ენებში ფუნქციონალური სტილი ემყარება ენის (კოდის) სისტემაში ფუნქციონალურად შეფერილი ელემენტების არსებობას, ასევე ენობრივი ელემენტების ამორჩევას, შერწყმასა და ხმარების სიხშირეს მეტყველებაში.

ფუნქციონალური სტილის დადგენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტატისტიკური და ალბათური მეთოდების გამოყენებას. ფუნქციონალური სტილის ზუსტი დადგენა ყოველ ენაში არსებითია კომპიუტერული თარგმნის პრობლემების გადაჭრისათვის, ვინაიდან ავტომატური თარგმნა მოითხოვს თარგმნის ალგორითმის

ორიენტაციას განსაზღვრულ ფუნქციონალურ სტილზე, რომელიც ამავე დროს განსაზღვრულია მეცნიერების და ტექნიკის ერთი კონკრეტული დარგით. ამიტომ ნათელია ყოველი სათარგმნი ენის ფუნქციონალურ-სტილისტურად შემოფარგლული ტექსტების ზუსტი რაოდენობრივი და თვისობრივი დახასიათების საჭიროება.

ასეთი დახასიათება შეიძლება ენის ყოველ დონეზე. მაგალითისათვის მოვიტანთ ჩეხი მეცნიერის ლ. დოლეჟელის შრომას, სადაც ფუნქციონალური სტილის მახასიათებელი დადგენილია ჩეხური ენის გრაფემათა სისტემისათვის გრაფემატულ დონეზე.

ლ. დოლეჟელის სტატიის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს ლინგვისტურად ინტერპრეტირებული სიჭარბისა და ენტროპიის ორი ამოსავალი საკითხის განხილვაში: 1. ეს სიდიდეები (ენტროპია და სიჭარბე) ენის, როგორც მთლიანობის მახასიათებელია, თუ ცალკეული ენობრივი სტილისა? 2. განსხვავდებიან თუ არა ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ენები? სტატიაში გარჩეულია რიცხობრივი ენტროპია და პრედიქტული ენტროპია. პირველი ინტერპრეტირებულია, როგორც ენის მახასიათებელი, ხოლო მეორე — როგორც ენობრივი სტილის მახასიათებელი.

როგორც ცნობილია, ენტროპია და სიჭარბე ინფორმაციის თეორიის ძირითადი ცნებებია. ენტროპია არის საშუალო სიდიდე და შენონის თეორიაში განმარტებულია როგორც საშუალო რაოდენობრივი ინფორმაცია, რომელიც მოდის ინფორმაციის წყაროს ერთ ერთეულზე (სიმბოლოზე, ნერილობითი ტექსტის შემთხვევაში, გაბმული ტექსტის ერთ ასოზე). სიჭარბე განსაზღვრულია როგორც ტექსტის ის პროცენტი, რომელიც არ არის აუცილებელი ინფორმაციის გადასაცემად. კ. შენონმა სიჭარბის გამოსათვლელი ფორმულა ისე დაადგინა, რომ სიჭარბის მნიშვნელობა დამოუკიდებელია ანბანის ასოთა რიცხვზე. სწორედ ეს ხდის სიჭარბეს ენათა სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შედარებისათვის საჭირო სიდიდედ.

ვინაიდან ზღვრული ალბათობები ენაში მაღალი რიგისაა, განსაკუთრებით კი, ასოთა გრძელი მწკრივებისათვის, ამიტომ ენტროპიის პირდაპირი რაოდენობრივი დამოკიდებულება ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება და ჩვეულებრივ იყენებენ განსაზღვრის არაპირ-

დაპირ მეთოდს, რომლის არსს წარმოადგენს შემდეგი სახის ექსპერიმენტი: ცდის პირი ახდენს ასოთა გამოცნობას, თუ ცნობილია წინამავალი ტექსტი (ასო).

კვლევისათვის დოლეჟელმა აიღო 7 გაბმული ტექსტი, თითოეული 20000 გრაფემის მოცულობით და შემდეგი თემატური სიჭრელით: ჰისტოლოგია, ლოგიკა, ფსიქოლოგია, მედიცინა და სხვა ტექსტები წარმოადგენდა თანამედროვე ჩეხური ენის სხვადასხვა სტილებს (საგაზეთო, მხატვრული და სხვ.). ავტორმა ყოველი ტექსტისათვის დაადგინა ცალკეულ გრაფემათა და დიგრაფთა კომბინაციების აბსოლუტური და რელატიური სიხშირე. გამოცნობის მეთოდით ჩატარებული იქნა ასი ცდა ოც ცდის პირთან.

გამოთვლებით მიღებულმა შედეგებმა დოლეჟელს უჩვენა, რომ რიცხვითი ენტროპია, რომელიც არ არის დამოკიდებული თემატიკის, შინაარსსა და სტილზე არის ენობრივი სისტემის პარამეტრიც. ხოლო პრედიქტული ენტროპია, სანინალმდეგოდ რიცხვითისა, ენის ფუნქციონალურ სტილთა განმასხვავებელია. ამგვარად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შესაფერისი მეთოდის უქონლობის გამო ზოგიერთ არაზუსტ განსაზღვრებას, რომელთა გათვალისწინებაც უხდებოდა დოლეჟელს, მაშინ უდავოა, რომ ჩეხური ენისათვის დადგენილია ფუნქციონალურ სტილთა განმასხვავებელი საზომი გრაფემატულ დონეზე.

ამკარაა, რომ ლექსიკური დონე უფრო შესაფერისია მსგავსი კვლევებისათვის. ენობრივი სტილის უკეთესი სტილისტური მახასიათებელი იქნება ამ სტილისათვის მაღალი სიხშირის სიტყვათა სია, რადგან ფუნქციონალურ სტილებს გარკვევით შეესაბამება ლექსიკაში სტილისტური ფენები, ე.ი. ის სიტყვათა ჯგუფები, რომლებიც დამახასიათებელია (ხშირად ხმარებული) მოცემული ფუნქციონალური სტილისათვის.

ბევრს შესძენს სტილისტიკის ამ სფეროს ალბათური და სტატისტიკური მეთოდების გამოყენება. მათი საშუალებით დადგინდება ენობრივ სტილთა გარჩევის კრიტერიუმები, ენის შინაგანი დიფერენციაციის, სტილთა შერევისა და სხვ. თეორიული საკითხები. რომელთა კვლევის რაოდენობრივი დახასიათება შეიძლება შეფასდეს როგორც თვისობრივი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრ. კიკნაძე “მეტყველების სტილის საკითხები”, თბილისი 1957.
2. არნ. ჩიქობავა ენათმეცნიერების შესავალი თბილისი, 1952).
3. ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია

### რეზიუმე

ეს ნაშრომი ეხება სტატისტიკური ანალიზის ჩატარებას სხვადასხვა სინტაქსურ დონეზე. მაგრამ ჩვენს მიერ ჩატარებულ დაკვირვებას პირობითად შეიძლება ეწოდოს სინტაქსური, რადგან ჩვენი კვლევის საგანი არ გამხდარა სიტყვათაშორის თვით სინტაქსური დამოკიდებულებანი და საერთოდ, რაიმე აზრობრივი და გრამატიკული მიმართებანი, არც წინადადების წევრთა გამოხატვის ფორმები და საშუალებანი, არც წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით, და თუ გამოკვლევას მაინც ვუწოდებთ სინტაქსურს, მხოლოდ იმიტომ, რომ კვლევის მასალას შეადგენდა წინადადების წევრები, რომლებიც სინტაქსში შეისწავლება და არა სიტყვები, მათი ფორმები და სხვ.

### RESUME

This work refers to the statistical analysis researching different syntax levels! But our producing survey may be called syntactical, because the object of our research was not dependence between words and sentence members. We were not interested in sentence constructions. Our research is referred to sentence members which are studied in syntax.

For research we took models of literature the stylistic analyses of which were made in stylistic extern and stylistic intern.

**ქართული საავიაციო ბაზრის მიმოიღველობა**  
**ნინო ჯერენაშვილი –**  
**საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი**  
**ანა კურტანიძე –**  
**საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი**

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ზაფხულისა და ზამთრის საკურორტო ზონები, სავიზო პოლიტიკა, საქართველოს მოქალაქეების მაღალი ინტერესი ევროპისა და აზიის დანიშნულების პუნქტების მიმართ, გამართული საავიაციო ინფრასტრუქტურა, საჰაერო მიმოსვლის ლიბერალური კურსი, საავიაციო საკანონმდებლო ჩარჩო – საჰაერო მიმოსვლის შესახებ გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებები, ურთიერგაგების მემორანდუმები, ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმება ევროპასთან, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ ბაზარზე დაშვებასთან დაკავშირებით შემუშავებული წესები და პროცედურები, მაღალი დონის სააერნაოსნო მომსახურების სანარმო („საქაერო ნავიგაცია“) და რათქმაუნდა ფრენის უსაფრთხოებისა და სავიაციო უშიშროების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და სხვა კომპონენტების ერთობლიობა ქმნის ავიაკომპანიის კომერციულ ინტერესს საქართველოს საავიაციო ბაზრის მიმართ.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი აქტიურად აწარმოებენ მოლაპარაკებებს ავიაკომპანია „ლყანაირ“-თან, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიაა. აჭარის საკურორტო ზონის მიმართ ინტერესი წლიდან წლამდე იზრდება, შესაბამისად სტაბილურად იზრდება ბათუმის აეროპორტის მიერ გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობაც. აღნიშნული მიმართულებით რეგულარული და ჩარტერული რეისებს ახორციელებენ სხვადასხვა ავიაკომპანიები: Georgian Airways, Turkish Airlines, BELAVIA, YANAIR. 2017 წელს ბათუმის მიმართულებით რეგულარული საჰაერო მიმოსვლა განახორციელეს: ირ რაბია, შვაცატ, Israel Airlines, ARKIA, Dniproavia. ახალი გადაყვანების მოძიებაზე ზრუნავს ბათუმის აეროპორტის ოპერატორი კომპანია „TAV Batumi“, ადგილობრივი ხელისუფლება და ტურიზმის დეპარტამენტიც.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ცდილობს, რომ საქართველოში მოქმედი ყველა საერთაშორისო თუ ადგილობრივი აეროპორტი იყოს უსაფრთხო და გამართული. ამ მხრივ ისინი მუდმივ ზედამხედვე-

ლობას დამონიტორინგს აწარმოებენ.

გასულ წელს უცხოურმა ავიაკომპანიებმა საქართველოს აეროპორტების მიმართულებით სიხშირეები გაზარდეს. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემებით:

ყაზახურმა ავიაკომპანია Air Astana-მ გაზარდა ფრენის სიხშირე ალმაატა-თბილისი-ალმაატას მიმართულებით და 1 ივლისიდან ფრენები შეასრულა კვირაში 6 სიხშირით ნაცვლად 5 სიხშირისა;

ირანული ავიაკომპანია Qeshm ირ ზრდის ფრენის სიხშირეს თეირანი-თბილისი-თეირანის მიმართულებით და 5 ივლისიდან ფრენები შეასრულა კვირაში 4 სიხშირით, ნაცვლად 2 სიხშირისა;

რუსულმა ავიაკომპანია Ural Airlines-მა გაზარდა ფრენის სიხშირე ეკატერინბურგი-ბათუმი-ეკატერინბურგის მიმართულებით და 3 ივლისიდან ფრენები განახორციელა კვირაში 3 სიხშირით, ნაცვლად 2 სიხშირისა.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ავიაკომპანიებს მიანიჭა საჰაერომიმოსვლის განხორციელებისათვის აუცილებელი ნებართვები.

უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტებმა რეგულარული და ჩარტერული რეისებით 3 199 063 მგზავრი გადაიყვანეს, რაც 46.63% -ით (1 017 380 მგზავრით) აღემატება წინანლის ანალოგიურ მონაცემს.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემებით, რეგულარული რეისებით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის მიხედვით ლიდერი თურქეთის ავიახაზებია. მას მთლიანი მოცულობის 11% უკავია. წლისპირველ 9 თვეში ავიაკომპანია ჯამში 350 706 მგზავრს მოემსახურა.

გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობით ბაზრის 90% უცხოურ ავიაკომპანიებს უკავიათ, ხოლო 10% ეროვნულ ავიახაზებზე მოდის. ეორგიან ირნაყს წლის 9 თვეში 298 964 მგზავრს მოემსახურა და შესაბამისად მთლიანი მოცულობის 10% დაიკავა.

მესამე ადგილზე Wizz Air- ია, რომელიც წლის 9 თვეში 240 055 მგზავრს მოემსახურა, ავიაკომპანიაზე მგზავრთა ნაკადის 8% მოდის.

რეგულარული რეისებით გადაყვანილი

მგზავრების 7% უკარინის ავიახაზებზე მოდის, რომელიც 9 თვეში 227 801 მგზავრს მოემსახურა. მთლიანი მოცულობის 6% მოდის flydubai-ზე, რომელიც 193 405 მგზავრს მოემსახურა. 155 697 გადავანილი მგზავრით მთლიანი მოცულობის 5% დაიკავა რუსულმა Aeroflot.

ურალის ავიახაზები უკანასკნელ 9 თვეში 120 916 მგზავრს მოემსახურა და შესაბამისად კომპანიამ მთლიანი მოცულობის 4% დაიკავა. ყატარის ავიახაზებმა ბაზრის 3%-ის დაკავება შეძლო 96 050 გადაყვანილი მგზავრით. ასევე მთლიანი მოცულობის 3% მოდის ელალ ისრაელის ავიახაზებზე, რომელიც 9 თვეში 93 197 მგზავრს მოემსახურა. 97046 მგზავრს მოემსახურა პეგასუსი და მანაც მთლიანი მოცულობის 3% დაიკავა.

დანარჩენმა ავიაკომპანიებმა მთლიანი მოცულობის 3% -ზე ნაკლების დაკავება შეძლეს:

ზაგროსი - 56358 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 2%

ეგეოსის ავიახაზები - 34129 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 1%

Air Cairo - 27216 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 1%

Air Astana - 59117 მგზავრი - მთლიანი

მოცულობის 2%

Air Baltic - 325 39 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 1%

belavia - 74357 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 2%

ატლასგლობალი - 63583 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 2%

ატაეარლაინზი - 38749 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 1%

აზერბაიჯანისავიახაზები - 63853 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 2%

ქემქემარი - 31504 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 1%

სკატი - 24135 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 1%

ისრეარი - 41408 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 1%

იანეარი - 63493 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 2%

ირანასემანეარლაინზი - 17005 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 1%

პოლონეთის ავიახაზები - 50678 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 2%

ლუფთაზა - 66849 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 2%

პობედაეარლაინზი - 24858 მგზავრი - მთლიანი მოცულობის 1%

### გამოყენებული ლიტერატურა

1. www.Forbes.ge;
2. www.bpn.ge;
3. www.wizzair.com;
4. www.bpi.ge
5. www.gcca.ge

### რეზიუმე

საქართველოს საავიაციო ბაზარი მომხიზვლელობას არ კარგავს. საქართველოდან ევროპის მიმართულებით პირდაპირი ავიარეისების რაოდენობა თანდათან იზრდება. საქართველოს მოსახლეობისათვის საკმაოდ სასიხარულო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ WizzAir-ი საქართველოდან ევროპის მიმართულებით ავიარეისებს ზრდის. როგორც წესი, ავიაკომპანიების დაინტერესება კონკრეტული ქვეყნის საავიაციო ბაზრით რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობითაა განპირობებული. ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა კი ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.

### SUMMARY

The Georgian market is not losing its charm. Gradually increases the number of direct flights from Georgia to Europe. WizzAir has been very good for the Georgian population and it increases flights from Georgia to Europe. Visa-free travel with the EU is certainly one of the contributing factor. As a rule, the interests of airlines are due to the combination of several factors by a specific country aviation market.

# ქართული მუხის (QUERCUS IBERICASTEVA) გავრცელების თავისებურებანი ქვემო ქართლის რეგიონში

იაკობ კაპანაძე  
სტუ აგრარული მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი

ტყე საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ეკოლოგიური გარემოს უზრუნველყოფის გარანტი და მისი უპირველესი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია. ტყის მოვლა, დაცვა, კვლავწარმოება, გონივრული, მიზანდასახული გამოყენება და ბიოლოგიური მრავალფეროვნების პოტენციალის შენარჩუნება სახელმწიფო-ბრივი მნიშვნელობის ამოცანაა.

საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40% ტყეებს უკავია, რომლებიც დიდი ნაირგვარობით გამოირჩევიან. ისინი უნიკალურ მრავალფეროვან ბიოცენოზებს ქმნიან (გიგაური, 2000).

საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია ხელუხლებელი (პირველქმნილი) ტყეები, რომლებიც განსაკუთრებული მაღალპროდუქტიულობით გამოირჩევა.

კავკასიის ეკორეგიონი, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ შეტანილია მსოფლიოს 34 „ცხელ წერტილთა“ (Hotspots) ნუსხაში, რომლებიც ხასიათდებიან ყველაზე დიდი ბიოლოგიური მრავალფეროვნებითა და საფრთხის წინაშე მყოფი ხმელეთის ეკოსისტემების სიუხვით. ამავე დროს გეოგრაფიული მდებარეობით, ეს ტერიტორია შედის მსოფლიოში აღიარებულ 200 ეკორეგიონს შორის ბიოლოგიურ სახეობათა სიუხვის, ენდემიზმის მაჩვენებლის, ტაქსონომიური უნიკალურობის, წარმოშობის თავისებურებებისა და ჰაბიტატების იშვიათობის მიხედვითაც. იგი აღნიშნული მაჩვენებლებით გამორჩეულია მცირე კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთ კორიდორში; კავკასია ფიგურირებს ასევე მსოფლიოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების დონით უნიკალური და დაცვის საჭიროების თვალსაზრისით პრიორიტეტული 25 რეგიონის ნუსხაში (<http://www.wwf.org/>).

მუხის (*Quercus L.*) გვარი ნიფლისებრთა (*Fagaceae L.*) ოჯახის წარმომადგენელია. რომელიც შეიცავს 600 - მდე სახეობის - ფოთოლმცვენ ან მარადმწვანე ხეებსა და ბუჩქებს. მისი წარმომადგენლები გავრცელებულნი არიან ჩრდილო ნახევარსფეროს ტროპიკული, სუბტროპიკული და ზომიერი კლიმატის

სარტყელებში. განსაკუთრებით მრავალი სახეობა გვხვდება ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ასევე ხმელთაშუაზღვისპირეთში. გვარის უძველესი სახეობებია მარადმწვანე, ხეშეშფოთლიანი სახეობები ( *Лесная энциклопедия т. 1, 1985*).

საქართველოს ტყის ფონდში მუხნარებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. 2005 წლის მონაცემების მიხედვით მუხით გაბატონებული კორომების საერთო ფართობი 248273 ჰა-ს შეადგენს. საქართველოში ქართული მუხისაგან წარმოქმნილ ტყეებ უკავიათ მთის ქვედა და შუა სარტყელი 600მ-დან — 1000-1200მ-მდე ზღვის დონიდან, სადაც განლაგებულია მოსახლეობის და ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილი (70%). ამიტომ ისინი მრავალი ათეული წლების განმავლობაში განიცდიდნენ და სამწუხაროდ ამჟამადც განიცდიან ძლიერზე წოლას მერქნის მოპოვების და პირუტყვის ინტენსიური ძოვების თვალსაზრისით. ძირითადად მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შეშითა და ნახშირით და კმაყოფილების მიზნით, აქ წარმოებული უსისტემო ჭრების გამო ქართული მუხით გაბატონებული კორომები ამონაყრითი წარმოშობისაა და ამიტომ დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდებიან, ხოლო გარეული და შინაური ცხოველების მიერ, მუხის ნაყოფის ინტენსიური ათვისება, მისი არადამაკმაყოფილებელი განახლების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

საქართველოში ყველაზე ფართოდაა გავრცელებული ქართული, გრძელყუნა და აღმოსავლეთის მუხები. მათ შორის კი დიდ ფართობებზე ტყეებს ქმნის ქართული მუხა, დანარჩენი კი მცირე ფართობებზე გვხვდება. (აბაშიძე, 1962; Гулисашвили, 1966 ).

საქართველოში ქართული მუხა (უერცუს. იბერიცა შტევ. ) გვხვდება: მესხეთში, თრიალეთში, ქვემო და შიდა ქართლში, იმერეთში, კახეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოში და აფხაზეთში. ე.ი. ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე. მას უკავია მთის ქვედა და შუა სარტყელები, თუმცა დასავლეთ საქართველოში, როგორც ასეთი, მუ-

ხის სარტყელი ცალკე არ გვხვდება და ზღვის დონიდან 400-500მ-დან 900-100 მ-მდე ფერთობებს იკავებს ჩვეულებრივ ნაბლთან (ჩასტანეა შატივა ილლ.)ერთად, სადაც სამხრეთ ექსპოზიციაზე ქართული მუხაა (*Q. iberica*) გაბატონებული, ხოლო ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე - ჩვეულებრივი ნაბლი (*C. sativa*).

საქართველოში ქართული მუხა უმეტესად 20-მ-მდე სიმაღლის ხედი იზრდება. ახასიათებს მოგრძო კვერცხისებური ან მომრგვალო ნაწვეტილი კვირტები და მარტივი უკუკვერცხისებრი ან მოგრძო უკუკვერცხისებრი, სქელი, ტყავისებრი, პრიალა (ზედამხრიდან) ფოთლები. ფოთლის ფირფიტა ყუნწიან ბიბილოებს ქმნის ან იშვიათად სოლისებრია. ნაყოფი ერთთესლიანი კაკალია (რკო), რომლის ბუდე მჯდომარე ან მოკლეყუნწიანია (აბაშიძე, 1962).

ქართული მუხის კორომი ნაყოფ მსხმოიარობის წელს ერთ ჰექტარზე, ადგილსამყოფელის ყოველგვარ პირობებში, 500 ათასიდან 1 მილიონამდე თესლს იძლევა. აქედან 95-98% ზიანდება მავნებელ-დაავადებებით, ყინვებით, ცხოველებისაგან და სხვა, მიუხედავად ამისა, საკმაოდ დიდი რაოდენობის აღმონაცენს ვლელობით (8 ათასიდან 35-40 ათასამდე).

ქართული მუხა წმინდა კორომებს ქმნის სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობების განუვითარებელ ნიადაგებზე; ხოლო ღრმა ნიადაგებსა და სხვა ექსპოზიციის ფერდობებზე კი ქმნის შერეულ კორომებს იფანთან, თელასთან, რცხილასთან, ჯაგრცხილასთან დაა.შ. (გულისაშვილი, 1974).

კვლევის მიზანი იყო დაგვეზუსტებინა ქართული მუხის როგორც მასობრივად, ასევე ერთეული სახით გავრცელების ადგილები ქვემო ქართლის რეგიონში ზღვის დონიდან სხვადასხვა ვერტიკალურ ზონაში. შესაბამისად, როგორც კვლევების შედეგად ირკვევა, ქართული მუხა (*Q. iberica*) ქვემო ქართლში, მდინარეების - ხრამისა და ალგეთის როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა მხარეს გვხვდება, მისი კორომები გავრცელებულია ასევე ფოლადაურის, ლოქჯანდარის, ხრამის, პატარა დმანისის, დარბაზის, ორბეთის, გარისის და თეთრიწყაროს მიდამოებში, ხშირად გაბატონებული ან სხვა სახეობებისაგან შექმნილ კორომებში, ძირითადად ჩვეულებრივი იფნის (რახსინუს ხცელსიორ), კავკასიური რცხილის (ჩარპინუს ჩაუცასიცა), ჯაგრცხილის (ჩარპინუს რიენტალის), კავკასიური ცაცხვის (თილია ჩაუცასიცა) და მინდვრის ნეკერ-

ჩხლის (*Acer Campestre*) მონაწილეობით. ერთეული ხეებისა და მცირე ჯგუფების სახით საკმაოდ დიდ ფართობებზეა გაფანტული.

შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება ქართული მუხა სოფლების - გუგუთის, განთიადის, ოფრეთის, ლივადის, ვანეთის და პანტიანის შემოგარენში, სადაც მცირე ფრაგმენტების სახით ჰპოვებს გავრცელებას, აქ უმეტესწილად მუხასთან ერთად გავრცელებულია სახეობებია კავკასიური რცხილა (ჩარპინუს ჩაუცასიცა), ჩვეულებრივი იფანი (რახსინუს ხცელსიორ), მინდვრის ნეკერჩხალი (ცერ ჩამპესტრე) და სხვ. ქართული მუხის ერთეული ეგზემპლარები შეინიშნება ზ.დ-დან 500 მეტრიდან, უფრო დასავლეთით მცირე მანძილზე ფრაგმენტულად მიუყვება მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტყის კორომებს ქართული მუხის გაბატონებით ვხვდებით ზ.დ-დან 700-1100 მ-მდე, სოფლების - ტანდიის, იფარის, ფოლადაურის, ვარდისუბნის, ბოგვის, ასურეთის, შავსაყდრის და ფიტარეთის სიახლოვეს, ხოლო მუხასთან ერთად კორომში ერთეული ეგზემპლარების შერევით შეინიშნება: ჩვეულებრივი იფანი (*Fraxinus Excelsior*), კავკასიური ცაცხვი (*Tilia Caucasi-ca*), მინდვრის ნეკერჩხალი (*Acer Campestre*) და კავკასიური რცხილა (*Carpinus Caucasica*), ქვეტყეში - ზღმარტლი (*Mespilus germanuca*), კუნელი (*Crataegus caucasica*), დიდგულა (*Sambucus nigra*) ჭაჭყატი და სხვა.

რაც შეეხება ერთეული ხეების სახით გავრცელებას ასეთ შემთხვევაში ჩვენს მიერ აღრიცხულია 1700 მ-მდეც კი, რაც ლიტერატურული წყაროებითაც (ი. აბაშიძე 1985) დასტურდება.

კვლევამ ასევე ცხადყო, რომ ქართული მუხა საკმაოდ კარგ კორომებს ქმნის 350-მდე დაქანების ფერდობებზე, ანუ თხელ ნიადაგებზეც, რაც ასევე ლიტერატურული წყაროებითაც დასტურდება.


### დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე ზღვის დონიდან 600-700 მ-დან 1000-1100 მ-მდე ქართული მუხა გაბატონებით, მნიშვნელოვანი შერევით, ან ცალკეული ხეების სახითაა კავკასიურ რცხილასთან (ჩარპინუს ჩაუცასიცა), ჩვეულებრივი იფანთან (თილია ჩაუცასიცა), ჯაგრცხილასთან (ჩარპინუს რიენტალის), მინდვრის ნეკერჩხალთან (ცერ ჩამპესტრე) და პანტასთან (ყრუს ცაუცასიცა) ერთად ყველა ექსპოზიციაზე, ხოლო ქართული მუხით გა-

ბატონებულ კორომებს ვხვდებით მხოლოდ სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე. ხოლო, ერთეული ხეების სახით ქართული მუხის ეგზემპლარები, ჩვენს მიერ აღრიცხულია 1700 მ-მდეც კი. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ ქართული მუხა საკმაოდ კარგ კორომებს ქმნის

350- მდე დაქანების ფერდობებზე, ანუ თხელ ნიადაგებზეც.

იხ. (სქემა1) .



განხილულია ქართული მუხის (*Quercus iberica* Stev.) როგორც მასობრივად, ასევე ერთეული სახით გავრცელების თავისებურებები ქვემო ქართლის რეგიონში ზღვის დონიდან სხვადასხვა ვერტიკალურ ზონაში. კვლევებმა ცხადყო, რომ ქართული მუხა (*Q. iberica*) ქვემო ქართლში, მდინარეების - ხრამისა და ალგეთის როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა სანაპიროზე გვხვდება, მისი კორომები გავრცელებულია ასევე ფოლადაურის, ლოქჯანდარის, ხრამის, პატარა დმანისის, დარბაზის, ორბეთის, გარისის და თეთრინყაროს მიდამოებში, უმეტესწილად გაბატონებით ან სხვა სახეობებისაგან შექმნილ კორომებში, ძირითადად ჩვეულებრივი იფნის (*Fraxinus Excelsior*), კავკასიური რცხილის (*Carpinus Caucasica*), ჯაგრცხილის (*Carpinus Orientalis*), კავკასიური ცაცხვის (*Tilia Caucasica*) და მინდვრის ნეკერჩხლის (*Acer Campestre*) მონაწილეობით. ერთეული ხეებისა და მცირე ჯგუფების სახით საკმაოდ დიდ ფართობებზეა წარმოდგენილი, მათ შორის ზღვის დონიდან 1700 მ-დეც კი აღმოსავლეთის ნიფელთან, მალალმთის მუხასთან და სხვ. სახეობებთან შერევით.

**SUMMARY**

Research below represents Georgian oak (*Quercus iberica* Stev.) as mass as individual tree distribution characters with different vertical zones from the sea level, in Kvemo Kartli region. Studies have shown that the Georgian oak (*Q. iberica*) is found in Kvemo Kartli, on the left and right bank of the river Khrami and Algeti, it's stands are also common in the neighborhoods of Poladauri, Lochjandari, Khrami, Patara Dmanisi, Darbazi, Orbeti, Garisi and Tetrtskaro, with domination or mixed with other kinds of species stands, represented by European ash (*Fraxinus Excelsior*), Caucasian hornbeam (*Carpinus caucasica*), Eastern hornbeam (*Carpinus orientalis*), Caucasian lime (*Tilia caucasica*) and field maple (*Acer*



Campestre). Stands are represented with small units or individual trees on large areas, among them on 1700 m from the sea level with *Fagus orientalis*, *Quercus macranthera* and other species, in mix.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე ი.- დენდროლოგია, ტ. I, "განათლება", თბილისი 1974.
2. აბაშიძე ი. დენდროლოგია 1985.
3. გულისაშვილი ვ. მეტყვეობა. 1963
4. კორძაძე ი. - საქართველოს ჰავა, "საქ. მეც. აკადემია", თბილისი, 1961
5. მირზაშვილი ვ. - დენდროლოგია, ტ. II, გამომცემლობა თბილისის სახ. უნივერსიტეტი, თბილისი 1948.
6. მ. საბაშვილის საქართველოს ნიადაგები თბილისი 1965 .
7. მ. ახალკაცი, საქართველოს ჰაბიტატები 2010.
8. ნ. კეცხოველის საქართველოს მცენარეულისა ფარითბილისი 1960 .
9. რევაზ ქვაჩაიძე საქართველოს გეობოტანიკური რაიონები თბილისი 2010.
10. გაგოშიძე გ. ნაბლისა და მასთან თანამზარდი ჯიშების ბუნებრივი თესლითი განახლება იელისქვეტყვიან შერეულ კორომებში - „საქ. მრავალმიზნობრივ ტყეებში სატყეო სამეურნეო ღონისძიებათა ეკონომიკურ, ეკოლ. ეფექტ. ამალღების პრობლემები“, სამეც. შრომები, თბილისი 1992ზ.
11. გაგოშიძე გ. საქართველოს მუხნარ-რცხილნარ ნაბლნარები მთის წივანის საფრით - „აგრარული მეცნიერების პრობლემები“, საქ. სახ. სას. სამ. უნივერსიტეტისა და საქ. სუბტრ. მეურნეობ. სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული XXXII, თბილისი, 2005ა.

# საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის მიზანშეწონილობის შესახებ

მაია გელანტია  
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიის სპეციალიზით,  
სამართალმცოდნე

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობას, რაც განპირობებულია ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით და ბუნებრივი პირობებით.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების სწრაფი ტემპები და დიდი მასშტაბები მოითხოვდა სათანადო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას. სწორედ ამ მიზნით 1952 წელს, ქ. ქუთაისში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

1959 წელს ინსტიტუტი გადავიდა სოხუმში და მას ეწოდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტი (სსმი). ეს იყო უნიკალური პროფილის მქონე უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა საზღვარგარეთის მონინავე უნივერსიტეტებთან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო წრეებთან. აქ სწავლობდნენ და კვალიფიკაციას იმაღლებდნენ ევროპის, აზიის, აფრიკის სუბტროპიკული ზონის ქვეყნებიდან ჩამოსული ახალგაზრდები. ეს ის პერიოდი, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ამ დარგის სპეციალისტთა მომზადება გამორჩეული მიდგომებით ხასიათდება.

ინსტიტუტის სასწავლო საცდელ მეურნეობებში, (კელასურის, კინდლის, ტამიშის), მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა. უნიკალურია ამ დროს მიღებული შედეგები და მიღწევები, მსოფლიოს სხვადასხვა სუბტროპიკული ზონის კულტურებისთვის, წარმატებული ინტროდუქციის შედეგად, აფხაზეთი და მისი ხელსაყრელი ეკოსისტემა მეორე სამშობლოდ იქცა. ინსტიტუტის საცდელ მეურნეობებში, ცნობილი მეცნიერ-სელექციონერის, პროფესორ ფილიპე მამფორიას ხელმძღვანელობით, აფხაზეთის მეცნიერ-აგრონომების მიერ გამოყვანილ და წარმოებაში დანერგილი იქნა ყინვაგამძლე ლიმონის ახალი ჯიში - „დიოსკურია“. გარდა ამისა, დაინერგა ჩაის, ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურების გადაშენების ახალი ტექნოლოგიები, შეიქმნა მანქანათა კომპლექსი და ჩაის საკრეფი პირ-

ველი მობილური მანქანა მსოფლიოში, სახელწოდებით - „საქართველო“. ზოგადად ეს იყო ის უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც განუზომლად დიდი დამსახურება მიუძღვის მსოფლიოში მონინავე, სრულიად ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების შექმნა-დანერგვაში და, ამავე დროს, აფხაზეთში ქართული ცნობიერების დამკვიდრების საქმეში.

აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ისევ გადატანილ იქნა ქ. ქუთაისში. უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივის დიდი ძალისხმევითა და მონდომებით, მცირე დროში აღდგა სასწავლო პროცესი, მეცნიერ-პედაგოგებმა, ინსტიტუტის ტრადიციების დაცვით, დევნილობაშიც აქტიურად გააგრძელეს მოღვაწეობა. სუბტროპიკული მეურნეობის დარგის პროფილის შენარჩუნებით მოხდა უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა სუბტროპიკული აგრობიზნესის, მექანიზაციის, ტექნოლოგიის და ეკონომიკის ფაკულტეტები.

2003 წელს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტს მიენიჭა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი და ეწოდა სსიპ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელს, რომელმაც შეინარჩუნა მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი და სასწავლო-სამეცნიერო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გავლილი აქვს სახელმწიფო აკრედიტაცია და ავტორიზაცია (2010 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობის 266 დადგენილებით, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეეცვალა სახელი და ეწოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხოლო 2010 წლის 16 ნოემბრის საქართველოს მთავრობის 353 დადგენილებით, იგი მიუერთდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს).

მიმაჩნია რომ, როგორც უნიკალური პროფესიის უმაღლესი სასწავლებლის საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მნიშვნელობიდან გამომდინარე და ქვეყნის ახალგაზრდობისათვის საუნივერსიტეტო განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია დაისვას საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტატუსის მიზანშეწონილობის საკითხი, საკითხს აქვს არა მხოლოდ საგანამანათლებლო, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც. იყო ჩატარებული გარკვეული მუშაობა აფხაზეთის საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო სტრუქტურების ძალისხმევითაც. აღნიშნული საკითხი ასევე დაისვა საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის სხდომაზე, შესწავლილ იქნა მასალები, და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა გადაიხედოს და შემუშავდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია, და სამოქმედო გეგმა, ასოციაციების ხელშეკრულების თანახმად საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. უნივერსიტეტის მთავარ მიზანს წარმოად-

გენს მრავალდონიანი პროფესიული სპეციფიკური დარგის სუბტროპიკული მიმართულების კადრების მომზადება. პიროვნების ნიჭსა და უნარზე დაფუძნებული მიზანმიმართული ინოვაციური საუნივერსიტეტო განათლების სისტემის დანერგვა და უწყვეტი განათლების განვითარება სუბტროპიკული სექტორის შრომის ბაზრის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან ადაპტირებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და სამეცნიერო კადრების მომზადების მიზნით. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტატუსის აღდგენის მიზანშეწონილობა ასევე დასტურდება შესწავლილი მასალებით და აქ ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული აგროსამრეწველო სპეციფიკურობა, პროფესორ-მასწავლებლების დიდი გამოცდილება, მას დღესაც ჰყავს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომ ამ საკითხის გადანყვეტა იქნება დევნილი საზოგადოების ერთობის საფუძველი, და აფხაზეთში ისტორიულად არსებული ქართულ-აფხაზური მოსახლეობის დაახლოების საფუძველი, ქართული სულის შენარჩუნება რეგიონში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 18 გამომცემლობა მოწამეთა 2009 წ.
2. სამართლებრივი გადანყვეტილების ასლები

### SUMMARY

THIS REPORT IS DEDICATED TO ANALYSIS OF SUBSTROPICAL STATE UNIVERSITY OF GEORGIA.

The aim of research: comprehensive analysis of Subtropical state university. Objectives of the research: analyzing socio- situation, professional and qualification akademik personal, Simple and features plans. Methods: the author's interviews with respondents , study official documents regulations, Parliament of Georgia). Periodical literature survey, and experts opinion. Formulation of the problem: the Key problem. In the end, we have worked out conceptual framework

# ეთნოკალიბრი კონფლიქტები მესამე სამყაროში: რელიგიის როლზე კონფლიქტის მიზეზის როლი

მარინა იზორია  
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

რელიგია განსხვავებულ როლს ასრულებს, ერთის მხრივ, მესამე სამყაროში<sup>1</sup> და, მეორეს მხრივ, დასავლეთისა და ყოფილი საბჭოთა ბლოკის სახელმწიფოებში. რისკის ქვეშ მყოფი უმცირესობებისა და არშემდგარი სახელმწიფოების შესახებ არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ რელიგიის მნიშვნელობა გაცილებით დიდია მესამე სამყაროში და რომ 1990-იან წლებამდე რელიგიური ხასიათისა იყო მესამე სამყაროს კონფლიქტების უმრავლესობა, 1990-იან წლებში კი ვითარება შეიცვალა და რელიგიური ხასიათი შეიძინა კონფლიქტთა უმეტესობამ დასავლეთისა და ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში.

მიუხედავად იმისა, რომ მედია, მეცნიერებმა და პოლიტიკოსებმა დაიწყეს ყურადღების გამახვილება რელიგიაზე, როგორც კონფლიქტის მიზეზზე, რელიგიის აღიარება კონფლიქტის მიზეზად, აგრეთვე მისი გავლენის საკითხი პოლიტიკასა და საზოგადოებაზე მაინც საკამათოა. მრავალი მეცნიერი, ადრე თუ დღეს, ამტკიცებს, რომ თანამედროვე პერიოდში რელიგია არ ახდენს გავლენას საზოგადოებრივ სფეროზე; ზოგის აზრით კი მისი გავლენა პირად სფეროზეც მცირდება. განსხვავებულ შეხედულებათა ერთ-ერთი მიზეზია კონფლიქტში რელიგიის როლის განსხვავებულობა მესამე სამყაროში, დასავლურ დემოკრატიებსა და ყოფილ საბჭოთა ბლოკში [1]. აქედან გამომდინარე, ისინი, ვინც შეისწავლიან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს, შეიძლება მივიდნენ სხვადასხვა დასკვნამდე კონფლიქტზე რელიგიის გავლენის საკითხთან დაკავშირებით.

რელიგიური აღორძინება სეკულარიზაციის საპირისპიროდ

დღეს რელიგიის მნიშვნელობის პრობლემაზე კამათის ერთ-ერთი მიმართულებაა მსჯელობა იმის თაობაზე, რა გავლენა ჰქონდა და აქვს თანამედროვეობას რელიგიაზე. 1950-იანი და 1960-იანი წლების პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენელთა უმრავლესობა იზიარებდა მოდერნიზაციის სკოლის თვალსაზრისს, რომელიც ამტკიცებდა, რომ

1. ტერმინი “მესამე სამყარო” აქ გამოყენებულია მისი ტრადიციული მნიშვნელობით და, შესაბამისად, გამორიცხავს ქვეყნებს ყოფილი საბჭოთა ბლოკიდან, დასავლური დემოკრატიებიდან და იაპონიას.

დღეს ისეთი ძირეული ფაქტორები, როგორებიცაა ეთნიკურობა და რელიგია, თანდათან კარგავენ მნიშვნელობას [2]. მოდერნიზაციის თეორია ყურადღებას ამახვილებდა ეთნიკურობაზე, რომელიც აშკარად მოიცავდა რელიგიასაც. რელიგიის საკითხზე მოდერნიზაციის თეორეტიკოსთა შეხედულებების მშვენიერ მიმოხილვაში შაჰლიყეჰ აღნიშნავს:

სოციალური განვითარების შემსწავლელნი ვარაუდობდნენ, რომ განათლება, ურბანიზაცია, დასაქმების თანამედროვე შესაძლებლობები, ტექნოლოგია, მეცნიერული მიღწევები, ასევე ახალი და უფრო რთული სოციალური ორგანიზაციები, აუცილებლად მიგვიყვანდა სეკულარიზაციის გავრცელებამდე, პლურალიზამდე და პოლიტიკურ დიფერენციაციამდე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სავარაუდოდ, ეს ცვლილებები გამოიწვევდა აგრეთვე ახალი ფასეულობებისა და თანამედროვე ცხოვრების სტილის ათვისებას, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდებოდა რელიგიურ ტრადიციებს. ფიქრობდნენ, რომ მოდერნიზაციის გავრცელებასთან ერთად ტრადიციული რელიგიური ინსტიტუტები დაკნინდებოდა ან გაქრებოდა; სხვადასხვა კულტურა და საზოგადოება გათავისუფლდებოდა რელიგიის მარწმუნებისაგან. კოლექტიური მოქმედების, სოციალური კონტროლისა და პოლიტიკური მობილიზაციის ძალის ნაცვლად რელიგია, უბრალოდ, ინდივიდის კერძო საქმედ იქცეოდა [3].

მაგრამ 1970-იანი წლების მიწურულს ამ თეორიამ დაკარგა მხარდაჭერა პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენელთა შორის, ეთნიკური კონფლიქტების მდგრადობისა და პოლიტიკაზე რელიგიის აშკარა გავლენის გამო, რომლის ნათელი გამოხატულება იყო რელიგიური უფლებების აღორძინება ამერიკის შეერთებულ შტატებში და ირანის რევოლუცია. მიუხედავად ამისა, ვაკოს (ჭაცო, ტექსასი) 1993 წლის მოვლენებამდე მეცნიერთა მცირე ნაწილი თუ მიიჩნევდა დასავლეთში რელიგიურ ძალადობას სხვა რამედ, თუ არა ეპიფენომენად [4].

საერთაშორისო ურთიერთობების სფერო, ანალოგიური მიზეზების გამო, აგრძელებდა რელიგიის იგნორირებას. პოლიტიკური მეც-

ნიერებისაგან განსხვავებით, საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარებს არა აქვთ ფორმალური თეორია იმის თაობაზე, თუ რატომაა რელიგია ნაკლებმნიშვნელოვანი; ეს, უბრალოდ, ასეა მიჩნეული [5]. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგაც კი ბევრი ცდილობდა, რელიგიური შეფერილობის მქონე ძალადობის ეს ამკარა გამოვლინება ტერორიზმის უფრო ნეიტრალურ კატეგორიაში გადაეყვანა. ეს შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთობების იმ ტენდენციას, რომ რელიგიური გავლენები, თუკი მათ საერთოდ ვაღიარებთ, სხვა, უფრო “მსუბუქ” კატეგორიებში უნდა მოვაქციოთ [6]. ამ ფენომენის სხვა მაგალითია კამათი “ცივილიზაციათა შეჯახების” თაობაზე, რომელიც შეეხო რელიგიას, მაგრამ, უმეტესწილად, მოახერხა თავიდან აეცილებინა თავად სიტყვა “რელიგიის” გამოყენება და ჩაანაცვლა იგი უფრო ნეიტრალური ტერმინებით, როგორცაა კულტურა და ცივილიზაცია. სამოქალაქო ომისადმი მიძღვნილი ნაშრომების უმეტესობა ასევე არ ეხება რელიგიურ საკითხებს [7], სხვადასხვა მარქსისტულ კვლევებში კი პირდაპირ უარყოფილია რელიგიის მნიშვნელობა.

რელიგიის მნიშვნელობის უარყოფა ასევე გაბატონებული იყო სოციოლოგიის სფეროში. სულ უკანასკნელ ხანებამდე სოციოლოგიის ძირითადი მიმართულება მიიჩნეოდა, რომ რელიგია შეუსაბამოა თანამედროვე პოლიტიკასა და საზოგადოებასთან [8]. სოციოლოგიური თეორია თანამედროვე ეპოქაში რელიგიის უმნიშვნელო როლის შესახებ, რომელიც სეკულარიზაციის თეორიის სახელითაა ცნობილი, სამი მნიშვნელოვანი ასპექტით განსხვავდება მოდერნიზაციის თეორიისაგან. პირველი, სეკულარიზაციის თეორია ყურადღებას ამახვილებს რელიგიაზე და არა ეთნიკურობაზე. მეორე, იმ სოციოლოგებმა, რომელთაც აღიარეს, რომ რელიგიას დღეს არსებითი მნიშვნელობა აქვს, ეს, სულ მცირე, ათი წლით გვიან გააკეთეს, ვიდრე პოლიტიკის მკვლევარებმა. მესამე, მრავალი სოციოლოგი ჯერ კიდევ ამტკიცებს, რომ რელიგიის ფაქტორი არაარსებითია თანამედროვე საზოგადოებაში.

სოციოლოგებს შორის სეკულარიზაციის თეორიის ირგვლივ მიმდინარე დებატებს მთლიანად ეძღვნება და ასახავს რელიგიის სოციოლოგიის [9] უკანასკნელი გამოცემა.

კამათი ორ ძირითად საკითხზე მიმდინარეობს. პირველი: რას ნიშნავს სეკულარიზაცია - რელიგიურობის დაკნინებას ხალხში,

ანუ იმას, რომ ხალხი სულ უფრო ნაკლებრელიგიური ხდება, თუ რელიგიის გავლენის შემცირებას პოლიტიკასა და სოციალურ ინსტიტუტებზე? მეორე: რეალურად მიმდინარეობს თუ არა რომელიმე ამ პროცესთაგანი? ზოგი ამტკიცებს, რომ ახლა ხალხი ისევე, ან უფრო მეტად რელიგიურია, ვიდრე წარსულში იყო - ან იმიტომ, რომ რელიგიურობა იზრდება [10], ან იმიტომ, რომ წარსულში რწმენის სიმტკიცე გაზვიადებულადაა წარმოდგენილი [11]. ამის საწინააღმდეგოდ, სხვები ამტკიცებენ, რომ რელიგიურობა დაქვეითების გზით მიდის [12]. მწვავედ კამათობენ იმის შესახებაც, ინარჩუნებს თუ არა რელიგია გავლენას სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე. არელ ობბელაერე-ის პოზიციის თანახმად, რელიგიის გავლენა თანდათანობით შემცირდა და უმნიშვნელო გახდა [13]. სხვების - ნაკლებად რადიკალურების - აზრით, რელიგიის გავლენა იმიტომ მცირდება, რომ იკლებს რელიგიური ხელისუფლების სტრუქტურების ზეგავლენა [14] და რელიგია საზოგადოებრივი სფეროდან კერძო, პირად სფეროში ინაცვლებს [15]. ისინი, ვინც თვლიან, რომ რელიგიას ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, ამტკიცებენ, რომ თანამედროვეობამ შეცვალა, მაგრამ ვერ გააქრო რელიგიის როლი საზოგადოებაში [16].

ორივე პოზიციაზე მდგომ სოციოლოგებს აერთიანებს ის გარემოება, რომ ისინი ყურადღებას ამახვილებენ ზოგადად დასავლურ სახელმწიფოებზე, კონკრეტულად კი აშშ-ზე. იმ დროს, როდესაც დასავლეთში რელიგიის როლის პრობლემა საკამათოა, არადასავლეთის შემსწავლელთაგან ცოტა ვინმე თუ იტყვის, რომ რელიგია აღარ არის მნიშვნელოვანი. მაგალითად, ძნელია წარმოიდგინო ახლო აღმოსავლეთის ექსპერტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ზოგადად რელიგია, კონკრეტულად კი ისლამი, არავითარ როლს არ თამაშობს რეგიონის საზოგადოებაში, პოლიტიკასა და კონფლიქტებში. ამის მსგავსად, ძნელი იქნება აზიის სპეციალისტი აიძულო, რელიგიის გათვალისწინების გარეშე ახსნას რეგიონის კონფლიქტები, განსაკუთრებით - შრი ლანკისა და ქაშმირის (ინდოეთი). ექსპერტი აფრიკის საკითხებში ვერ შეძლებს სუდანის სამოქალაქო ომის იგნორირებას, ხოლო ექსპერტს ლათინური ამერიკის საკითხებში დასჭირდება კათოლიკური ეკლესიის როლისა და გათავისუფლების თეოლოგიის გათვალისწინება. ამრიგად, მკვლევართათვის, რომლებიც სწავლობენ მესამე სამყაროს ამ და სხვა რეგიონებს, მტკიცებას არ საჭი-

როებს ის ფაქტი, რომ რელიგია ინარჩუნებს მნიშვნელობას, ერთის მხრივ, ხალხის რელიგიურობის, ხოლო მეორე მხრივ, პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტებზე თავისი გავლენის გამო. უბრალოდ, ეს მიღებულია როგორც მოცემულობა.

გარდა ამისა, ლიტერატურაში სულ უფრო ხშირად გვხვდება მტკიცება, რომ თანამედროვეობამ რელიგიის დამცრობის ნაცვლად მისი აღორძინება და გამოცოცხლება გამოიწვია. თანამედროვეობისათვის შინაგანად დამახასიათებელმა რამდენიმე პროცესმა განამტკიცა რელიგიის როლი პოლიტიკასა და საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს, უდაოდ, უნივერსალური მოვლენაა, მასზე, ძირითადად, არადასავლური სამყაროს მკვლევრები საუბრობენ.

როგორც არ უნდა იყოს, მრავალი მიზეზი არსებობს იმის სათქმელად, რომ თანამედროვეობამ გამოიწვია რელიგიის გავლენის ზრდა საზოგადოებასა და პოლიტიკაში. პირველი, ხელისუფლებებმა, განსაკუთრებით მესამე სამყაროში, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ თანამედროვე დასავლური პოლიტიკური და ეკონომიკური იდეოლოგიებით, ვერ შეასრულეს პოლიტიკური სამართლიანობისა და ეკონომიკური აყვავების დაპირებები. ამან მათი ლეგიტიმურობას ძირი გამოუთხრა; ამას მოჰყვა პოლიტიკური და იდეოლოგიური ვაკუუმი, რომლის შევსებაც რელიგიურმა მოძრაობებმა დაიწყეს [17]. მეორე, მრავალი ადამიანი, რომელთაც ტრადიციებისა და ტრადიციული ცხოვრების წესის რღვევის გამო მოუხდათ გადაადგილება და საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, გაუცხო-

ების დაძლევის ცდილობს რელიგიისაკენ მიბრუნებით [18]. მესამე, როგორც სახელმწიფოებმა, ასევე რელიგიურმა ორგანიზაციებმა განავრცეს თავიანთი გავლენის სფეროები, რასაც შედეგად მოჰყვა მათ შორის დაპირისპირების გამძაფრება [19]. მეოთხე, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებმა მსოფლიო უფრო “დაავინროვა”, რამაც რელიგიურ მოძრაობებს ერთმანეთის მოქმედებათა გაცნობის, ფართომასშტაბიანი ურთიერთობისა და თვითორგანიზების საშუალება მისცა [20]. მეხუთე, რწმენის თავისუფლების თანამედროვე ცნებამ ადამიანებს რელიგიის არჩევის საშუალება შეუქმნა, რამაც განაპირობა რელიგიური ინსტიტუტების ძალისხმევის გააქტიურება პოტენციური მიმდევრების მისაზიდად. ზოგიერთის მტკიცებით, ამას შედეგად რელიგიურობის ზრდა მოჰყვა [21]. და ბოლოს, კოლონიალიზმმა და ერი-სახელმწიფოების შექმნამ განამტკიცა ეთნიკური და ნაციონალური იდენტურობები, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია რელიგიურ იდენტურობებთან [22].

მრავალი დასავლელი მეცნიერის მიერ რელიგიის მნიშვნელობის უგულებელყოფის მიზეზია ყურადღების გამახვილება დასავლეთზე, სადაც რელიგიის გავლენა პოლიტიკაზე და საზოგადოებაზე, შესაძლოა, ნაკლებია, ან ნაკლებად მკაფიოა, ვიდრე არადასავლურ სამყაროში. ამის საპირისპიროდ, მეცნიერები, რომლებიც ყურადღებას არადასავლურ სამყაროზე ამახვილებენ, რელიგიას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ და ვერ ამჩნევენ იმას, რომ ის ნაკლებ მნიშვნელოვანია დასავლეთში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gabriel Almond «Introduction: A Functional Approach to Comparative Politics», in Gabriel Almond and James C. Coleman (eds.) *The Politics of the Developing Areas* (Princeton University Press, 1960), David Apter, *The Politics of Modernization*, (Chicago: University of Chicago Press, 1965), Karl Deutsch, *Nationalism and Social Communication* (Cambridge: MIT Press, 1953), Donald E. Smith, *Religion and Political Development* (Boston: Little, Brown, 1970), Donald E. Smith (ed.), *Religion, Politics and Social Change in the Third World* (New York: Free Press, 1971), and Donald E. Smith (ed.), *Religion and Political Modernization* (New Haven: Yale University Press, 1974).
3. Emile Sahliyah (ed.), *Religious Resurgence and Politics in the Contemporary World* (New York: State University of New York Press, 1990), p.3
4. Jeffrey Kaplan, «Introduction», *Terrorism and Political Violence*, Vol. 14, No. 1 (2002), p.2
5. Jonathan Fox, «Religion: An Oft Overlooked Element of International Studies», *International Studies Review*, Vol.3, No.3 (Fall 2001), pp.53-73
6. Vendulka Kabalkova, «Towards and International Political Theology», *Millennium*, Vol.29, No.3 (2000), pp.682-3
7. Ted R. Gurr, *Minorities At Risk* (United States Institute of Peace, 1993), Ted R. Gurr, «Why Minorities

- Rebel», *International Political Science Review*, Vol.14, No.2 (1993), pp.161-201, Ted R. Gurr, *Peoples Versus States: Minorities at Risk in the New Century* (Washington D.C.: United States Institute of Peace Press, 2000), Jack A. Goldstone, *Revolution and Rebellion in the Early Modern World* (Berkeley: University of California Press, 1991), and Theda Skocpol, *States and Social Revolutions* (Cambridge: Cambridge University, 1979).
8. Kenneth Westhus, «The Church in Opposition», *Sociological Analysis*, Vol.37, No.4(1976), pp.314, and Bryan R. Wilson, *Religion in Sociological Perspective* (Oxford: Oxford University Press, 1982), pp.53-4.
  9. *Sociology of Religion*, Vol.60, No.3, 1999.
  10. Rodney Stark, «Secularization, R.I.P.», *Sociology of Religion*, Vol.60, No.3 (1999), pp.249-73
  11. William H. Swatos Jr. and Kevin J. Christiano, «Secularization Theory: The Course of a Concept», *Sociology of Religion*, Vol.60, No.3 (1999), pp.209-28.
  12. Frank A. Lecher, «The Case Against Secularization: A Rebuttal», *Social Forces*, Vol.69, No.4 (June 1991), pp.1103-19, and Liliane Voye, «Secularization in a Context of Advanced Modernity», *Sociology of Religion*, Vol.60, No.3(1999), pp.275-88.
  13. Karel Dobbelaere, «Towards an Integrated Perspective of the Processes Related to the Descriptive Concept of Secularization», *Sociology of Religion*, Vol.60, No.3(1999), pp.229-47.
  14. Mark Chaves, «Secularization as Declining Religious Authority», *Social Forces*, Vol.72, No.3 (March 1994), pp.749-74, and David Yamane, «Secularization on Trial: In Defense of a Neosecularization Paradigm», *Journal for the Scientific Study of Religion*, Vol.36, No.1 (1997), pp.109-22
  15. Peter Beyer, *Religion and Globalization* (London: Sage, 1994).
  16. Swatos and Christiano, Voye, and Yves Lambert, «Religion in Modernity as a New Axial Age: Secularization or New Religious Forms», *Sociology of Religion*, Vol.60, No.3 (1999), pp.303-33.
  17. Mark Juergensmeyer, *The New Cold War* (Berkeley: University of California Press, 1993).
  18. Sahliyah, p.9, Scott M. Thomas, «Taking Religious and Cultural Pluralism Seriously: The Global Resurgence of Religion and the Transformation of International Society», *Millennium*, Vol.29, No.3 (2000), p.816, and Jeff Haynes, *Religion in Third World Politics* (Boulder: Lynne Rienner, 1994), p.34.
  19. Anson Shupe, «The Stubborn Persistence of Religion in the Global Arena», in Emile Sahliyah (ed.), pp.23-6.
  20. Shupe, p.22.
  21. Laurence R. Iannacone, «Voodoo Economics? Reviewing the Rational Choice Approach to Religion», *Journal for the Scientific Study of Religion*, Vol.34, No.1 (1995), pp.76-89, and Laurence R. Iannacone, «Second Thoughts: A Response to Chaves, Demerath, and Ellison», *Journal for the Scientific Study of Religion*, Vol.34, No.1 (1995), pp.113-20.
  22. Steve Fenton, *Ethnicity: Racism, Class, and Culture* (London: Macmillan, 1999), pp.44-7, 216, and Donald L. Horowitz, *Ethnic Groups in Conflict* (Berkeley: University of California Press, 1985). Jonathan Fox, *Ethno Religious Conflict in the Late 20th Century: A General Theory* (Lanham, MD: Lexington Books, 2002), p.44-54.

## რეზიუმე

არსებობს განსხვავებული მოსაზრებანი საზოგადოებასა და პოლიტიკაში რელიგიის მნიშვნელობის თაობაზე. გარდა ამისა, ისინი, ვინც აღიარებენ რელიგიის ფაქტორის მნიშვნელობას, სხვადასხვაგვარად აფასებენ მისი გავლენის ხარისხსა და ბუნებას. კამათი გრძელდება და მწვავედება, რაც ბადებს კითხვას, თუ რა განაპირობებს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ესოდენ განსხვავებულ ინტერპრეტაციას.

როგორც ვხედავთ ეთნიკურ კონფლიქტებთან მიმართებაში ეს ფაქტი შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: ორივე მხარე სწორია, მაგრამ თითოეული მათგანი მსოფლიოს სხვადასხვა მხარეს იყურება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოთქმა - როგორ ხედავ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ საიდან იყურები - მიესადაგება როგორც მეცნიერებს, ასევე პოლიტიკოსებსა და მოხელეებს. ისინი, ვინც რელიგიის მნიშვნელობას აღიარებს, ყურადღებას მესამე სამყაროზე ამახვილებს, ხოლო მათ, ვინც ამტკიცებს, რომ მისი როლი უმნიშვნელოა,

დანარჩენი მსოფლიო აქვთ მხედველობაში.

მესამე სამყაროს კონფლიქტები გამოწვეულია განსხვავებული მიზეზებით, ვიდრე სადმე სხვაგან არსებული კონფლიქტები. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს შედეგები გამოსადეგია სხვა ფაქტორების განხილვისას, მაგალითად, როგორიცაა რეპრესია და ხელისუფლების ტიპი.

## SUMMARY

There are different opinions about the importance of religion in society and politics. In addition, those who recognize the value of the factor of religion, differently evaluate the quality and nature of their influence. The debate goes on and covers what raises the question of what the different interpretations of the current events in the world are.

As we can see in relation to ethnic conflicts, this fact can be explained by the following: Both sides are correct, but each of them is looking at different parts of the world. In other words, the expression - how you see it depends on where you look - it is suitable for both scientists and politicians and officials. Those who recognize the importance of religion draw attention to the Third World, and those who claim that their role is insignificant is the rest of the world in mind. Third world conflicts are caused by different reasons than anywhere else conflicts. It is important to note that these results are helpful in discussing other factors, such as repression and the type of government.



# ВЛИЯНИЕ КЛИМАТА НА ЗДОРОВЬЕ ЧЕЛОВЕКА

М. Г. Мчедлидзе

доктор биологических наук ассоц. профессор ERSU

М.О. Кикнадзе

доктор философских наук ассоц. профессор SEU

Влияние погоды и климата на человека известно давно, но интерес к этой проблеме возрос лишь в последние годы XXI века.

Чтобы понять воздействие климата на организм человека, необходимо изучить физическую и химическую природу различных природных раздражителей, характер и механизмы возбуждаемых этими раздражителями физиологических реакций и патологических сдвигов в организме человека в привычном для него климате и в непривычных климатических условиях.

Воздействие климата на живой организм складывается из отдельных факторов: температура, циркуляция и влажность воздуха, атмосферное давление, облачность, интенсивность солнечной радиации. Каждый из этих факторов в отдельности может оказывать влияние на различные функции организма человека. Часто интенсивность биотропного воздействия обусловлена не столько абсолютной величиной метеоэлементов, сколько их временным градиентом – чем быстрее происходит количественное изменение того или иного фактора, тем меньше времени у организма для адаптации и тем острее его ответная реакция.

В работах последних десяти лет развитие теоритической биологии непосредственно связывается с применением системного подхода и системный анализ предлагается как эффективный метод исследования и объяснения биологических явлений.

Вместе с тем в течение последних десяти лет значительные успехи были достигнуты в области моделирования процесса формирования понятий.

Для того, чтобы проследить за развивающейся картиной применим аналитический фильтрационный метод.

В основе аналитического фильтрационного метода формирования понятий лежит принцип фильтрации, реализация которого позволяет осуществлять последовательное суждение множеств допустимых значений признаков.

Подконцептом понимается правило, имеющее вид универсально-формульнологического опре-

деления, применение которого к описанию объекта позволяет установить отношение последнего к денотату рассматриваемого наименования.

Понятия формируются в системе «признак-значение», введенной Э. Хантом.

Пусть в рамках фиксированной системы признаков  $S_1, \dots, S_m$  требуется выработать понятие, соответствующее некоторому классу объектов.

Каждому признаку  $S_m$  ( $m=1, \dots, M$ ) сопоставляется множество допустимых для него значений  $\{S_{m,1}, \dots, S_{m,n}\}$  некоторые из которых могут быть «пустыми». Число значений  $N=2k$  при выборе достаточно большого  $k=1, 2, \dots$  и возможности использования «пустых» значений может быть задано одинаковы для всех признаков.

При исследованиях воздействия климата на человека приходится учитывать одновременное влияние на организм многочисленных, изменяющихся вне времени климатических факторов (солнечную радиацию, температуру, влажность и давление воздуха, ветер и т.д.). Изменение погоды влияет на глубину и частоту дыхания, на скорость кровообращения, на снабжение кислородом клеток и тканей организма, на углеводный, солевой, липидные водные обмены, на мышечный тонус.

Реализуя принцип фильтрации, представляется возможным осуществлять следующую процедуру формирования концептов. Выбранные концепты позволяют строить прогностическую процедуру на проверке наличия определенных сочетаний состояний признаков в наблюдаемой клинической картине.

В целях дифференциации концепты используются следующим образом.

Пусть дифференцируются формы  $D_1, D_2, \dots, D_N$

1. Рассматриваемый объект представляется описаниям 1 уровня, и на это описание последовательно налагается импликанты 1 уровня, соответствующие форме  $D_1$  (наложение прекращается, как только найдена импликанта, описывающая заданный объект;

эта импликанта отмечается;/ импликанты 1 уровня, соответствующие форме D2 (наложение прекращается, как только найдена импликанта, описывающая заданный объект; эта импликанта отмечается; и т.д. Ответ либо однозначен (объекту соответствует единственная импликанта), либо альтернативен (объекту соответствует несколько импликант). В первом случае дифференциация завершена и в использовании последующих уровней понятий необходимости нет. Во втором случае процедура продолжается.

2. Рассматриваемый объект представляется описанием  $\Pi$  уровня, и на это описание последовательно налагаются импликанты  $\Pi$  уровня, уточняющие отмеченные импликанты 1 уровня. В результате множество альтернативных возможностей ограничивается: если оно представляется единственной формой, распознавание завершено; если оно представляется несколькими формами, процедура продолжается.

Таким образом, можно эмпирически определить и использовать необходимый при решении конкретной задачи уровень понятия.

Биоклиматологами было выявлено, что определенному состоянию погоды соответствует определенный уровень биохимических процессов, протекающих в клетках и обеспечивающих выработку в организме тепла и отдачу его в окружающую среду для поддержания температуры внутренних частей тела на изотермическом уровне. Эмпирическим путем установлено, что физиологический механизм, включая нервы, мускулы, циркуляционную и дыхательную системы, оптимально работает только в узком температурном диапазоне. Благодаря, аналитическо-фильтрационному методу становится возможным предсказать, как влияет изменение погоды на здоровье человека.

Частые и резкие колебания температуры, давления и влажности, большая амплитуда их изменений наблюдаются в периоды вторжения холодного воздуха, когда сначала давление падает, а в последующем - растет и формируется антициклон. Такая ситуация наиболее опасна для тех, у кого слабая сердечнососудистая система - отмечается увеличение числа инфарктов и инсультов. Климатические факторы сказываются и на развитии аллергических и инфекционных заболеваний, таких как вазомоторный ринит, сенная лихорадка, бронхиальная астма, малярия, желтая лихорадка и др.

В связи с нарастающим негативным

действием космогелиогеофизических факторов на здоровье населения, влиянием социального стрессирования, общему ухудшению здоровья нации, инновационным подходом по изучению влияния всех этих факторов, включая и природные факторы среды, на организм человека является создание единой научно-практической программы. Для подготовки программы необходимо обобщить бесценный опыт ученых XXI века и, используя современные достижения науки, выработать инновационные методы решения поставленной задачи.

Если учитывать, что формирование концептов опирается на реальные «траектории» и метод никак не связан с трудностями перебора, то представляется, что концептуальный подход позволяет довести до реальности расчет всех этапов, предлагаемых методологией системного анализа в биологии, до уровня конкретной, удобной и универсальной вычислительной процедуры.

Разрабатываемая Концепция исследований по определению возможности прогноза и оценки биотропности воздействия космогелиогеофизических факторов на здоровье человека. В основе концепции – комплексный учет биоинформационных связей явлений внешней среды и научно обоснованная оценка биотропности погоды. Используемые научные подходы и методы направлены на разработку двух ключевых компонентов системы, которые должны обеспечить:

1) понимание зависимости состояния человека от текущих погодных условий, основанное на количественной оценке взаимосвязи заболеваемости и смертности с погодой, прежде всего с температурой воздуха во всем диапазоне наблюдаемых температур, а также оценка негативных проявлений заболеваемости и смертности в различных группах населения.

2) разработку эффективных превентивных мер по снижению степени риска здоровью человека.

Ожидаемые научные результаты включают: заполнение ключевых пробелов в научном обосновании мер по адаптации населения к неблагоприятным последствиям продолжительных высоких температур;

эпидемиологическую оценку потенциальных воздействий повышенных температур воздуха на заболеваемость и смертность населения; идентификацию уязвимостей

к тепловому стрессу, включая выделение особо уязвимых групп населения. Результаты исследования могут послужить базисом для организации региональных служб раннего предупреждения. Будущее научное развитие гелиометеопрофилактики должно быть высокотехнологичным видом оказания медицинской помощи, включающим: Переход на непрерывный профилактический интеллектуальный телемониторинг на основе системы сложных устройств, управляющих решений и непрерывного контекстного

анализа поступающей информации. Создание технологий оздоровления, эффективное использование режимных, курортно-оздоровительных и лечебно-профилактических мероприятий, современной медицинской аппаратуры и лекарственных препаратов, создание службы гелиометеопрогнозирования позволит значительно снизить степень выраженности гелиометеотропных реакций людей, что является важным условием для сохранения ресурсов и резервов здоровья нации.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. მჭედლიძე, Влияние деятельности человека на биосферу, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „თანამედროვე მეცნიერული პრობლემები“ გორი, საქართველო 2013
2. მ. მჭედლიძე, ექსპერტულ-დიაგნოსტიკური სისტემის დამუშავება იმფობლასტური და მიელობლასტური ლეიკოზების მაგალითზე-დისერტაცია, თბილისი 2004 წელი, ეროვნული ბიბლიოტეკა
3. В.В. Чавчанидзе «Логика разумного выбора» Сб. Трудов ИСУ АН Грузииб Тбилиси 2000г..

### Резюме

Чтобы понять воздействие климата на организм человека, необходимо изучить физическую и химическую природу различных природных раздражителей. Для того, чтобы проследить за развивающейся картиной применим аналитический фильтрационный метод.

Ожидаемые научные результаты включают: заполнение ключевых пробелов в научном обосновании мер по адаптации населения к неблагоприятным последствиям. Результаты исследования могут послужить базисом для организации региональных служб раннего предупреждения.

### SUMMARY

#### THE IMPACT OF CLIMATE ON HUMAN HEALTH

To understand the effect of climate on the human body, it is necessary to study the physical and chemical nature of various natural stimuli.

In order to follow the evolving picture, we apply the analytical filtering method. Expected scientific results include: filling key gaps in the scientific rationale for measures to adapt the population to adverse effects.

The results of the study can serve as a basis for the organization of regional early warning services.

# ქრისტი ახსენება

